

ომან ხერხეულიძე

მეტობა ირაკლი

მუთრისა

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი
და საძიებელი დაურთო

ლელა შიშიაშვილმა



თბილისი

1989

ქართული
საისტორიო მწერლობის
ძეგლები

VII



«მეცნიერება»

შინაარსი

ომან ხერხეულიძე და მისი „მეფობა ირაკლი მეორისა“	10
ომან ხერხეულიძის ცხოვრება და მოღვაწეობა	10
„მეფობა ირაკლი მეორისა“ ხელნაწერების მიმოხილვა	14
„მეფობა ირაკლი მეორისა“-ს გამოცემები და თარგმანები	25
„მეფობა ირაკლი მეორისა“ როგორც ისტორიული წყარო	30
ტექსტისათვის	36
ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა (ტექსტი)	37
დანართი	76
Оман Херхеулидзе и его «Царствование Ираклия Второго (резюме)	108
Oman Kherkheulidze „The Reign of Erekle II (Summary)“	113
ლექსიკონი	118
საძიებლები	120

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტი

საქართველოს ისტორიის წყაროები

54



მთავარი სარედაქციო კოლეგია:

შ. ძიძიგური (მთავარი რედაქტორი), მ. აბაშიძე, ზ. ალექსიძე,
რ. კიკნაძე. (მთავარი რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი,
გ. ნადარეიშვილი, თ. ყაუხჩიშვილი, ვ. ძიძიგური, ე. ხო-
შტარია, გ. ჭიბლაძე.

სერიისა და ტომის რედაქტორი რ. ძიბნაძე

რეცენზენტები: ფილოლოგ. მეცნ. დოქტორი ც. ქუციყიძე
ისტორიის მეცნ. დოქტორი გ. ალასანიძე

ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ გვევლინება XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიის შესასწავლად. თხზულების ქრონოლოგიური ჩარჩოები 1722—1787 წლებს მოიცავენ. ავტორის ძირითად მიზანს, როგორც ეს თხზულების სათაურიდან ჩანს, წარმოადგენს ერეკლე II-ის მოღვაწეობის შეფასება, რაც თავის მხრივ, უშუალოდ არის დაკავშირებული აღნიშნული პერიოდის ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის გადმოცემასთან. ნაშრომის ერთ-ერთ ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტიც, რომ ომან ხერხეულიძე მის მიერ აღწერილ ისტორიულ მოვლენათა დიდი ნაწილის თვითმხილველი და თანამედროვეა.

ჩვენს გამოცემაში პირველად ქვეყნდება „მეფობა ირაკლი მეორისა“-ს კრიტიკულად დადგენილი ტექსტი ლექსიკონითა და საძიებლებით. წიგნი განკუთვნილია როგორც საქართველოს ისტორიის სპეციალისტთათვის, ისე მკითხველთა ფართო წრეხათვის.

0503020906
M 607 (06)—89 164—89

© „გამომცემლობა „მეცნიერება“, 1989

ISBN 5—520—00414—5

საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის
გამოცემები

1. შაშ-თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩებთან. სპარსულ ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, შენიშვნები და წინასიტყვაობა დაურთო კ. ტაბატაძემ. თბ., 1976.

2. აბრაამ ერევანცი. ომების ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ. თბ., 1976.

3. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ქართული თარგმანი და წინასიტყვაობა დაურთო ვლ. ფუთურიძემ. თბ., 1977.

4. სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები. ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბ., 1978.

5. გ. აბრამიშვილი. სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში. თბ., 1977.

6. ზ. ალექსიძე. ატენის სიონის სომხური წარწერები. თბ., 1978.

7. ტბეთის სულთა მატეანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ. თბ., 1977.

8. სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ (XIV—XV სს.). ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ. თბ., 1978.

9. „სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა რ. კიკნაძემ. თბ., 1978.

10. ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ. თბ. თბ., 1978.

11. Яков Цуртавели. Мученичество Шушаник. Перевод В. Д. Дондуа. Введение и примечания З. Н. Алексидзе. Тбилиси, 1978.

12. Памятник эриставов. Перевод, исследование и примечания С. С. Қакабадзе. Тбилиси, 1979.

13. Сумбат Давитის-ძე. История и повествование о Багратионах. Перевод, введение и примечания М. Д. Лордкипანიძе. Тбилиси, 1979.

14. მუსტაფა ნაიმა. ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევიდა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ. თბ., 1979.

15. ზაქარია აგულეცი. დღიური. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. ჯავლიანიძემ. თბ., 1979.

16. ჩილდირის ვიალეთის ჯაბა დავთარი. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ც. აბულაძემ, გამოკვლევა დაურთო მ. სვანიძემ. თბ., 1979.

17. არსენი საფარელი, განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა. ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზ. ალექსიძემ. თბ., 1980.

18. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1980.

19. ქართული წარწერების კორპუსი I. ლაპიდარული წარწერები I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V—X სს) შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბ., 1980.

20. ქართული წარწერების კორპუსი II. ლაპიდარული წარწერები, II. დასავლეთ საქართველოს წარწერები (IX—XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ. თბ., 1980.

21. ცხოვრება საქართველომსა (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ. თბ., 1980.

22. **Законы Вахтанга VI. Перевод, введение, примечания, глоссарий и указатели Д. Л. Пурцеладзе. Тбилиси, 1980.**

23. კ. კობისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლ. მამაცაშვილმა. თბ., 1981.

24. ისქანდერ მუნში. აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება: სპარსულ ტექსტს გამოკვლევა, ქართული თარგმანი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. გელაშვილმა. თბ. 1981.

25. პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბ., 1981.

26. XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ. იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალისვილმა. თბ. „1981.

27. გ. ოთხმეზური. XII—XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები როგორც საისტორიო წყარო. თბ., 1981.

28. ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, V. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩაშვილმა. თბ., 1983.

29. **Летопись Картли. Перевод, введение и примечания. Г. В. Цулая. Тбилиси, 1982.**

30. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, IX—XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984.

31. გეორგიევსკის ტრაქტატი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გ. პაიჭაძემ. თბ., 1983.

32. ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმილიებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ. თბ., 1982.

33. თეიმურაზ ბაგრატიონი. ახალი ისტორია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლ. მიქიაშვილმა. თბ., 1983.

34. Источниковедческие разыскания, 1979, Тбилиси, 1984.

35. ზ. ს ხ ი რ ტ ლ ა ძ ე. საბერების ფრესკული წარწერები. თბ., 1985.

36. „ქართლის ცხოვრების“ სიმფონია-ლექსიკონი, I. ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა, არჩილის წამება. შემდგენლები: მ. კვაჭაძე, ნ. ნატრაძე, ზ. სარჯველაძე, მ. ჩხენკელი, თ. ხაუომია, თბ., 1986.

37. მო ვ ს ე ს კ ა ლ ა ნ კ ა ტ უ ა ც ი. ალვანთა ქვეყნის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ. თბ., 1985.

38. დე გ რ ა ი დ ე ფ უ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს შესახებ. ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ჯ. ოდიშელმა. თბ., 1985.

39. Жизнь Царицы Цариц Тамар. Перевод и введение В. Д. Дондуа, исследование и примечания М. М. Бердзенишвили. Тбилиси, 1985.

40. Источниковедческие разыскания, 1982. Тбилиси, 1985.

41. ი ო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი. ქართლ-კახეთის აღწერა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა. თბ., 1986.

42. „ქართლის ცხოვრების“ სიმფონია-ლექსიკონი II. ჟუანშერა. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. შემდგენლები: ა. სარჯველაძე, ზ. სარჯველაძე, თ. ხაუომია, თბ., 1986.

43. Джуаншер Джуаншериани. Жизнь Вахтанга Горгасала. Перевод, введение и примечания Г. В. Сулая. Тбилиси, 1986.

44. Уложение Георгия V Блистательного. Подготовка грузинского текста, русский перевод, введение, примечания, глоссарий, указатели Д. Л. Пурцеладзе. Тбилиси, 1988.

45. თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები. იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვლიშვილმა, თბ., 1987.

46. ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, VI. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიჩვილმა. თბ., 1987.

47. თოვმა მეწოდეცი. ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა. ძველი სომხურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო კ. კუციამ. თბ., 1987.

48. ჟამთა აღმწერელი. ასწლოვანი მათიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რ. კიკნაძემ. თბ., 1987.

49. XIV—XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ. არაბულიდან თარგმნა, შესაწავლი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო დ. გოჩოლეიშვილმა. თბ., 1988.

50. Источниковедческие разыскания, 1985. Тбилиси, 1988.

51. ა. ბაქრაძე. მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის. თბ., 1988.

52. „ქართლის ცხოვრების“ სიმფონია-ლექსიკონი, III. „მატიანე ქართლისა — სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა, შემდგენლები: მ. კვაჭაძე, ზ. სარჯველაძე, თ. ხაქომია წარმოებაშია. —†

53. ოსმალური დოკუმენტური წყაროები საქართველოსა და ამიერკავკასიის შესახებ (XVIII სს.). თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ფაქსიმილეებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადეს ა. ველკოვა და ნ. შენგელიამ. თბ., 1989.

ომან ხერხეულიძე და მისი „მეფობა ირაკლი მეორისა“

ომან ხერხეულიძის ცხოვრება და მოღვაწეობა

ომან ხერხეულიძე XVIII საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მის კალამს ეკუთვნის თხზულება „მეფობა ირაკლი მეორისა მეფის თეიმურაზის ძისა“. თავისი ნაშრომის შექმნის ძირითადი მიზანი ავტორს შემდეგნაირად აქვს გადმოცემული ვრცელ სათაურში: „შემოკლებული ისტორია ირაკლი მეორისათვის, თუ ვითარითა შრომითა მიიღო მან მეფობა ქართლისა, რომელსაცა გარდამატებულისათვის სიმხნისა მისისა პირველად მიუბოძა შაჰ-ნადირ კახთ-მეფობაი და შემდგომად შეაერთა მან სკიპტრაი ორ-მეფობითი“.

სამეცნიერო ლიტერატურაში ბიოგრაფიული ცნობები ომან ხერხეულიძის შესახებ მეტად მცირეა¹. ვიცით მხოლოდ, რომ მას ერეკლე II-ის კარზე ეჭირა ლაშქარნივისის თანამდებობა და ევალეზოდა დაჭირავებული ჯარისკაცების, მათი უფროსებისა და მორიგე ლაშქარის მეთაურების აღრიცხვა. ომან ხერხეულიძის ბიოგრაფიის აღდგენა ვერც მის ნაშრომში დატული ცნობების მეშვეობით ხერხდება. ამ ხარვეზის შევსება შეძლებისდაგვარად ვცადეთ XVIII—XIX სს. ისტორიული დოკუმენტების შესწავლის გზით, თუმცა რაიმე მნიშვნელოვან მასალას, რომელიც ნათელს მოჰფენდა ამ ისტორიკოსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღრიცხვას პერიოდს, ვერ მივაკვლიეთ. შედარებით უხვი ცნობები გვხვდება ომან ხერხეულიძის შესახებ მოგვიანო პერიოდის ისტორიულ დოკუმენტებში, კერძოდ, XVIII ს. 70-იანი წლებიდან, განსაკუთრებით კი XIX ს. დამდეგიდან.

პლატონ იოსელიანის ნაშრომის ბოლო თავში. „სამეფოვსა ნალარახანისა პირნი“ სხვა მოხელეთა შორის დასახელებულია ომან

¹ შ. ხანთაძე, ქართული ისტორიოგრაფია XVIII საუკუნეში, თბ., 1985, 33-126.

ხერხეულიძეც, რომლის შესახებ ვკითხულობთ: „ომან ხერხეულიძე — აღმწერელი მეფის ირაკლის ცხოვრებისა, მოკვდა 1805 წელსა, ახლდა იულონსა და მომდურავი მისი ეახლა მეფეს გიორგის, რომელმაცა უბოძა მდივნობა კახეთისა ოქმითა“².

ომან ხერხეულიძეც რომ ერგვლე II-ის კარზე აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდა კარგად ჩანს საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული დოკუმენტებიდანაც, ბევრი მათგანი ომანის ავტოგრაფია, ჩითაც კიდევ უფრო იზრდება მათი მნიშვნელობა. ეს არის ძირითადად 1778—1802 წწ. პერიოდის მომცველი მასალა — ომან ხერხეულიძის მიერ დაწერილი წყალობის წიგნები³, გარდა ამისა, რიგ საბუთებში ომანი ამა თუ იმ სადავო საქმის გამრიგედ გვევლინება (1796—1802 წწ.)⁴. აღნიშნული დოკუმენტები, რასაკვირველია, არ იძლევიან რაიმე ზუსტ ცნობას ომან ხერხეულიძის ბიოგრაფიისათვის, მაგრამ გარკვეულ ინტერესს იმსახურებენ სამეფო კარზე მისი მოღვაწეობის შესწავლის თვალსაზრისით. გარდა ამისა, ამ დოკუმენტებმა შემოგვინახეს ომანის ბეჭედიც, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია მასალის ამგვარი სიმწირის პირობებში⁵.

საკანცელარო საქმეებს გარდა, როგორც ჩანს, ომანი სამხედრო ოპერაციებშიც იღებდა მონაწილეობას. აქტებში დაცული ერთი ცნობის მიხედვით, ზედაველის ბრძოლაში, რომელიც სამ საათს გრძელდებოდა, დაჭრილან ომან ხერხეულიძე და მაჩაბელი⁶. ამ ბრძოლის შესახებ თვითონ ომანის თხზულებაში არაფერია ნათქვამი. თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორიის“ მიხედვით 1789 წ. ზედაველს მომხდურ ლეკების რაზმს ქართველი მეომრებით ბატონი-შვილები იულონ ერეკლეს ძე და იოანე გიორგის ძე შეებრძოლებიან: „იძლივნენ ლეკები და წარვიდნენ სირცხვილეულნი“—ო, აღნიშნულია თხზულებაში⁷.

2 პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი XII-ისა, აკ. გაწერელის გამოს., თბ., 1936, გვ. 262.

3 იხ. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (ქვემოთ სცხსა) 1448, № 5330, 1448 № 8899, 1448 № 9618, 1448 № 580, 1448 № 575, 1448 № 579.

4 იხ. სცხსა 1448 № 4154, 1448 № 3000, 1448 № 8109, 1448 № 3666 და სხვ.

5 ომანს ჰქონია პატარა ზომის (1 X 0,9) ოთხკუთხოვანი ბეჭედი ასომთავრული ლეგენდით „ომან“ იხ. ა. ბაქრაძე, მასალები ქართულის ფრაგისტის ისტორიისათვის, ნაწ. 1, თბ., 1978 წ., გვ. 72.

6 Акты собранные Кавказскою Археологическою Комиссиею, (ქვემოთ АКАК) т. 1, с. 501, № 598. ეს ფაქტი ბროსესაც აქვს აღნიშნული წყაროს მიუთითებლად.

7 თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, ტექსტი გამოსცა ლ. მიქიაშვილმა, თბ., 1983, გვ. 61.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შედარებით უხვი მასალა ომან ხერხეულიძის შესახებ გვხვდება XIX ს. დამდეგიდან, განსაკუთრებით 1801—05 წლებში. მაგ., 1803 წლით დათარიღებული ერთი საბუთიდან (ომანის ავტოგრაფია) ვიგებთ, რომ მას ჰყოლია ძმა ავთანდილ ხერხეულიძე, და შვილები — დავით და ანდრია, რომლებთან ერთად ც მან (ომანმა) უწყალობა თავის ყმას წირეთელ გოგია მაისურაძეს ამოწყვეტილი განაყოფის მამული⁸. ეს წყალობის წიგნი 1810 წელს განუახლებია ომანის უმცროს ვაჟს ანდრიას, რომელიც სხვათა შორის აქვე იხსენიებს თავის დედას — ხორეშანს, ე. ი ომანის მეუღლე 1810 წ. ჯერ კიდევ ცოცხალია⁹. როგორც ირკვევა ეს ხორეშანი ომან ხერხეულიძის მეორე ცოლია. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ნაშრომებზე პირთა ანბანურ კატალოგში არსებული მასალა, სადაც ნათქვამია: „Херхеулидзе, князь Оман, советник, умер в половине 1805 г. оставив сына Давида от первого брака и сына и дочь от второго. Вторая жена называлась Хорешана. Она подала в июле 1806 г. Литвинову жалобу на пасынка своего Давида, что (он), вопреки отцовскому завещанию, завладел всем наследством и оставил её с малолетними детьми без пропитания. Из завещаний, написанного 23 июня, в пятницу 1805 г. видно, что Херхеулидзе получил от Его Императорского Величества за деревню 5 тысяч руб. Сын Давид в завершении показан женатым. Младший брат назывался Андреем.“

По-видимому, это тот Херхеулидзе, который написал жизнь царя Ираклия, см. у Броссе». (Архивное дело губернского правления).

1801 წლიდან ომან ხერხეულიძე მეფის რუსეთის მმართველობის სამსახურში დგება. აქტებში დაცული მოკლე ცნობის მიხედვით იგი 1802 წელს დაინიშნა სამოქალაქო ექსპედიციის მრჩეველად¹⁰. 1803 წელს საქართველოს მთავარმართებელ პ. ციციანოვისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში ომან ხერხეულიძე ახასიათებს თავის ყოფილ თანამდებობას და განსაზღვრავს იმ შემოსავალს, რომელიც ქართველ მეფეთაგან ჰქონდა დანიშნული. მოხსენებითი ბარათისათვის მას დაურთავს მეფე გიორგის სიგელიც: „წარმოუდგენ მაღალმთავრობასა თქვენსა სიგელსა, დამტკიცებულსა მეფის გიორგისაგან ჩემისა სახელოსასა და აღვსწერ სარგებლობასა ჩემსა ამავე ქალაქის ფურცელსა ზედა. ვიყავ ლაშქარნივისი ქართლისა, მქონდა ამ სახელოდამ“

⁸ სცსსა 1448 № 6485.

⁹ სცსსა 1448 № 6495.

¹⁰ АКАК., т. I, № 566.

სარგებლობა ესე, რომელიცა ამას ქვეით სწერია“¹¹. საბუთის ბოლოს ომანი შენიშნავს: „რაც აქედამ ჯამაგირი და ულუფა მქონდა მეფეთ ღრამატით დამტკიცებული, ორი ამდენი სხვა სარგებლობა მქონდა და კიდევ მეტიცა, ასე რომ, მეფის ირაკლისაგან მდივნობის საქმეშიაც ვიყავ და საკუთრად ბატონიშვილის იულონის შემოსავლის ოცის თავიც მქონდა ვიდრე მეფის გიორგის აღსრულებამდე“. ცოტა მოგვიანებით ასეთივე მოხსენებითი ბარათი ციციანოვისადმი წარუდგენია თავად მანუჩარ თუმანოვს, რომელიც კიდევ უფრო დაწვრილებით განმარტავს ლაშქარნივისის მოვალეობას და წერს: „უწინ მე მებოძა ლაშქარნივისობა, რომელიც არის ეს ლაშქარნივისობა საქართველოს სამხედრო კანცელარი(ი)ს მართებლობა. საქართველოს ჩვეულებრივ ჯარის გამოყვანას გარდა მეფემ ირაკლიმ თავის საბძანებლიდამ მოიწვია ჯამაგირის აღთქმით ნოქრათ და თოფჩათ დასადგომნი კაცნი, მოვიდნენ და განწესდნენ. ჰქონდათ მიჩენილი მინბაში, ფონსაღბაში, უზბაში, თოფჩიბაში და დაჰბაში. იმათ ჰქონდათ განწესება წლის ულუფა და ჯამაგირი, რომ იმათი მწერალი და ანგარიშის შემნახავი მეჯვრეც და სამს თვეში ერთხელ ჯამაგირი ჩემის კელით მიეცემოდათ. მასუკან მეფემ ირაკლიმ ინება თავის საბძანებლიდამ სულზე მორიგის გამოყვანა..., ამათაც მიუჩინა ჯამაგირით მინბაში, ფონსაღბაში, უზბაში და დაჰბაში, რომ ამათი მწერლობა და ანგარიშის შემნახვა მე და ჩემს ამხანაგს თავადს ომან ხერხეულიძე ლაშქარნივისს მოგვიბოძა და ერთათ ემოქმედებლით ჩვენს სახელოს საქმეს“¹².

საინტერესოა, რომ ომან ხერხეულიძის ზემოხსენებულ მოხსენებით ბარათს, სადაც იგი თავისი ჯამაგირის ოდენობას განსაზღვრავს, გაუღიზიანებია პ. ციციანოვი და ეს უკანასკნელი საპასუხოდ ადგენს:

«По мнению моему не следует более 120 руб. давать, и хотя за наглые показания и должноствовало бы лишить всего жалованья, но во уважении того, что он употреблен был в письменные дела, прибавить нужно 100 р. да чин тит [улярного] с [оветника], итого 220 р.»¹³

ომან ხერხეულიძის მცირე ბიოგრაფიულ მონაცემებს მეტ-ნაკლებად ავსებს ცენტრალურ არქივში დაცული 1802 წლის 20 იანვრით

¹¹ სცსსა 1448 № 8999, მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებლები დაუროთ შ. მესხიამ, მსკი, ნაკვ, I (26), გვ. 43, თბ., 1948.

¹² სცსსა 1448 № 8998, მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის..., გვ. 41—42.

¹³ АҚАК..., т. II, с. 39.

დათარიღებული ერთი საბუთიც¹⁴, საიდანაც ჩანს, რომ მას ჰყოლია გერი, რომელიც ოთარ ამილახვრის შვილს — ალათონიკეს უთხოვია ცოლად და მალევე გაუშვია. ამასთან დაკავშირებით ომანს შეუდგენია თხოვნა იმპერატორ ალექსანდრე პავლეს ძის სახელზე, სადაც განმარტავს, რომ გიორგი XII-ის განაჩენით, ოთარ ამილახვარს ან ფული უნდა გადაეხადა, ან ალათონიკეს წილი ყმა-მამული უნდა დაეთმო ომანის გერისათვის, მაგრამ გიორგი XII ისე გარდაიცვალა, რომ მისი განაჩენი არ შეუსრულებიათ. ახლა კი ომანი ახალი მმართველობისაგან ცდილობს თავისი თხოვნის დაკმაყოფილებას.

ომან ხერხეულიძის, რომელიც მწერლისა და მემკვიდრის განათლების დონეზე მსჯელობა, სამწუხაროდ, მხოლოდ მისი ერთადერთი ნაშრომით გვიხდება. პაპუნა ორბელიანისაგან განსხვავებით¹⁵ მას არ დაუტოვებია სხვა სახის ლიტერატურული მემკვიდრეობა. თუმცა, მეორე მხრივ, ადვილი შესაძლებელია, რომ ასეთი თხზულების ავტორს ლიტერატურის სხვა ჟანრშიც მოესინჯა კალამი, მაგრამ მისმა სხვა თხზულებებმა ჩვენამდე ვერ მოაღწიეს. ამას გვაფიქრებინებს ეს გარემოებაც, რომ ომან ხერხეულიძეს, როგორც თავისი დროისათვის განათლებულ და მწიგნობარ კაცს, საკუთარი ბიბლიოთეკაც ჰქონია, საიდანაც დღემდე შემორჩენილია გაბრიელ გულიგანის მიერ თარგმნილი „გეოგრაფიის“ ხელნაწერი, რომლის ერთ-ერთი მინაწერი გვამცნობს: „ეს წიგნი ხერხეულიძე ლაშქარნივისის ომანის არის. ვინც მოიპაროს და ან დაშალოს, რისხავს მამა, ძე და სული წმინდა“¹⁶. ასეთივე ხასიათის მინაწერი აქვს ომან ხერხეულიძის კუთვნილ „არიხმეტიკის“ წიგნსაც: „ესე არიხმეტიკა ომან მღვივისა არის, ვინც მოიპაროს, გაუწყრეს ანჩისხატი პირი მღვთისა“¹⁷.

ეს წიგნები ომან ხერხეულიძის შვილიშვილს ნიკოლოზ ანდრიას ძეს გადაუცია პეტრე უმიკაშვილისათვის¹⁸.

„მეფობა ირაკლი მეორისა“ს ხელნაწერების მიმოხილვა

„მეფობა ირაკლი მეორისა“-ს ქრონოლოგიური ჩარჩოები 1722—1787 წლებს მოიცავენ. თხზულების ტექსტი სრული თუ ფრაგმენტული სახით ოცდაცხრა ხელნაწერმა შემოგვინახა. მათგან ოცდაექვსი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელ-

14 სესსა 1448 № 7240.

15 ი. ხ. პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი, ტექსტი გამოსცა ელ. ცაგარეიშვილმა, თბ., 1981, გვ. 23—26.

16 ხელნაწერთა ინსტიტუტი (ქვემოთ ხ. ი.) S—1529, გვ. 103.

17 ხ. ი. S—1531, 1 რ.

18 ხ. ი. S—1530 1 რ.

ნაწერთა ინსტიტუტის კოლექციებშია დაცული და აღწერილი აქვთ: ჯრ. შარაშიძეს (S—197 ა, 197 ბ, 197 გ, 197 დ¹⁹, A—1111, 1138, 1178, 1224, 1244²⁰, H—1049, 1308, 1359, 1383²¹ და Q—337 ა²²), ლ. ქუთათელაძეს (S—4990, 4997²³, H—631, 718, 960²⁴), ც. ჯანკიევს (S—4735, 4740)²⁵, თ. ენუქიძეს (S—3669, 3677)²⁶, ლ. ქაჯაიას (S—5308)²⁷, მ. შანიძეს (S—1559)²⁸ და ე. მეტრეველს (H—1779)²⁹. უფრო ადრე ხელნაწერები S—197 ა, 197 ბ, 197 დ, 1559, 4735, 4740 და 4990 აღწერილი ჰქონია ექ. თაყაიშვილს³⁰.

19 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, ტ. I, შედგენილია თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის ლ. ქუთათელაძისა და ქ. შარაშიძის მიერ. თბ., 1959.

20 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია) კ. კეკელიძის საერთო რედაქციით, ტ. IV, შეადგინა ჯრ. შარაშიძემ, თბ., 1954.

21 ხელნაწერთა აღწერილობა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია) კ. კეკელიძის საერთო რედაქციით, ტ. III, შედგენილი ჯრ. შარაშიძის მიერ. თბ., 1948.

22 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (Q) კოლექცია, ტ. I, შედგენილია ელ. მეტრეველისა და ჯრ. შარაშიძის მიერ ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1957.

23 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, ტ. VI, შეადგინეს თ. ბრეგაძემ, ლ. ქაჯაიამ, ლ. ქუთათელაძემ, მ. შანიძემ და ც. ჯანკიევმა, თბ., 1969.

24 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ტ. II, შედგენილია ლ. ქუთათელაძის მიერ ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1951.

25 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, ტ. V, შეადგინეს თ. ბრეგაძემ, თ. ენუქიძემ, ლ. კიკნაძემ, მ. შანიძემ და ც. ჯანკიევმა, თბ., 1967.

26 იქვე.

27 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, ტ. VI, შეადგინეს თ. ბრეგაძემ, ლ. ქაჯაიამ, ლ. ქუთათელაძემ, მ. შანიძემ და ც. ჯანკიევმა, თბ., 1969.

28 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, ტ. III, შედგენილი თ. ენუქიძის, ე. მეტრეველის, მ. ჯავთარაძის, ლ. ქუთათელაძის, მ. შანიძის და ჯრ. შარაშიძის მიერ, თბ., 1960.

29 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის (H) კოლექცია, ტ. IV, შედგენილი ელ. ვირსალაძისა და ელ. მეტრეველის მიერ, თბ., 1950.

30 Е. Такайшвили. Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», т. II, Тифлис, 1906—1912.

დანარჩენი სამი ხელნაწერიდან ორი (E—30 და E—66) სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ფონდშია დაცული და აღწერილი აქვს რ. ორბელს³¹. ერთი ხელნაწერი (1446 № 497) საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივის ძველ ხელნაწერთა ფონდშია და აღწერილია ს. კაკაბაძისა და პ. გაგოშიძის მიერ³².

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული ხელნაწერებიდან მხოლოდ ერთადერთ, თეიმურაზ ბაგრატიონისეულ ხელნაწერშია (E—30) მოხსენიებული ომან ხერხეულიძე თხზულების ავტორად (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი).

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ XIX ს. პირველ ნახევარში არსებობდა თხზულების კიდევ ერთი — მუხრანბატონისეული ნუსხა, რომლის დედანს ჩვენ ვერ მივაკვლიეთ, მისი პირი კი ლენინგრადში დაცული E—66-ია³³. ასევე არ ჩანს მღვდელმონაზონ იოსტოს კუთვნილი ნუსხა, საიდანაც გადაწერილია S—1559 ხელნაწერი.

„მეფობა ირაკლი მეორისა“-ს არც ერთ დასახელებულ ნუსხაში თხზულების დაწერის თარიღი არ არის ნაჩვენები, მაგრამ უკმახლოებით მაინც შესაძლებელია მისი დადგენა. თხზულების დასასრულს ომან ხერხეულიძე წერს: „ხოლო რომელიცა მოიწია მასზედა ჟამსა ღრმად მოხუცებისა მისისა საქმეი უბედურებითი და მოვიდა აღამამად-ხან და ალაოხრა ტფილისი, მისთვის არარაი დამიწერიეს ჯერეთ, ვინაიდგან მიზეზნი და ვითარებანი განვრცელდებიან“³⁴. ეს გარემოება იმაზე მიგვანიშნებს, რომ თხზულება უნდა დაწერილიყო საქართველოზე აღამამად-ხანის თავდასხმის (1795 წ.) შემდგომ ახლო პერიოდში.

ზემოთაღნიშნულ ნუსხათაგან არც ერთი არ არის ავტოგრაფული ან ავტორიზებული. ყველა მათგანი XIX საუკუნეს განეკუთვნება და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით შემდეგნაირად განლაგდებიან:

თარიღიანი ნუსხები:

S — 4990 — 1815-1816 წწ.

A — 1111 — 1817. VI. 8.

A — 1224 — 1820 წ.

³¹ P. P. Орбели. Грузинские рукописи Института Востоковедения АН СССР, вып. I, М.-Л., 1956, с. 24—25.

³² საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველო, ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, II, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით. თბ., 1950.

³³ P. P. Орбели, დასახ. ნაშრ., გვ. 26.

³⁴ იხ. წინამდებარე გამოცემა, გვ. 75.

H — 1383 — 1835. X. 12.
 S — 4997 — 1837 წ.
 E — 30 — 1838 წ.
 E — 66 — 1838 წ.
 A — 1244 — 1840. XII. 15.
 A — 1178 — 1842 წ.
 S — 3677 — 1845 წ. II. 5.
 H — 1359 — 1848. X. 12.
 S — 1559 — 1879 წ.
 სცსა 1446 № 497 — 1884 წ.

დაუთარილებელი ნუსხები ჰვირნიშნების მიხედვით მიახლოებით
 ასე დაეთარილეთ:

XIX ს. პირველი მეოთხედი

H — 718 (ჰვირნიშანი 1808 წ.).
 S — 197 ბ, S — 3669 (ჰვირნი. 1814 წ.).
 S — 4735, S — 197 დ (ჰვირნი. 1818? წ.).
 H — 631 (ჰვირნი. 1820 წ.).
 H — 1779 (ჰვირნი. 1821 წ.).
 H — 960 (ჰვირნი. 1822 წ.).

XIX ს. პირველი ნახევარი

S — 5308 (ჰვირნი. 1841 წ.).
 S — 197 ბ (ჰვირნი. 1842 წ.).

XIX ს.

S — 197 ა, S — 4740, A — 1138, H — 1049, H — 1303,
 Q — 337 ა.

ხელნაწერებზე დართული ანდერძებიდან ირკვევა ზოგიერთი
 ნუსხის გადაწერის ადგილი, ასე მაგალითად, E — 30, E — 66 და
 S — 3677 პეტერბურგშია გადაწერილი, A — 1224 — თავრიზში,
 S — 4990 — ბაქოში. საყურადღებოა სამეფო ოჯახის წევრთა კუთვ-
 ნილი ნუსხები: ერეკლე II-ის ქალიშვილის თეკლა ბატონიშვილისა
 (S—4735), ერეკლეს შვილიშვილის ლუარსაბ იულონის ძისა (S —
 3677) და გიორგი XII-ის ძის თეიმურაზ ბაგრატიონის (E—30),
 აგრეთვე მარი ბროსესათვის გადაწერილი E — 66. საკმაოდ საინტე-
 რესოა და დანარჩენთაგან განსხვავებული ნიკოლოზ ბალინოვის³⁵
 მიერ გადაწერილი ნუსხები — A — 1244, H — 1383, H — 1308.

³⁵ ნიკოლოზ ბალინოვი XIX ს. პირველი ნახევრის მოღვაწეა და გადაწერილი
 აქვს მრავალი ქართული ხელნაწერი, მათ შორის ხელნაწერთა ინსტიტუტში
 დაცული Q—281, H—2159, H—2172. ამ უკანასკნელის მინაწერი გვამცნობს:
 „სჯულებათა წერილი ესე მეკუთვნის მე... დავით იოანეს ძეს თავადს აფ-
 ხაზოვს, რომლისათვისცა მივეცი ფასი ღირებული გადაწერსა ამისსა ბალინოვსა“.

მთელ რიგ ხელნაწერებში არსებული მინაწერებით შესაძლებელია ხდება დადგენა იმისა, თუ როგორ მოხვდნენ ისინი საცავებში. ასე მაგალითად, ქართველთა შორის წ/კ გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმში S — 197 ბ, და 197 დ ნუსხები ზ. კიკინაძის ბიბლიოთეკიდან მოხვედრილან, S — 4735 და S — 4740 — ისტორიკოს დიმიტრა ბაქრაძის ბიბლიოთეკიდან. S — 4990 ანტონ ფურცელაძეს შეუწირავს, ხოლო S — 5308 კი — ალ. ჯაბადარს. საისტორიო საზოგადოების მუზეუმისათვის შეუწირავთ: კირიონ ებსიკოპოსს — H-631. ნინო ბოლგარსკის — H — 960, ივანე ელიაშვილს — H — 1059, ექვთიმე თაყაიშვილს — H — 1359, ალ. ჯაბადარს — H — 1383. საეკლესიო მუზეუმისათვის თ. აჭორდანიას — A — 1138, ხოლო საქართველოს ცენტრ. არქივის ძველ ხელნაწერთა ფონდისათვის პოეტ-აკადემიკოს გ. ლეონიძეს — 226 № 497.

„მეფობა ირაკლი მეორისა“-ს ტექსტი ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ისტორიის“ ოთხ ხელნაწერზე დართული და ამ თხზულების უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს, ესენია ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული S — 4735 და A — 1111. ამ ნუსხებში ომან ხერხეულიძის თხზულება მთლიანად არის შეტანილი, S — 4990-ში იგი ჩართულია 1735 წლის ამსახველი ეპიზოდებიდან, ხოლო S — 3669-ს ტექსტში კი 1752 წლიდან. რაც შეეხება ხელნაწერ E — 30, რომელიც წარმოადგენს ე. წ. „მცირე ქართლის ცხოვრების“ კრებულს და გადაწერილია 1838 წ. თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ, მასში შესატყვისი ვრცელი კომენტარების დართვით „მეფობა ირაკლი მეორისა“ სეხნია ჩხეიძისა და პაპუნა ორბელიანის თხზულებებს უშუალოდ აგრძელებს 1759 წლიდან.

დასახელებული ნუსხებიდან პირველი სამი (S — 4735, A — 1111 და S — 4990) როგორც ითქვა, გადაწერილია XIX ს. პირველ მეოთხედში და ქრონოლოგიურად უფრო ადრინდელია, ვიდრე „მეფობა ირაკლი მეორისა“-ს ცალკე არსებული ნუსხები. ეჭვგარეშეა, რომ ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომთან შერწყმამდე მრავლად იყო ამ თხზულების ცალკეული ნუსხები (სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა ამ ორი თხზულების შერწყმა), რომლებმაც გარკვეულ მიზეზთა გამო ჩვენამდე ვერ მოაღწიეს.

დასასრულს, საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ ორი ხელნაწერის მინაწერზე: H — 718 ხელნაწერში, რომელიც XIX ს. პირველი მეოთხედით თარიღდება, იმ ადგილას, სადაც აღწერილია ლევან ბატონიშვილის დაღუპვა, ძალზე მკრთალი მელნით (ისე რომ აღმწერელს ვერც კი შეუნიშნავს) მიწერილია: „მოკვდა ლევან და მის წილ იმე-

დად აღუჩნდათ ღავით, შვილისშვილი მეფისა, გიორგის ძე და ახლა ამისი ომ[ე]ები უნდა დაიწეროს“. ეს მინაწერი, თუ პალეოგრაფიულ მონაცემებს გავითვალისწინებთ, ჩვენი ვარაუდით, თეიმურაზ პატონიშვილს უნდა ეკუთვნოდეს, რომელსაც უკვე ჩანაფიქრში უნდა ჰქონოდა თავისი თხზულებანი: — „ღავით ბაგრატიონის ისტორიის“ — შექმნა და ხელსაყრელ მომენტში ეს ფაქტი აღნიშნა³⁶.

ჩვენთვის საყურადღებო მეორე ხელნაწერში — S — 3669 (თარიღდება XIX ს. პირველი მეოთხედით) ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომზე დართული „მეფობა ირაკლი მეორისა“-ს ძირითადი ტექსტი ასე მთავრდება: „...და მტყვიდა ალა-მამად-ხან და ალაოხრა ტფილისი და ამისთვის არა რაჲ დამიწერიეს ჭერეთ, ვინაითგან მიზეზნი და ვითარებანი განვრცელდებოდნენ.

წელსა 1795-ს ქ(ორონი)კ(ონ)ს უპგ განძლიერდა 'ყაჯარი ალა-მამად-ხან“. ამის შემდეგ განსხვავებული ხელით გრძელდება: „გარნა ამასცა პირველად ჰქონდა დიდი შიში და მორიდება მეფის ირაკლისა ესრეთ, რომელ როდესაც ალა-მამად-ხან სარდალმა დაიჭრა ისპანნი და მთელი ერანი და ჰყვანდა თავისს ბრძანებაში ორმოცი ათასი ჯარი, იმ ჟამად ენახა ერთი ციციშვილი გლახა, ქალაქის მოურავის ბიძაშვილი, სპარსეთში წასული თავისის ნათესაეების სანახავად, ის გამოუსტუმრებია მეფეს ერეკლესთან და ასე დაებარებინა: „მე თქვენთან დიდის დოსტობის და მეგობრობის მდომი ვარ, მსურს, რომ მე და შენს შუა სიყვარული და მეგობრობა იყოს. ამ პირობასაც აძლევდა, რომ აღრიბეჟანის ალაგები, რომელიც თქვენი მხარე იყოს, თქვენთვის აღილოთ სამკვიდროდ, როგორც ერევანი გიჭირავსთ. და კიდევ ეძებდა რუსეთის ხელმწიფის ერთგულებას მეფის ირაკლის შუამავლობით და სიტყვით ჰპატიჟობდა მეფეს, რომ რუსეთსა და იმის შუა საქმის დამწყობი იყოს და თავისის მხრიდან ამაზედ ნებას აძლევდა იმ ციციშვილის დაბარებით და სიტყვით. ეს იყო პირველის ჟამის ვერაგობა მისი მეფესთან“ (121 v).

ეს მინაწერი გაკეთებულია საქართველოზე ალა-მამად-ხანის თავდასხმის შემდეგ, არაუგვიანეს XIX ს. პირველი მეოთხედისა (ჭვირნიშნის მიხედვით S — 3669-ის ქალაღდი 1814 წლით თარიღდება) და საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც მიგვანიშნებს იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულებას ალა-მამად-ხანის პოლიტიკის მიმართ.

³⁶ თეიმურაზმა ეს ნაშრომი 1831 წ. დაამთავრა. იხ. თეიმურაზ ბაგრატიონი, ღავით ბაგრატიონის ისტორია, ტექსტი გამოსცა თ. ენუქიძემ, თბ., 1972, გვ. 7.

დასასრულს, საგანგებოდ შევჩერდებით „მეფობა ირაკლი მეორისა“-ს სამ ხელნაწერზე, რომლებიც გამოყენებული გვაქვს წინამდებარე გამოცემის ტექსტის დადგენისათვის. ჩვენი გამოცემის ძირითად ნუსხად აღებული გვაქვს სსრკ მეცნ. აკადემიის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ფონდში დაცული E—66 ხელნაწერი, რომელიც A ლიტერით გვაქვს აღნიშნული. იგი აღწერილი აქვს რ. ორბელს³⁷.

ხელნაწერი გადაწერილია 1838 წ. პეტერბურგში სვ. ტაბიძის მიერ მარი ბროსესათვის. ამ ხელნაწერის დედნად სვ. ტაბიძეს გამოუყენებია ირაკლი მუხრანსკის კუთვნილი ნუსხა, რის შესახებაც სპეციალურად არის აღნიშნული ხელნაწერის ყდის შიდა მხარეს მიწებებულ შემდეგ ნაბეჭდ ტექსტში: „38 (№ 93—22X18 cm 1+62pag.+6foe. 16lin)—G. ცხოვრება მეფის ირაკლი მეორისა, ომან მდივნისა ხერხეულიძისაგან მოთხრობილი—[Oman] Kherkheculidze, Vie du roi Iracli II (Copie sur l'exempaire d'Erekle prince de Moukhran, par Simon Tabidze du Gouria). 183~BA. n°141, IV 253“.

ტექსტის დასაწყისში მოთავსებულია სათაური „მეფობა ირაკლი მეორისა, მეფის თეიმურაზის ძისა, შემოკლებული ისტორია ირაკლი მეორისათვის, თუ ვითარითა შრომითა მიიღო მან მეფობა ქართლისა, რომელსაცა გარდამატებულისათვის სიმხნისა მისისა პირველად მიუბოძა ჰაპ-ნადირ კახთ მეფობა და შემდგომად შეაერთა მან სკიპტრადი ორ-მეფობითი“ (2r). ხელნაწერს გარედან გაკეთებული აქვს ქალღლის ყდა, რომლის recto-ზე მიწერილია: „ცხოვრება მეფის ირაკლის მეორისა, ომან მდივნისა ხერხეულიძისაგან მოთხრობილი, 1838, ბროსეტ“³⁸. ეს გვერდი ბროსეს ავტოგრაფია. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ თხზულების ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებს შორის თეიმურაზ ბატონიშვილისეული ხელნაწერის (E—30) შემდეგ მხოლოდ E—66 იმეორებს ცნობას თხზულების ავტორის ვინაობის შესახებ³⁹.

ხელნაწერის ტექსტში ვხვდებით დ. ჩუბინაშვილის მუშაობის კვალს, კერძოდ, მის მიერ ფანქრით გაკეთებულ ორთოგრაფიული ხასიათის ჩასწორებებს (მაგ. ტექსტში ყველგან „ქსანი“ გადახაზულია და შესწორებულია „ქსანი“). აღნიშნული ხელნაწერის დ. ჩუბინაშვილისეულ გამოცემასთან შეჯერებისას დავადგინეთ, რომ იგი (E—66) ჩუბინაშვილს თავისი გამოცემის დედნად გამოუყენებია

³⁷ P. P. Орбели, დასახ. ნაშრ., გვ. 25—26.

³⁸ ხელრთვა.

³⁹ იხ. P. P. Орбели, დასახ. ნაშრ., გვ. 24—26.

1854 წ.⁴⁰, თუმცა თვითონ ამის შესახებ არაფერს ამბობს წინასიტყვაობაში. აქვე გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ჩუბინაშვილისეულ გამოცემაში თხზულების ტექსტის კიდევებზე მოთავსებული ციფრები (1-დან 62-მდე) ხელნაწერ E — 66-ის გვერდების მითითებაა.

„მეფობა ირაკლი მეორისა“-ს ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერებიდან A ტიპს მიეკუთვნებიან: S—197 ა, 197 ბ, 197 დ, 1559, 3669, 3577, 4735, 4740, 4990, 4997, 5308, A — 1111, 1138, 1224, 1178, Q—337^ა—4, H—718, 1049, 1359, 1383, 1779.

B ლიტერით აღნიშნული გვაქვს კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული A¹—1244 ხელნაწერი⁴¹. იგი შეიცავს ომან ხერხეულიძის თხზულებას სათაურით „შემოკლებული ისტორია ცხე-ბულის მეფის თეიმურაზისა და ძისა მისისა მეფის ირაკლი მეორისა“. ხელნაწერი შედგება 56 ფურცლისაგან, მთელი ტექსტი სინგურით მოხაზულ ოთხკუთხედ ჩარჩოებშია მოქცეული, თხზულების ტექსტზე დართული ანდერძის მიხედვით იგი 1840 წ. 15 დეკემბერს გადაუწერია „ტიტულიარნი სოვეტნიკს“, ნიკოლოზ მოსეს ძე ბალინოვს. მასვე ტექსტისათვის შეუდგენია დაწვრილებით სარჩევი, რომელსაც აქვე. გამოცემის ბოლოს დამატებაში ვურთავთ.

ხელნაწერის ტექსტზე დაკვირვებისას აღმოჩნდა, რომ B ტიპის ნუსხა A ტიპის ტექსტიდან მომდინარეობს და ამ უკანასკნელისაგან განსხვავდება იმით, რომ იგი გადამწერის მიერ შევსებულია მთელი რიგი საინტერესო ეპიზოდებით. ასეთებია:

1. 1737 წ. ნადირ-შაჰის მიერ სინდეთის დასაპყრობად ჩატარებულ ბრძოლაში ერეკლეს მახვილგონივრულ რჩევას შაჰი აღტაცებაში ჭოუყვანია, ამ ეპიზოდის შესახებ ომან ხერხეულიძე წერს: „...ნადირ-შაჰს გაემარჯვა და მთელი ინდოეთის სახელმწიფო დაიპყრა, მუნით დაბრუნდა და სინდეთს შევიდა“. ამის შემდეგ ბალინოვის მიერ გადაწერილ ტექსტში ვკითხულობთ: „...და ოდეს სამძღვარს მოადგა, იხილა ქვა ერთი ინდოეთისა და სინდეთის განმყოფელი, აღმართული ძეგლათ, ამაღ რომე ვინადგან ინდოეთისა და სინდეთის კელმწიფეთ აქვნდათ ყოველთვის ბრძოლა სამძღვარსა ზედა, ამისთვის შეყრილ იყვნენ სახელოვანი მოლანი, ახუნდი და სხვანი ერთგანიცა მრავალნი ორისავე მხრივ, აღემართათ მუნ ქუა იგი და ზედა წაეწერათ წყევა დიდი სამტეროდ მას სამძღვარს გარდამსვლელთა თვის იმიერ, გინა ამიერ. და ესე რა აღმოიკითხა ნადირ-შაჰმა, დაუმ-

40 იხ. ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეთაფრამეტე საუკუნემდის, ნაწ-11, გამოცემული დ. ჩუბინოვისაგან, სპბ, 1854, გვ. 475—500.

41. ხელნაწერი აღწერილი აქვს ქრ. შარაშიძეს, იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, (A) კოლექცია, ტ. IV, ლასახ. გამოც., გვ. 298.

ძიმა და მოხედა რა, იხილა თვის თანა ირაკლიცა და რადგან ღრიალი სურვა აქენდა სინდეთისა, ამად პრჳვა ირაკლის: შენ რასა იტყვი ქვისა ამისთვის, რომელსა ზედა წყევა დიდი სწერია? უკუნქცევა სჯობს, იუ ფიცის ამისა გატეხა და სინდეთს შესვლა. რა მოისმინა ესე ირაკლიმან, მყისად გარდმოხდა ცხენით და დადგა უშიწრად წინაშე მისა და მოახსენა: კელმწიფო, რად შეიჭირვებ საქმისა ამისთვის თავმან თქვენმან, ვგონებ ქუა ესე არა იყოს ტვირთი მძიმე, სპილოთა ზედა შევსდვად, ვიდოდეს სპილო იგი ყოველთა წინ და მას შეუდგებოდეს მხედრობა თქვენი ვიდრეცა გენებოსთ. ამ სიტყვასა ზედა ფრიად მოხარულ იქმნა ნადირ-შაჳ და ჯილდოდ უბოძა ირაკლის ოცი ათასი ოქრო, უბრძანა ალაშში მოსვლა, უჩვენა მარჯვენით კერძო უპირველესი ადგილი ზემოთ ხსენებისა და წყალობაცა მრავალი აღუთქვა, ხოლო მოხსენებასა მას მისსა ზედა უბრძანა ნადირ-შაჳმა ქვისა მის შედება სპილოსა ზედა და ეგრეთ იწინამძღვრა ქუა იგი და შეუდგა მხედრობა უკანით მისსა და შევიდნენ სინდეთს და დაიპყრეს ყოველი სახელმწიფო სინდეთისა მრავლითა ბრძოლითა“⁴².

2. 1752 წ. ნუხის ხან აჯი-ჩალაბთან ბრძოლაში თეიმურაზი და ერეკლე დამარცხდნენ. ამ ბრძოლის დროს თავი გამოუჩენიათ ძმებს დავით და პაატა ლარაძეებს, რომელთა გმირობის შესახებ ჯბალინოვი-სეულ ტექსტში ვკითხულობთ: „ხოლო მაშინ გულოვახი იგი გმირი დავით ლარაძე ძლიერად სდგა ბრძოლასა შინა, რომელმანცა მოართვა მეფეთა სამი ჩინებულთა მებრძოლთა თავი, გარნა ძმა მისი პა[ა]ტა მოკლეს ბრძოლასა შინა და ესრეთისა შემთხვევისა მიერ მკმუნვარენი შემობრძანდნენ ტიფლიზსა შინა“ (აქვე, გვ. 50).

3. 1755 წ. ყვარლის ციხის ალყის გარღვევისას იგივე დავით ლარაძის დამსახურება ტექსტში ასეა გადმოცემული: „მოვიდნენ განძინებულნი ციხესა ყუარელისასა, რათა აღიღონ იგი ამათ; შეწუბდნენ ფრიად მყოფნი მას შინა უმეტეს მისთვის, რამეთუ მოუჭრეს წყალი, შემოაკლდათ ტყვია-წამალიცა, რომლისათვის მცსენეს თავნი თვისნი ყუარ[ლ]ელთა განწირულებასა. ხოლო მაშინ გულოვანი იგი ჭაბუკი ლარაძე, სახელით დავით, მყოფი მასვე ციხესა შინა, განამხნობდა ყუარ[ლ]ელთა მათ რაოდენგზის შესაძლებელ იყო, გარნა

⁴² წინამდებარე გამოცემა, გვ.41. ეს ეპიზოდი თავის ნაშრომში მოტანილი აქვს ს. ქიშინიძესაც, რომელიც ამის წყაროდ თხზულების ბროსესეულ ფრანგულ გამოცემას ასახელებს, იხ. Походы Надир-шаха в Герат, Кандагар, Индию и со-бытия в Персии после его смерти, составил ген.-лейтенант С .О. Кишмишев, Тифлис. 1889, с. 210.

თავის მხრივ, ბროსე ამ ეპიზოდის წყაროდ უთითებს გაზ. „Кавказ“, -ის 1854 წ. № 27-ის 107 გვ.-ზე გამოქვეყნებულ ი. დოდაშვილის წერილს: „Юность грузинского царя Ираклия Второго“.

იხილა რა მან უკანასკნელ, მოკლებულ არიან მათგან ყოველნი ძალ-
 ნი მათნი, ჰრქვა მათ ნუ ჰსჭმუნავთ, ძმანო ჩემო, მე დავსთხოო სის-
 ზლი ჩემი თქვენ ქრისტიანეთათვის, ამას ღამესა წარვიდე და ძალითა
 შაღლისათა გიშოვოთ თქვენ წყალი. და რა შეიქმნა მწუხარი და წყუ-
 ღიადმან დაფარნა ქვეყანა, გამოვიდა იგი ციხით აღთქმისაებრ თე-
 სისა მათ მიმართ, მივიდა მუნ, სადაცა მოეჭირათ წყალი, რომელსა
 ზედაცა იდგნენ მცველად ავარის ხანისაგან ათორმეტნი ყარაულნი.
 ხოლო მან განვლო უშიშრად შტერთა იგი ბანაკი, მცველნი იგი და-
 ხოცნა ხანჯლითა და წყალი: მიუგდო ციხესა შინა. და ოდეს იხილეს
 ციხოვანთა წყალი, განამხნენ ფრიად და აღივსნენ სიხარულითა. ხო-
 ლო ლომი იგი დავით მსწრაფლ წარვიდა მეფეთა წინაშე, აცნობა
 საქმე ესე. მაშინ გამოარჩივნეს მხენი ვიდრე ორასადმდე, უწინამძ-
 ღვრეს მათ დავით და წარატანეს ტყვია-წამალი მეფეთა ციხისა
 შისაშველებლად. ხოლო მათ, ვითარცა მსხვერპლად შემწირველთა მე-
 ფეთადმი თავთა თვისთა, გამოვლნეს ბანაკნი თვისი და ოდეს მივიდნენ
 შტერთა ბანაკსა, მყის ერთპირად დაუთალაბთა მათ დასცალნეს თოფ-
 ნი. მაშინ აღირივნა სიმრავლე იგი გამოდგომილთა შტერთა და აღრე-
 ვასა მას შინა შევიდნენცა გამზადებული იგი ციხეს შინა, რომლისა-
 თვისს მეციხოვნენი აღივსნენ უზომოითა სიხარულითა“.

აღნიშნული ფაქტები ლარაძეთა გმირობისა და დამსახურების
 შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არ არის ცნობილი.
 გარდა ამისა, B ტიპის ხელნაწერებში მრავლადანა წარმოდგენილი
 ერეკლეს ხოტბისა და ქება-დიდების ნიმუშები, რაც არ გვხვდება და-
 ნარჩენ ნუსხებში. ასე მაგალითად: „გარნა ირაკლიმ, ვითა ლომმან,
 შემოუჭახა თვისთა“, „გარნა მხნესა მას ლომსა ბრძოლასა შინა მოს-
 ცა ღმერთმან გამარჯვება“, „ირაკლიმან ხმა უყო სპათა თვისთა და
 ვით შავარდენი, ეგრეთ მიეტევა მათ“, „გარნა მეფე ირაკლი, ვი-
 თარცა ქორი თულუნი, სდევდა მათ და სადაც მოასწრის, ჰხოც-
 დის მათ თვინიერ ყოვლისა შეწყალებისა“, „გაექანა ირაკლი, ვითარ-
 ცა ფრთოვან ქმნილი არწივი“ და სხვა.

ჩვენამდე მოღწეული ნუსხებიდან ამ ნიშან-თვისებათა მიხედვით
 B ტიპს მივაკუთვნეთ: H — 1383¹³, H — 960, H — 631 (ფრაგმენტი),
 H — 1308.

*

* * *

წინამდებარე გამოცემაში ვაქვეყნებთ „მეფობა ირაკლი მეორე-
 სა“ს. თეიმურაზ ბაგრატიონისეულ ვერსიასაც, რომელიც მოთავსე-

¹³ გადწერილია ბაღინოვის მიერ 1835 წ. და დანარჩენთაგან განსხვავდება
 იმით, რომ არ ერთვის სარჩევი.

ბულია სსრკ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში დაცულ ხელნაწერში E — 30. იგი წარმოადგენს კრებულს, ე. წ. „მცირე ქართლის ცხოვრება“-ს, რომელშიც შესულია სეხნია ჩხეიძის, პაპუნა ორბელიანისა და ომან ხერხეულიძის თხზულებები. გადაწერილია 1838 წ. პეტერბურგში, ვრეკლე II-ის შვილიშვილის — თეიმურაზ გიორგის ძე ბაგრატიონის მიერ. ხელნაწერი აღწერილი აქვს რ. ორბელს⁴⁴.

კრებულში შესული პაპუნა ორბელიანის თხზულება შეიცავს 1739 — 58 წლების ფაქტებს, ამისი შემდგომი პერიოდის ისტორიის გადმოსაცემად (1759—1780-იანი წლები) თეიმურაზ ბაგრატიონი იყენებს ომან ხერხეულიძის თხზულებას „მეფობა ირაკლი მეორისა“, რომელსაც ურთავს თავის საკუთარ ვრცელ კომენტარებს. ტექსტის დასაწყისში თეიმურაზ ბაგრატიონი შენიშნავს: „შემდგომნი, რაიცა დაშთენიეს მოთხრობანი პაპუნა ორბელიანსა დიდებულისა მეფისა ცხებულისა თეიმურაზ მეორისა და ძისა მათისა, დიდებულისა მეფისა ირაკლისა, ღირს-სახსოვართა ამათ მეფეთა, იწყებინან შემოკლებით აქათგან, თავადის ომან მდივნის ლაშქარნივისის ხერხეულიძისაგან აღწერილიდამ არიან გამოწერილნი, მეფის ვრეკლეს ლაშქარნივისი იყო ეს ომან“ (გვ. 173). ტექსტის დასასრულს თეიმურაზ ბაგრატიონი კვლავ იმეორებს: „თავადი ხერხეულიძე ლაშქარნივისი ომან მდივნის აღწერილისაგან, რომელსაცა უღვაწიეს გულსმოდგინებით, თუმცა მრავალი ამბავი აკლია ამ ისტორიას ღირს-სახსოვარნი“. აქვე მოთავსებულია თეიმურაზის ანდერძიც:

„ქ. სრულ-ვყავ აქამომდე ისტორია ესე მე, სრულიად საქართველოს მეფის ჭიორგის ძემან თეიმურაზ. რაჲცა აკლია ბოლოს ამა ამბავთა მეფის ვრეკლესთა ვიდრე აღსასრულამდე მისსა, იჩიეთ ჩემ მიერ აღწერილსა შინა ჩემის უხუცესის ძმის, ს(რულია)დ საქართველოს მეფის ძის დავითის და მემკვიდრის ისტორიასა ცხოვრებისა მისისა, რომელიცა ითარგმნა ფრანციტულსა ენასა ზედა მუსეიე ბროსეტის მიერ, რომელიცა არს ფრანცუზი ბუნებით, მეცნიერი ქართულისა ენისა, ჩლენი როსიისა აკადემია ნაუკისა და წევრი პარიჟის მეაზიელისა საზოგადოებისა, კაცი ფრიად კეთილი, მოყვარე ქართველთა, სიბრძნის მოყვარე, განათლებული გონებითა, მოყვარე და მაქებელი ქართულისა ენისა. მისგან ნათარგმნი ზემოხსენებული ესე ისტორია აღბეჭდილ არსცა ფრანციტულად და ქართულად სამეუფოსა ქალაქსა შინა პარიჟს“⁴⁵ ხოლო ესე კელითა ჩემითა აღვსწერე

⁴⁴ P. е л и, დასახ. გამოც., გვ. 24—25.

⁴⁵ თეიმურაზ ბაგრატიონი გულისხმობს 1831 წ. პარიზში მ. ბროსეს მიერ ლიტოგრაფიულად გამოცემულ მისი თხზულების „დავით ბაგრატიონის ისტორიის“ ტექსტს.

სანკტ-პეტერბურგს. დიდება ღ(მერ)თსა სრულმყოფელსა — ყოველთა-სა. ამინ!“

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ჩვენამდე მოღწეული ნუსხებიდან მხოლოდ აჲ ერთადერთმა ხელნაწერმა შემოგვინახა თხზულების ავტორის ომან ხერხეულიძის ვინაობა. ეს ცნობა შემდეგში მარი ბროსემ შეიტანა სიმონ ტაბიძის მიერ მისთვის 1838 წ. გადაწერილ ხელნაწერში (E — 66)⁴⁶.

თხზულების გადაწერისას თეიმურაზ ბაგრატიონს ხელთ ჰქონა A რედაქციის ხელნაწერი, რომლის მთელ რიგ ადგილებს თვითონ ავრცობს და ახალ მასალებს უმატებს, მაგალითად, ასეთებია ცნობები ქარიმ-ხან ზენდის მოღვაწეობის შესახებ (77—78 გვ.), ერეკლესა და ტოტლებენის ურთიერთობის (78—80 გვ.), ასპინძასთან ოსმალ-ლეკთა წინააღმდეგ გამართული ბრძოლის (გვ. 79—82), თუშ ნაკლდასა და კოხტა ბელადის მკვლელობის (გვ. 81—82), მირზა გურგინა ენაკოლოფაშვილის დიპლომატიური მოღვაწეობის (90—91 გვ.). შესახებ და სხვა. ტექსტში მრავლად არის ჩართულნი თეიმურაზის კომენტარები მაგ. ერეკლესა და აზატ-ხანის ურთიერთობის (გვ. 77), ქარიმ-ხანის სპარსეთში მოღვაწეობის (გვ. 77—78), სულეიმან-ფაშასთან ერეკლეს ურთიერთობის (85—87 გვ.) ამსახველ მასალებთან დაკავშირებით. ხშირ შემთხვევაში თეიმურაზი ცალკეულ სიტყვათა თუ ტერმინთა განმარტებასაც იძლევა. მართალია ეს დამატებითი მასალები არ ეკუთვნის ომან ხერხეულიძეს, მაგრამ თეიმურაზ ბაგრატიონმა ისინი ომანის თხზულების შევსებისა და გავრცობის მიზნით ჩაურთო ტექსტში, ამიტომ ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ წინამდებარე გამოცემაში ამ მასალისთვისაც დაგვეთმო სათანადო ადგილი.

„მეფობა ირაკლი მეორისა“—ს ბაგრატიონები და თარგმანები

ომან ხერხეულიძის თხზულების „მეფობა ირაკლი მეორისა“ ერთი, შედარებით მცირე ნაწილი პირველად გამოქვეყნებულ იქნა 1832 წ. დაბეჭდილ ს. დოდაშვილის წერტილში: „მეფობა ირაკლი მეორისა“. რომელიც დაიბეჭდა გაზეთში „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი (იხ. №№ 3—4, გვ. 49—58, 73—80). წერილი იწყება ერეკლეს მოკლე ბიოგრაფიული ცნობებით, სადაც ქრონოლოგიურ შეცდომებსაც ვხვდებით (მაგ. ერეკლეს დაბადების თარიღად მოცემულია 1816 წ. ნაცვლად 1820 წ.), შემდეგ ამას მოსდევს ომან ხერხეულიძის თხზულების ტექსტის ნაწილი, რომელშიც თხრობა იწ-

⁴⁶ ხელნაწერის აღწერილობა იხ. P. Офенли, დასახ. ნაშრ., გვ. 25—26.

ეჭება 1736 წლიდან, როცა ნადირ-შაჰმა ყანდაარს მყოფ თეიმურაზს განთავსუფლების პირობად ერეკლეს ჩამოყვანა მოსთხოვა (იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 40) და წყდება ერეკლესა და აზატ-ხანს შორის გარანაჩისთან მომხდარი ბრძოლის აღწერით (იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 51). ტექსტის ბოლოს მოთავსებულ შენიშვნაში ს. დოდაშვილი წერს: „შემდგომი მეფის ირაკლის ისტორია დასასრულამდე იქმნების დაბეჭდილი სხუა დროს“. ვინაიდან წერილში თხზულების ავტორი არსად არ არის ნახსენები, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ იმ დროისათვის ს. დოდაშვილს ხელთ არაჰქონია რაიმე ცნობა ავტორის ვინაობის შესახებ.

აღნიშნული წერილი თავის დროზე შეფასებულ იქნა მკვლევარ მ. ბერძნიშვილის მიერ, რომელიც წერს: „ნაწარმოები მეორე აზნა-ციდან ბოლომდე წარმოადგენს ისტორიკოს ომან ხერხეულიძის (გარდ. 1805 წ. იენისის დამლევის) თხზულების შემოკლებულსა და თავისუფალ (ნაწილობრივად) თხრობას, ეს ნათლად ჩანს იმ ორი-ოდე შენიშვნითაც, ტექსტს რომ აქა-იქ დაერთო სქოლიოთა სახით. მაგრამ არის ავტორიზებული ადგილებიც, მაგალითად, ომანის მიხედვით, აზატ-ხანთან ბრძოლის წინ ირაკლი ეტყვის ქართველ ჯარს: „...თქვენ ჩემის განძლიერებისა და ჩემის გულისთვის იხოცებით...“ სოლ. დოდაშვილი კი ირაკლის ათქმევიანებს წინაუთმოს: „ნუ ჰგონებთ, რომელ მე სისხლსა თქვენსა ვღვრიდე განძლიერებისათვის შემძლებლობისა ჩემისა!...“ სოლ. დოდაშვილის ენა ომანთან შედარებით უფრო მძიმეა“⁴⁷.

„ეჭობა ირაკლი მეორისა“ რუსულ ენაზე თარგმნილი, პირველად 1851 წ. იქნა გამოცემული გაზ. „Кавказ“-ში სათაურით „Летопись о царе Ираклие II и о том, каким образом он получил царство“⁴⁸. ტექსტის დასაწყისში მოთავსებული რედაქტორის შენიშვნიდან ირკვევა, რომ ხელნაწერის ქართული ტექსტი, გადაწერილი თავრიზში უცნობი პირის მიერ, ნაპოვნია გორის მაზრაში მცხოვრებ ნახუცრიშვილის ოჯახში „ვინმე მელვინეთხუციშვილის“⁴⁹ მიერ, რედაქტო-

⁴⁷ სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი ა. ბოკორიშვილისა და ს. ხუციშვილის რედაქტორობით, თბ., 1961, გვ. 377.

⁴⁸ „Кавказ“, 1851, № 20, 21, 26.

⁴⁹ ეს „ვინმე მელვინეთხუციშვილი“, ჩვენი ვარაუდით, უნდა იყოს დიმიტრი კონსტანტინეს ძე მელვინეთხუციშვილი (1815—1878 წწ.), ისტორიკოსი და მწერალი, რომელიც ბროსესთან ერთად ეწეოდა მუშაობას ქართული საბუთებისა და ხელნაწერების შეკრება-გამოქვეყნების დარგში. მის შესახებ იხ. მ. ბერძნიშვილი მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის წ. II თბ., 1983, გვ. 102; აგრეთვე ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 6, გვ. 635.

რის თხოვნით აღნიშნული ტექსტი რუსულად უთარგმნია სოლ. დოდაშვილის ვაჟს ი. დოდაშვილ-მალაროელს. როგორც ტექსტის მთარგმნელის, ისე რედაქტორისათვის თხზულების ავტორის ვინაობა უცნობი ყოფილა⁵⁰.

თხზულების ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებს შორის აღმოჩნდა ნუსხა A — 1224. რომელიც წარმოადგენს ფრაგმენტს (შედგება 2 ფურცლისაგან). მასზე შემორჩენილი ტექსტიდან ირკვევა, რომ იგი A რედაქციის ხელნაწერია. მასზე დართული ანდერძი გვამცნობს: „ქ. წელსა 1820, ქ(ორონი)კ(ონ)ს ფზ, გადაიწერა წიგნი ესე და ანბავი მეფის თეიმურაზისა, მეფის ირაკლისა თავრიზს, ძველს კობიოდაჲ, არც მეტი არც ნაკლები. ეს წიგნი ზაალ ნახუცროვისა არის“ (2რ). როგორც ჩანს, ვახეთ „Кавказ“-ში მოხსენიებული ხელნაწერის მფლობელი „ნახუცრაშვილი“ და A — 1224 ანდერძში დასახელებული ზაალ ნახუცროვი ერთი და იგივე პირია, ამასთანავე, ორივეგან მოხსენიებული ხელნაწერის გადაწერის ადგილი—თავრიზიც არ უნდა იყოს შემთხვევითი. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, ვახ. „Кавказ“-ის რედაქციაში მოხვედრილი თხზულების ხელნაწერი სწორედ A — 1224-ია. ამ ფრაგმენტის შემორჩენილი ტექსტის შესწავლის შედეგად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაირკვა რომ იგი A ნუსხის ტიპისაა.

თხზულების ი. დოდაშვილისეული თარგმანის დასაწყისი ნაწილი თითქმის ზუსტად მიყვება ქართულ დედანს, მომდევნო ნაწილში კი შეიმჩნევა ტექსტის შემოკლებითი და თავისუფალი თარგმნა. არაფერია ნათქვამი მირზა გურგინას მოღვაწეობაზე, მორიგე ჯარის შექმნაზე, ძალზე შემოკლებულად არის გადმოცემული ცნობები ტოტლებენის მიერ ჩატარებული საბრძოლო ოპერაციებისა და საერთოდ საქართველოში მისი მოღვაწეობის შესახებ. გარდა ამისა, თარგმანში გადაადგილებულია დედნისეული ეპიზოდები ლეონ ბატონიშვილის შესახებ, აგრეთვე ერეკლეს მიერ ორგანიზებული ვერცხლის საბადოების შესახებ. ასევე შეცდომით არის მითითებული დედანში აღნიშნული ერეკლეს მიერ აღდგენილ-განახლებულ ციხე-სიმაგრეთა რაოდენობა — ასსამოცის ნაცვლად დასახელებულია სამოცი და სხვა. ყველაფერი ეს ძალზე მოკლედ არის შეჯამებული ტექსტის ბოლოს და თხრობა მთავრდება შემდეგნაირად: „Ираклий в своё царствование

⁵⁰ შენიშვნის ტექსტი მოგვყავს სრულად: „Летопись эта найдена Г. Мегвиштхуцесовым в Горийском уезде у дворянина Нахуцерашвили. Написана она неизвестным лицом в Тавризе, вероятно, кем-нибудь из грузин, состоявших в свите Ираклия. Считая этот неизданный документ довольно интересным и важным для истории Грузии, мы попросили г. Додаева-Магарскаго перевести его по-русски. г. Додаев с благородною готовностью согласился.“

პსტროილ დო 60 კრესთეი, ვოზბოვნოილ — გორიისკოი, სიგნახსკოი, ტელავსკოი, ბოდჯორმსკოი, დჯეოტსკოი, სუვარელსკოი, სააუბსკოი, ერგნეტსკოი, ტედსკოი, პატარდზეულსკოი ი ნარიისკოი. ოტკროილ სერებრიანა რუდო ვი სომხეთი ი პრიზოვალ იზ გრეციი მასტოვო დოა ობროტკი იხ. ოსტანოვილ პრავიტელსთენნილი ლიდა ვი გოროდო დო დერევიხო, ცო მნოგო სპოსობსთოვოლო კ ბლოგოდენსთიო ნოროდო. ნო პოდ კონეც სოეი ჟიზნი ონ ლიშილსა ლიბოიმაგო სიანო ლეონო ი ობსთოიელსთო ეტო რაზსტროილო ვსე სტო პლანი ი ბუდუშიანა ნადეჟდი ვოზრასთოიეო ცარსთოვო.

გარდა იმისა, რომ თარგმანში დარღვეულია თხრობის დედნისეული თანმიმდევრობა, ვხვდებით ქრონოლოგიურ უზუსტობებსაც, მაგალითად, ყვარლის ციხის ალყის თარიღად დასახელებულია 1753 წ. ნაცვლად 1755 წლისა, ჩონჩოლ-მუსას თავდასხმის თარიღად კი — 1755 წ. ნაცვლად 1759 წლისა და სხვ.

აღნიშნული თარგმანის გარდა ი. დოდაშვილს იმავე გაზეთ „კავკაზ“-ში 1854 წ. გამოუქვეყნებია წერილი სათაური: „Юность Грузинского царя Ираклия II-го“⁵¹ ამ წერილში იგი აღწერს ომან ხერხეულიძის თხზულების იმ ეპიზოდს, სადაც საუბარია ირანს მყოფი თეიმურაზის მიერ გამოგზავნილ წერილზე, რომელშიც იგი (თეიმურაზი) ნადირ-შაჰის ბრძანებას აცნობს ერეკლეს და ირანის სატახტო ქალაქში იხმობს. აქვე საკმაოდ ვრცლად არის მოთხრობილი ნადირ-შაჰის მიერ წამოწყებულ სინდეთის ლაშქრობაში ერეკლეს სამარჯვისა და გონებაშახვილობის ამბავი ისე, როგორც ეს B ტიპის ხელნაწერშია გადმოცემული. რადგანაც ზემოთ აღნიშნულ თარგმანში ეს ეპიზოდები არ არის შესული, ხოლო ის ფაქტი, რომ ეს მასალა ომან ხერხეულიძის თხზულებიდან არის აღებული, უდავოა, ვფიქრობთ რომ ი. დოდაშვილს მოგვიანებით ჩაუვარდა ხელთ თხზულების B ტიპის რომელიმე ხელნაწერი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას რომ თავიდანვე ხელთ ჰქონოდა ორივე ტიპის ნუსხები, ეს ეპიზოდები 1851 წ. გამოქვეყნებულ თარგმანშიც აისახებოდნენ.

იგივე წერილი, ქართულად თარგმნილი, სათაური: „სიკბაბუკე საქართველოს მეფის ირაკლი ბ-სა“ გამოქვეყნებულ იქნა ჟურნალ „ცისკარი“ 1859 წ. ი. დოდაე-მალაროელის ხელმოწერით⁵².

ქართულად „მეფობა ირაკლი მეორისა“ სსრული ტექსტი ორჯერ არის გამოქვეყნებული. პირველად იგი გამოსცა დავით ჩუბინაშვილმა პეტერბურგში 1854 წელს⁵³. როგორც ჩვენამდე მოღწეული

⁵¹ იხ. გაზ. „კავკაზ“ № 27, 1854 წ., გვ. 106-108.

⁵² „ცისკარი“ № 10 1859 წ.

⁵³ „ქართლის ცხოვრება დასაბამითან მეათხრამეტე საუკუნემლას, ნაწ. II, გამოცემული დ. ჩუბინოვისაგან, სპბ., 1854, გვ. 475-500.

ხელნაწერების შესწავლით დადგინდა, დ. ჩუბინაშვილს ამ გამოცემის დედნად ჰქონია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში დაცული ნუსხა E — 66, რომელიც მარი ბროსესათვის სიმონ ტბიძეს გადაუწერია. ქართული გამოცემის ეს ტექსტი 1913 წ. უცვლელად გაიმეორა ზ. ჭიჭინაძემ⁵⁴.

თხზულების ნაწილი სათაურით: „ირაკლი II-ის მეფობა საქართველოში“ გამოქვეყნებულია ჟურნ. „ცისკარში“ 1862 წელს⁵⁵. ეს ტექსტი A ნუსხის ტიპისაა, მიეყება ჩვენი გამოცემის 38—67 გვერდებს და წყდება შემდეგი სიტყვებით: „ხოლო ესევეთარნი გამარჯვებანი ირაკლი მეფისაგან უანგარიშონი არიან და ამაღ ყოველნივე ვერ მოვიხსენეთ, არამედ იგი აღვრიცხეთ, რომელი ღირსად ხსოვნისა იყო და სხვანი მრავალნი წვრილნი გამარჯვებაები დავიდუმეთ“. პუბლიკაციაში არ არის მითითებული არც თხზულების ავტორი და არც გამომცემლის გვარი. ასევე ავტორის მიუთითებლად არის ციტირებული ომან ხერხეულიძის თხზულების შესაბამისი ნაწილი ვაზეთ „ივერიაში“ „ეგრის“ ფსევდონიმით⁵⁶ გამოქვეყნებულ წერილში სათაურით: „სამაგალითო ომი მეფე ერეკლესი სპარსეთის შაჰ აზატ-ხანთან ერევნის ახლო გარნაჩაიზე 1752 წ. ივნისში“⁵⁷. ამავე გზით „ივერიაში“ მოგვიანებით, 1890 წ. დაიბეჭდა მ. ჯანაშვილის გამოკვლევა სათაურით „მეფე, ერეკლე“, რომლის ბოლოს მოთავსებულ შენიშვნაში ავტორი წერს: „რაც შეეხება მეფე ერეკლეს ლაშქრობას, ამის ამბავი, მოთხრობილი ომან მდივნის მიერ, ცალკე დაიბეჭდება“⁵⁸.

1892 წ. გაზ. „ივერიის“ № 84 (23 აპრილის)-ში დაიბეჭდა გარსევანიშვილის წერილი „ყარა-თაფის ომი 1750 წ.“. ერთ შენიშვნაში ავტორი წერს: იხილეთ: 1. პაპუნა ორბელიანის ქრონიკა, 2. ომან ხეერხეულიძე, ერეკლე მეორის ცბა და 3. Прибавления к СПб ведомостям 1753, 23 ნოემბერი“.

* ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ „მეფობა ირაკლი მეორისა“ ჯერ კიდევ 1854 წ. იქნა გამოცემული დ. ჩუბინაშვილის მიერ, XIX ს. ქართულ პრესაში მხოლოდ 90-იანი წლებისათვის გვხვდება ცნობება ომან ხერხეულიძის ავტორობის შესახებ.

54 საქართველოს ცხოვრება, ახალი მოთხრობა 1469 წლიდან ვიდრე 1800 წლამდე, ორ წიგნად აღწერილი, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძის მიერ. ტფილისი 1913.

55 „ცისკარი“ № 1—2, 1862 წ., გვ. 1—27; 105—152.

56 „ეგრი“ თ. დ. ჟორდანიას ფსევდონიმია, იხ. გ. შიქაძე, ფსევდონიმების ლექსიკონი, თბ., 1966, გვ. 10.

57 „ივერია“, № 108, 1886 წ. (21 მაისი).

58 „ივერია“ № 110, 1890 წ.

არსებობს თხზულების მარი ბროსეს მიერ შესრულებული ფრანგული თარგმანიც, რომელიც 1857 წ. მანვე გამოსცა⁵⁹. აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნულ გამოცემებთან შედარებით ეს უკანასკნელი უფრო მაღალ დონეზე დგას, მაგ. ქართული გამოცემისაგან განსხვავებით ბროსეს ნაშრომის წინასიტყვაობაში გარკვევით არის მითითებული ის ხელნაწერი, რომელიც გამოცემას დაედო საუძეველად. ბროსეს განმარტებით, აღნიშნული ხელნაწერი მისთვის იულონ ერეკლეს ძის ვაჟს — ლუარსაბს გადაუცია⁶⁰. „მეფობა ირაკლი მეორისას“ ნუსხებს შორის მართლაც აღმოჩნდა ხელნაწერი S — 3677, რომლის ანდერძი გვამცნობს: „აღუკსწერე ისტორია ესე მეფის ერეკლე მეორისა მე სვმონ ტაბიძემან ბრძანებითა ბატონისშვილის იულონის ძის ლუარსაბისათა, წიგნსა 1845-სა, თვესა თებერვალსა 5-სა დღესა, სანკტ-პეტერბურღსა შინა“. აღნიშნული ხელნაწერის შეჭერებისას ბროსესეული გამოცემის ტექსტთან დადგინდა, რომ ფრანგ მეცნიერს მართლაც ეს ნუსხა ჰქონია ხელთ. გარდა ამისა, მას გამოუყენებია ზემოთ ნახსენები გაზეთ „Кавказ“-ში გამოქვეყნებული თხზულების რუსული თარგმანიც, რაზედაც მიუთითებს ფრანგულ გამოცემაში მოთავსებული ნადირ-შაჰის სინდეთზე ლაშქრობის ეპიზოდი⁶¹.

„მეფობა ირაკლი მეორისა“ როგორც ისტორიული წყარო

რომან ხერხეულიძე სეხნია ჩხეიძესა და პაპუნა ორბელიანთან ერთად XVIII ს. ქართული ისტორიოგრაფიის მთავარ წარმომადგენელთა სამეულში შედის. როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ამ ისტორიკოსებს „XVIII საუკუნის მემატიანეებს ვუწოდებთ მხოლოდ იმ აზრით, რომ ისინი მატიაშურ სტილში აგვიწერენ თავიანთი საუკუნის ისტორიას, თავიანთი საუკუნის თავგადასავლის აღმწერ-მემატიანეებად გვევლინებიან. ამ ისტორიკოსთა თხრობის მატიაშური სტილი (თარიღი, მოვლენები) არ უშლის მათ ხელს ხშირ შემთხვევაში იმსჯელონ მოვლენების მნიშვნელობაზე, გამოამკლავონ თავიანთი პოზიცია და დამოკიდებულება ამ მოვლენების მიმართ“⁶².

რომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“-ს პირველი სერიოზული, მეცნიერული შეფასება ივ. ჭავჭავაძის ეკუთვნის, რო-

⁵⁹ Histoire de la Georgie, Traduite du georgien par. M. Brosset, II partie, Histoire moderne, II livraison, SPB, 1857.

⁶⁰ იქვე, გვ. 203—204.

⁶¹ ამ გამოცემის ტექსტის გაცნობაში დაგვეხმარა ფრანგული ენის სპეციალისტი ქეთევან ჭაფარაშვილი, რისთვისაც მადლობას ვუხდით.

⁶² შ. ხანთაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 18.

მელმაც სათანადოდ შეისწავლა და შეაფასა თხზულების დადებითი მხარეები, მაგრამ საბოლოოდ არცთუ სახარბიელოდ შეაფასა იგი: „ომან მდივანბეგ ხერხეულიძის მატთანე ვითარცა საისტორიო ნაწარმოები, მაინცდამაინც დიდი არაფერია და პაპუნა ორბელიანისას ხომ ძალიან ჩამოუყვარდება. მხოლოდ ერეკლე მეფის მოღვაწეობის შესასწავლად, როგორც საისტორიო წყაროს, მასაც რასაკვირველია, თავისი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით 1758 წლიდან მოყოლებული ბოლომდის“⁶³. მართლაც, უდავოა, რომ პაპუნა ორბელიანის თხრობის დახვეწილ მხატვრულ სტილთან შედარებით ომან ხერხეულიძის მოკლე და მშრალი თხრობა ბევრად აკნინებს თხზულების კემშარიტ ღირებულებას, მაგრამ მისი ასეთნაირი შეფასება ზედმეტად მკაცრი ჩანს.

„მეფობა ირაკლი მეორისა“-ს დაკვირვებითი შესწავლით ნათელი ხდება, რომ ომან ხერხეულიძეს თავისი თხზულება გარკვეული მიზნითა და გეგმით შეუქმნია. იგი თხზულების სათაურშივე აცხადებს, რომ ეს არის „შემოკლებული ისტორია ირაკლი მეორისათვის“, ე. ი. ავტორის ძირითად მიზანს წარმოადგენს ერეკლე II-ის მოღვაწეობის შეფასება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ თხზულებაში აღწერილი ეპოქის თავისებურებებს, ნათელი გახდება, რომ ეს შეფასება განუყრელად არის დაკავშირებული აღნიშნული პერიოდის ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიის გადმოცემასთან და ამის გარეშე ავტორის მიზნის განხორციელება შეუძლებელი გახდებოდა. სწორედ ამ მიზნით არის უდავოდ მნიშვნელოვანი ომან ხერხეულიძის თხზულება, რომლის ქრონოლოგიური ჩარჩოები საქართველოს ისტორიის საკმაოდ ვრცელ პერიოდს — 1722-1787 წლებს მოიცავს.“

„მეფობა ირაკლი მეორისა“-ს როგორც ისტორიული თხზულების მეცნიერული ღირებულების შეფასებისათვის აუცილებელია პირველ ყოვლისა დადგენა იმისა, თუ რა წყაროებით სარგებლობდა ავტორი მისი შექმნისას. ასევე აუცილებელ პირობას წარმოადგენს ავტორის მეთოდოლოგიის გზისაზღვრა და თხზულებაში აღწერილი ფაქტების სიზუსტისა და სანდოობის შეფასება იმ პერიოდის სხვა მასალებთან მიმართებით. როგორც თვითონ ომან ხერხეულიძე აღნიშნავს, ერეკლე II-ის მოღვაწეობა მას „სმენითა და მენსიერებითა და სარწმუნო კაცთაგან“ ცნობითა აღუწერია, თუმცა, ივ. ჯავახიშვილის აზრით „ჩვენს მემატთანეს თავისი თანადამხუდარობა და თვითმხილველობა სხვებსაგვით საგანგებოდ აღნიშნული არა აქვს... საყურადღებოა მხოლოდ, რომ თავის ზეპირ წყაროს შესახებ, მოამბებებზე,

⁶³ ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზულებანი, ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 372.

ჯანსაყუტრებით მოხსენებული აქვს, რომ ისინი „სარწმუნო კაცნი“ იყვნენ, მაშასადამე, ომან მდივანსაც არ დაჰვიწყებია საისტორიო შწერლობის უტყუარობისათვის ეს აუცილებელი მოთხოვნილება“⁶⁴...

ჰაპუნა ორბელიანისაგან განსხვავებით ომან ხერხეულიძე არსად თხზულებაში არ ასახელებს მის მიერ გამოყენებულ წერილობით წყაროებს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ თხზულების შექმნის დროისათვის ქართლ-კახეთის სამეფოს ისტორია 1758 წლამდე უკვე აღწერილი იყო სეხნია ჩხეიძისა და ჰაპუნა ორბელიანის ნაშრომებში და ამ თხზულებათა შესატყვის ადგილებსაც შევედარებთ, ნათელი გახდება, რომ ომან ხერხეულიძე კარგად იცნობდა თავის წინამორბედ ისტორიკოსთა ნამოღვაწარს და მათი მონაცემებით უსარგებლია კიდევ, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს ივ. ჭავჭავაძის შვილი⁶⁵.

რაც შეეხება ომან ხერხეულიძის თხრობის პრაგმატულ მეთოდს, იგი თხზულების შექმნის მიზნით არის განპირობებული, კერძოდ, ავტორს აინტერესებს ერეკლეს მოღვაწეობის გადმოცემა და შეფასება და არა ისტორიული ფაქტების ობიექტურ კანონზომიერებათა ახსნა. ამავე დროს, ომან ხერხეულიძე ცდილობს შეძლვჭისდაგვარად დახვეწოს თხრობის სტილი, არ გადატვირთოს თხზულება ზედმეტად არაფრისმთქმელი ფრაზებით. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა მისი სიტყვები: „ხოლო ესევეთარნი გამარჯვებანი ირაკლი მეფისანი უანგარიშონი არიან და ამად ყოველივე ვერ მოვიხსენეთ, არამედ იგი აღვრიცხეთ, რომელი ღირსად ხსოვნისა იყო და სხვანი მრავალნი წვრილნი გამარჯვებები დავიდუმეთ“⁶⁶. ასევე, ასპინძის ბრძოლის გადმოცემისას იგი აღნიშნავს: „თუმცა თავადნი მრავალი სახელოვნაუ გაისარჩნენ, გარნა გავრცელებისათვის დავიდუმე“⁶⁷.

1 ომან ხერხეულიძის დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ ისიც, რომ მთელი თხრობის მანძილზე იგი მკაცრად იცავს ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას, ცდილობს არც ერთი ფაქტი არ გადმოსცეს დათარიღების გარეშე და მართლაც მთელი თხზულება, მიუხედავად თხრობის მშრალი და ლაკონური სტილისა თარიღების დიდი სიუხვით გამოირჩევა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უფრო მეტად ფაქტებს ათარიღებს არა ქორონიკონით, არამედ „შობითგან ქრისტესით“, გვხვდება ორმაგი დათარიღების წემთხვევებიც, როცა ზოგიერთ ადგილას უნებლიე შეცდომაც წეიმჩნევა, მაგალითად, ერეკლე-თეიმურაზის 1751

64 ივ. ჭავჭავაძის შვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 371.

65 იქვე, 371—372.

66 იხ. წინამდებარე გამოც., გვ. 67.

67 იქვე, გვ. 62.

წლის ერთიანი ლაშქრობა კარზე დათარიღებულია შემდეგნაირად: „წელსა 1752, ქორონიკონს 439, წავიდნენ ორნივე მეფენი კარისა და შაჰი-შირვანისა დასარბეველად“⁶⁸. მაგრამ ქორონიკონი 439 გვაძლევს 1751 წელს, ასევე მექანიკური შეცდომაა დაშვებული 1754 წ. ომარ ხანის კახეთზე თავდასხმის გადმოცემისას, სადაც ვკითხულობთ: „წელსა 1755, ქორონიკონს 442, ავარიის ხანმან, ხუნძახის ბატონმან ომარ-ხან წემოიყარა დგლისტნის ჯარები და მოვიდა უგრძნეულად შიგნით კახეთს“⁶⁹, ქორონიკონი 442 კი 1754 წ. აღნიშნავს. ასეთი ზასიათის შეცდომებით ტექსტი არ გადავტვირთეთ და მათ შესახებ სათანადო ადგილას სქოლიოში მივუთითეთ. მაგრამ აქვე კვლავ უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ჩვენამდე არ არის მოღწეული არც თხზულების დედანი და არც ავტორიზებული ხელნაწერი, ამიტომ ძნელია ზემოთ აღნიშნული შეცდომები ავტორს მივაწეროთ, ადვილი შესაძლებელია, რომ ისინი რომელიმე გადამწერმა დაუშვა თხზულების ტექსტის გადაწერისას.

რაც შეეხება თვითონ ომან ხერხეულიძის მიერ კონკრეტული ფაქტის დათარიღებისას დაშვებულ შეცდომას, ასეთი მხოლოდ ერთი შემთხვევა აღმოჩნდა, კერძოდ იმ ეპიზოდის გადმოცემისას, რომელიც შეეხება ლართისკარის ბრძოლას ლეკებთან⁷⁰. ამ ბრძოლაში დაღუპულა კონსტანტინე მუხრანბატონი. პაპუნა ორბელიანი ამ ბრძოლას 1756 წლით ათარიღებს, თანაც ლართისკარს იგი იხსენიებს კონსტანტინე მუხრანბატონის დაღუპვასთან დაკავშირებით (ვანსახევაებში „ახალი ისტორიისაგან“ სადაც ეს ბრძოლა თარიღის გარეშეა გადმოცემული)⁷¹, ხოლო ერეკლეს მიერ ლეკებისათვის გზის მოჭრისა და მათთან შებრძოლების ადგილად ლალისყურს ასახელებს⁷². ომან ხერხეულიძე ბრძოლის ადგილად ნაფარეულს ასახელებს, რაც ასევე სინამდვილეს შეეფერება, რადგან „ფურცელაანთეული ქრონიკის“ თანახმად ეს ბრძოლა მომხდარა „1756 წ. ოქტომბრის თვეში, ლალისყურის ბოლოს, ნაფარეულში“⁷³. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ ომან ხერხეულიძე ამ ეპიზოდის გადმოცემისას მაინც უშვებს გარკვეულ უზუსტობას. სხვა წყაროების თანახმად ჯერ მოხდა ლართისკარის ბრძოლა, სადაც კონსტანტინე მუხრანბატონი დაღუპულა, შემდეგ კი

68 იხ. აქვე, გვ. 50.

69 აქვე, გვ. 55.

70 აქვე, გვ. 57.

71 თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, ახალი ისტორია, ტექსტი გამოსცა ლ. მიქიაშვილმა, გვ. 50.

72 ამბავნი ქართლისანი, დასახ. გამოც., გვ. 243.

73 ქრონიკები, III, გვ. 244—245.

ლეკების ბელად ჩონჩოლ-მუსასთან ორგზის შეტაკება⁷⁴. ომან ხერხე-
ულიძე კი ჯერ აღწერს ჩონჩოლ-მუსასთან პირველ შეტაკებას, შემდეგ
კი ღართისკარის ბრძოლას, გარდა ამისა არასწორად ათარილებს მას.
1758 წ. ნაცვლად 1756 წლით⁷⁵.

საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ კიდევ ერთ დეტალზე: ერეკ-
ლე II-ის ხელისუფლების გაძლიერებასთან ერთად იზღუდებოდა ქარ-
თველ დიდფეოდალთა დამოუკიდებლობა. თუ ადრე ცენტრალური
ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში თავადები საგარეო ძალებს
ემყარებოდნენ, ახლა ერეკლეს პოლიტიკის წყალობით ქართლ-კახე-
თის საგარეო მდგომარეობა განმტკიცებული იყო, ამიტომ რეაქციო-
ნერმა თავადებმა ბრძოლის სხვა ხერხს მიმართეს: მათ კვლავ წამო-
აყენეს ქართლის ტახტზე მუხრანელ ღაგრატიონთა სამეფო უფლებე-
ბის საკითხი. მოლაღატე თავადები ვახტანგ VI-ის უკანონო შვილის
— პაატა ბატონიშვილის გარშემო გაერთიანდნენ და დაიწყეს სახელ-
მწიფო გადატრიალების სამზადისი. მაგრამ შეთქმულება 1765 წ.
გაცემულ იქნა და მისი მონაწილენი ერეკლემ სამაგალითოდ დასაჯა.
ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ ომან ხერხეულიძე
ერთი სიტყვითაც კი არ იხსენიებს ასეთ მნიშვნელოვან ფაქტს, თუმცა
შეუძლებელია იმის დაშვება, რომ მისთვის ამ შეთქმულებას შესახებ
არაფერი ყოფილიყო ცნობილი. მაშასადამე, ამ შემთხვევაში იგი სავ-
სებით შეგნებულად, რაღაც მიზეზთა გამო, თავს არიდებს ამ ფაქტზე
საუბარს. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ომან ხერხეუ-
ლიძის თხზულების მიზანს ერეკლე II-ის მოღვაწეობის დახასიათება
და მის მიერ მოპოვებულ გამარჯვებებზე ყურადღების გამახვილება
წარმოადგენდა, ადვილი გასაგებია, რომ შეთქმულება თავისი ოპოზი-
ციურობისათვის გამო ავტორს არასახარბიელო მოვლენად მიეჩნია და
ასეთი ხასიათის ნაწარმოებში მისი შეტანისაგან თავი შეეკავებინა.

ყოველივე ზემოთქმული არ ამცირებს ომან ხერხეულიძის თხზუ-
ლების, როგორც ისტორიული წყაროს მნიშვნელობას. ამასთან, არ
უნდა დავივიწყოთ ის ფაქტიც, რომ როგორც უკვე არაერთხელ აღ-
ვნიშნეთ, ჩვენამდე არ მოუღწევია თხზულების დედანს, რაც საშუა-
ლებას მოგვცემდა უფრო სრულყოფილად შეგვეფასებინა ომან ხერ-
ხეულიძის ნამოღვაწარის ავ-კარგი. საგანგებოდ უნდა გავითვალისწი-
ნოთ ისიც, რომ XVIII ს. საქართველოს, ისტორიის ამსახველ ისეთ

74 თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, ახალი ისტორია, დასახ. გამოც., გვ. 50.

ამბანი ქართლისანი, დასახ. გამოც., გვ. 245—246. Давид Багратиони, История Грузии, текст издал А. Рогова, Тб., 1971, с. 161. იესე ბარათაშვილის ცხოვრე-
ბა—ანდრძი, ა. იოსელიანის გამოცემა, თბ., 1950, გვ. 20 და სხვ.

72 იხ. აქვე, გვ. 57.

მნიშვნელოვან წყაროში, როგორც არის პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“, რომელშიც შესაშური სიზუსტითა და, სისრულით არის გადმოცემული ისტორიული ფაქტები, თხრობა წყდება 1758 წ. ამბებზე. ამრიგად, 1758 წლიდან მოყოლებული 1787 წლამდე პერიოდის საქართველოს ისტორიის ამსახველ წყაროთა შორის უპირატესობა უნდა მიენიჭოს ომან ხერხეულიძის, როგორც მოვლენათა თანამედროვის, თხზულებას, რადგანაც იგი გამორჩეული სისრულით და ქრონოლოგიის ზუსტი დაცვით გადმოგვცემს ამ პერიოდის ისტორიულ მოვლენებს, ეს გარემოებანი, როგორც ჩანს გათვალისწინებული ჰქონდათ XIX ს. ქართულ ისტორიოგრაფიაშიც. ამის უდავო დადასტურებაა ის ფაქტი, რომ ომან ხერხეულიძის თხზულება უშუალოდ შეარწყყეს ისეთი დიდი ისტორიკოსის ნაშრომთან, როგორც ვახუშტი ბაგრატიონია. ამის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, ამიტომ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. „მეფობა ირაკლი მეორისას“ პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მისი დროის არც ერთი ქართული ისტორიული წყარო ასეთი დიდი რაოდენობის ხელნაწერებით არ არის გავრცელებული (პაპუნა ორბელიანის თხზულებამ სულ 2 ხელნაწერის სახით მოაღწია ჩვენამდე). დაბოლოს ომან ხერხეულიძის ნაშრომის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ „მეფობა ირაკლი მეორისა“-ს მასალამ სათანადო ასახვა ჰპოვა XIX ს. საქართველოს ისტორიის ქრონიკებშიც⁷⁶.

76 იხ. საქართველოს ისტორიის ქრონიკები, XVII — XIX სს. ტექსტები გამო-საცემად მოამზადა ავთ. იოსელიანმა. თბ., 1980, გვ. 113—122, 130—132, 134 და სხვ.

ტიქსტიისათვის

წინამდებარე გამოცემაში ტექსტის გამართვისას ზედმეტად მივიჩნიეთ ორთოგრაფიული კითხვა-სხვაობებით სქოლიოების გადატვირთვა, მით უფრო, რომ ხელთ არა გვაქვს თხზულების დედანი ან ავტორიზებული ნუსხა. უფრო მეტიც, ჩვენ მიერ ტექსტის დასადგენად გამოყენებული ნუსხები თხზულების შექმნიდან დაახლოებით ორმოცი წლით გვიან არიან გადაწერილნი. აქედან გამომდინარე, სქოლიოებში აისახა ძირითადი ტექსტისაგან B რედაქციის ხელნაწერთა შინაარსობრივად განსხვავებული მასალა.

სვიმონ ტაბიძის მიერ გადაწერილ ხელნაწერში (E — 66) გამოყენებული ორთოგრაფიული „კ“, „კ“¹, „უც“ და „უ“ დწვით ჩუბინაშვილმა „ვი“-თი, „ხ“-ანით, „ვე“-თი და „ვ“-ინით შეცვალა. სიტყვები: „ვინაძთგან“, „ჰრბევა“ და სხვ. გადააკეთა „ვინადგან“-ად და „რბევა“-დ. ეს ჩასწორებები ჩვენს გამოცემაშიც გავიზიარეთ. ხოლო სიტყვები: „შეიწყნარნეს“, „განცხადება“, „მოსწყვიდნეს“ — დ. ჩუბინაშვილმა ჩაასწორა შემდეგნაირად: „შეიწყნარეს“, „გაცხადება“, „მოსწყვიტნეს“. ეს ჩასწორებები ჩვენ არ მიგვიღია და გამოცემაში პირვანდელი ორთოგრაფიით დავტოვეთ.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ჩვენს გამოცემაში მიზანშეწონილად მივიჩნიეთ „მეფობა რაკლი მეორისა“-ს თეიმურაზ ბაგრატიონისეული ვერსიის გამოქვეყნება. იმისათვის, რომ მკითხველს უფრო თვალსაჩინოდ შეეფასებინა თეიმურაზისეული კომენტარების მნიშვნელობა, ხელნაწერ E-30-ის შესაბამისი ტექსტი სათანადო ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით (თეიმურაზისეულ ხელნაწერში ომან ხერხეულიძის თხზულება 1759 წლის ამსახველი ამბებიდან არის ჩართული) გამოცემის დანართში მოვათავსეთ. აქვე ქვეყნდება სარჩევიც, რომელიც თავის დროზე ნიკოლოზ ბალინოვს შეუდგენია ხელნაწერ A—1244-ისათვის.

ოზან ხერხეულიძე

მეფობა ირაკლი მეორისა, მეფის თეიმურაზის ძისა შემოკლებული ისტორია ირაკლი მეორისათვის, თუ ვითარითა შრომითა მიიღო მან მეფობა ქართლისა, რომელსაცა გარდამატებულისათვის სიმხნისა მისისა პირველად მიუბოძა შაჰ-ნადირ კახთ მეფობაჲ და შემდგომად შეაერთა მან სკიპტრადი ორ-მეფობითი.

წელსა 1722 დაჯდა ყაენად ძე შაჰ სულტან უსეინისა შაჰ-თამაზ და იმეამად იჯდა ქართლში მეფედ ვახტანგ ლეონის ძე ხოლო კახეთს იჯდა მეფედ კოსტანტინე ბრაკლის ძე, რ(ომე)ლსა ეწოდა სახელად მაჰ-მად ყული-ხან თათრობის გამო, გარნა ესე ორნი მეფენი იცვენენ სიყვარულსა და ერთობასა ზედა ურთიერთისადმი. ხოლო) ოდეს 5
 3სცნა ერთობა ამათი შაჰ-თამაზ, არა მცირედ შეუძნდა მას ესე და განიზრახა მათ შორის შთაგდება შურისა, რომლისათვის მისწერა და მისცა მეფობა ქართლისა მაჰმად ყული-ხანს და მოემცნო მას; „ვინაღ-
 10გან ხარ მაჰმადიანი, შენ ამისთვის სარწმუნოდ გრაცხ და მჭეტესა ვახტანგს ვერ-ლარა ვენდობი; განაძე მეფე ვახტანგ და ქართლი იპყარ“. და მისცა ამისთვის შემწედ განჯა, ყარაბაღი და ერევანი და ამის ძლით შეჰკრიბნა ამ ადგილებით ჭარები და მივიდა მეფე მაჰმად ყული-ხან მახლობელ ტფილისისა სეიდაბადში, სადაცა განვიდა მეფე ვახტანგ, ეწყო და აოტა მაჰმად ყული-ხან და წარვიდა მეოტი. გარნა არა ინე-
 15ბა დაყოვნება დროისა, არამედ მასვე ჟამსა მეოტი განვიდა ქარში, შემოიკრიბნა ჭარელნი და განიმრავლნა სპანი. კ(ვალა)დ მოვიდა მეორედ სეიდაბადში და განვიდა მეფე ვახტანგცა, ეწყვნენ ურთიერთთა, გარნა იელტოდა მეფე ვახტანგ და არლარა შეიქცა ტფილისად, არამედ წარვიდა ზემო ქართლს, ხ(ოლო) მაჰმად ყული-ხან შემოვიდა ტფილისს
 20 და დაჯდა მეფედ ბრძანებითა შაჰ-თამაზისათა.

ხოლო წელსა 1723 ხონთქრის სარასკარი მოვიდა ყარს(ს) და ამან 3სცნა ესე ვითარებაი ქართლისა და ნახა ჟამი მარჯვე, რომლისათვის მიუწერა მეფესა ვახტანგს: „მე წარმომივლინე ერთი ნათესავთა შენთაგანი და მე ვაოტო მაჰმად ყული-ხან და შენ დაგიმტკიცო
 25 ქართლი“. და მეფემან წარუვლინა ძმა თვისი იესე. სარასკარი წარმოემართა ყარსით და მოვიდა შანბიანს და კ(ვალა)დ მიაგება მეფემან ძე თვისი ბაქარ და წარმოემართა სარასკარი, მოვიდა და დაიბანაკა ყურყუთას. ხოლო 3სცნა რა ესე მაჰმად ყული-ხან, რომელ არა აქვს პირისპირ ბრძოლისა შეძლებაი, ამისთვის მიეგება და მიართვა

11 ერევანი] + თუმცა მაჰმად-ყული-ხანს არ უნდოდა დახსნა სიყვარულისა, გარნა უმეტესისა ჰნდომამან შეიყვანა შური გულსა მისსა B.

18 ურთიერთთა... არამედ] ხოლო იხილა რა მეფემან ვახტანგ, რომელ მაჰმადიანთაგან დაიდევრების სისხლი ქრისტიანეთა ამისთვის მიჰრიდა და B.

კლიტენი ციხე-ქალაქისა და ვევედრა მიცემასა ქართლისასა და დამტკიცებასა მეფობისასა. ხოლო მან არა ინება და შეიპყრო თხოვითა ბაქარისათა და პატიმარ-პყო. ხოლო მასვე წელსა იენისის თვესა შინასა-რასკარი შემოვიდა ტფილისს და მისცეს მეფობაი ბაქარს — ძესა მეფის ვახტანგისასა. და ვინადგან არა ნებისაებრ ამეფეს იგი, მასვე წელსა განვილტო მან, ოსმალთაგან და მივიდა მამისა თვისისა თანა.

5

წელსა 1724 მეფე ვახტანგ და ბაქარ წარვიდნენ რუსეთს. წელსა 1725 ძმა მეფის ვახტანგისა მეფე იესე გამაჰმადიანდა და კ(ვალა)დ მისცეს ოსმალთა მეფობაი ქართლისა, გარნა არცა იგი აუფლეს ნებისაებრ თვისისა და მოკვდა მეფე იესე წელსა 1733.

10

ამასვე წელსა კახთ-მეფეს მაჰმად-ყული-ხანს უღალატეს ოსმალთა და მოკლეს სამზირალში და მრავალნი თავადნი და გლეხნი მოსწყვიტეს მის თანა. გარნა კახეთი ვერა ნებისაებრ თვისისა დაიპყრეს და მაშინ მოინდვეს ძმა კახთ მეფისა მაჰმად ყული-ხანისა თეიმურაზ და მისცეს მეფობა კახეთისა ზაკვით, ვინადგან ნებავდათ დაპყრობაცა კახეთისა, მსგავსად ქართლისა.

15

წელსა 1734 უსუფ ფაშა მოვიდა დიდის ჯარით ქისიყს-მალაროს და დასდგა მუნ, რათა ნებისამებრ თვისისა დაიპყრას კახეთი. ხოლო ჰსცნა ზაკულეზბაი მეფემან თეიმურაზ, შემოიკრიბნა კახნი, მოვიდა ღამე და თავს დაესხა და გაემარჯვა ოსმალთა ზედა და მრავალნი მოსწყვიდნეს და უკუნ იქცა უსუფ ფაშა მეოტი და მიერით ვერღარა ბკადრეს ოსმალთა შესვლად კახეთად.

20

და ამასვე ჟამსა მოსულიყო თამაზ-ხან განჯას, რომელსა ეწოდა შემდგომად ნადირ-შაჰ. და რა ესმათ ესე ქართველთა, უკუდგნენ ოსმალთაგან ქართველ-კახნი და განჯას თამაზ-ხანთან წარვიდნენ. და რა იხილეს ოსმალთა უკუდგომა ქართველთა, ამისთვის გაიერთეს ლეკნი და მოიმწყეს მუნით სპანი და აოხრებდნენ ქართლ-კახეთს და უფროსად სომხით-საბარათიანოს, და ესრეთ ალაოხრეს, რომელ აღარა იბოებოდა შენობა ქართლსა შინა თვინიერ ციხეთა და სიმაგრეთა კიდე. და კახეთით გალექდნენ ქისიყელნი და გაღმამხარელნი და მისცნეს პირი ლეკთა, გარნა ეგნენ მტკიცედ თავადნი და აზნაურნი და შიგნით კახნი სარწმუნოებასა ზ(ედ)ა მართალსა და განამაგრეს თელავი და ალავერდი და შეპკრბენ მას შ(ინ)ა.

25

30

შეაწუხეს ქისიყი ლეკთა და გაღმა მხარი, რომლისა გამო ვერღარა შეუძლეს მოთმენა და უღალატეს მუნ მყოფთა ლეკთა და მრავალნი ლეკნი მოსწყვიდნეს, და მოიყვანეს მეფე თეიმურაზ ფშავით ღადასვეს მეფედ კახთა.

35

33 შინა]+ ხოლო ვიეთნიმე მათთაგანი დაიხიზნეს ფშავის ხევს ხევსურეთსა შინა B.

ხოლო წელსა 1735 მოვიდნენ ლეკნი და ქისიყი მოარბივეს. მაშინ იყო ძე მეფისა თეიმურაზისა ირაკლი წლისა 15, რომელმან შემოიყარა სოფლებიდან ჯარი, ეწია ნეიშნის მინდორში და ძლიერად შემოიბნენ ლეკნი. გარნა თვით ესე ყრმა, ძე მეფისა თეიმურაზისა ირაკლი, მეორედ შევიდა შინაგან ჯარსა ლეკისასა და პირველად ამან მოკლა კაცი და ამის მხილველთა კახთა ერთპირად მიმართეს ყივილით და წინა წარიქციეს ჯარი ლეკისა, დაჰყარეს ტყვენი და საქონელი და მოსწყვიტეს უმრავლესნი და მოვიდა მალაროს გამარჯვებული, რომლისათვის ფრიად მხიარულ იქმნენ კახნი, იხილეს რა სიმხნე და მამაცობა მემკვიდრისა თვისისა.

ამასვე წელსა 1735 შაჰ-ნადირ დემურტაშხედ სარასკარი დაამარცხა მაისის 19, და ივნისის 11 ტფილისში მყოფთ ოსმალთა ნადირ შაჰის წერილი მიუვიდათ: „სარასკარზედ გავიმარჯვე და თქვენც მზად იყავითო“. ივლისის 30, ოთხშაბათს დღეს, ოსმალნი ტფილისით განვიდნენ და ოკდომბრის 6 ნადირ-შაჰ ტფილისს ქალაქს შემოვიდა. 25 ქალაქით განვიდა და კახეთი მისცა თეიმურაზს და მეფობა ქართლისა — ძმისწულსა მეფის თეიმურაზისასა ალი-ხანს და თანა წარიყვანა იგი. ხ(ოლო) ტფილისს ქალაქსა შინა დასვა სხვა ხანი ერთი ყიზილბაშისა.

წელსა 1736 ნადირ-შაჰ სეფი-ხან სარდალი წარმოუვლინა ქართლს. ამან მიუწოდა მეფესა თეიმურაზს კახეთით და ქართველნიცა შეჰკრიბნა ფხვენიის სოფელში, სადაცა უღალატეს მეფესა თეიმურაზს და დაიჭირეს ყიზილბაშთა და ამასთანავე დაიჭირეს გივი ამილახორი, არაგვის ერისთავი ბარამ და თარხანი ლუარსაბ და ეგრეთვე კახნიცა: ჩოლოყასშვილი სახლთუხუცესი გივი, ქისიყის მოურავი ქაიხოსრო და წარასხნეს ესე ყოველნი სპარსეთს. და რა ისპაანს მიიყვანეს, იქ პყრობილობისაგან განხსნეს და პატივით შეიწყნარნეს; გარნა იმჟამად შაჰ-ნადირ ყანდაარს წარვიდა და მეფე თეიმურაზცა თან წარიყვანა, რაიცა ქართლ-კახნი თან ახლდნენ, ისინიც თან იახლნა ყანდაარს. და ოდეს მოაწიეს ყანდაარად, მაშინ აუწყეს განცხადება მეფეს თეიმურაზს: „რომელ შენდ შვილი დაიბარე და რა ის შთამოვა, შენ მაშინ დაგიტხოვთო“. ვინადგან ჰხედვიდა ქარველთ მხნედ, ამისთვის თვით შაჰ-ნადირ მოსწერა წიგნი დაბარებისა ირაკლის და მასთან დაიბარნა ქართველ-კახნი. ხოლო მსმენელთა ამისთა ქართველ-კახთა ერთ-პირობით არა ინებეს წარსლვა ირაკლისა სპარსეთად, რომლისათვის შეიყარნენ ქართველ-კახნი და არა აუფლებდენ წარსვლად ირაკლის. გარნა არა მიხედა პატივსა და დიდებასა ამის

19 სხვა ხანი ერთი ყიზილბაშისა] სხვა ერთი ხანი სახელით ყიზილ-ჯალბან B.

სოფლისასა, არამედ სათნო ეყო ბრძანებასა მამისასა მორჩილი ჰსჯუ-
ლისა: „პატივ-ჰსცემდე მამასა და დღეგრძელ იქმნე“ და დიდად უაზ-
რყო წარუსვლელობა თვისი და ჰსთქვა „მამაჩემი იქ უნდა ჰყვანდესთ
და ჩემის იქ მისვლით გამოუტყეებდენ და მე ამაზედ დავბრკოლდე
და არა წარვიდე, ეს ჩემგან შეუძლო არისო“.

5

წელსა 1737 წარვიდა ირაკლი ფებერვალს შაჰ-ნადირთან და ყან-
დაარს შთავიდა. ხოლო ნადირ-შაჰს ყანდაარი მარტის 16 აელო და
ოღეს მოვიდა ირაკლი, მყისვე წინაშე ნადირ-შაჰისა წარადგინეს და
შაჰ-ნადირ ლაპარაკი დაუწყო და ჰკითხა ირაკლის ბრძანების გვარად,
საშიშარის სახით: „არ გასჭათრდებიო“, და ვითარცა მოწამემან აღი-
არა მძლავრისა წინაშე ქრისტე და პასუხ-ავო წლითა და დლითა ყრმა-
მან, ხოლო გონებითა ბრძენმან: „ჩემი სიკვდილი შესაძლებელ არს და
სულისა ვერვის ძალუძსო და არც მე გავმამადიანდებიო“. შემდგო-
მად უბრძანა ნადირ: „ნუ გეშინინ, მე აღარ გაიძულებო“. და მეორეს
დღეს მეფე თეიმურაზ და ქართველ-კახნი მიაყვანინა და ყოველნი და-
ითხოვა და გამოისტუმრა და თვით ნადირ ინდოეთზედ განიმხედრა და
ძე მეფისა თეიმურაზისა ირაკლი თან წარიყვანა. შთავიდა ინდოეთს და
ინდოეთის ხელმწიფე ამად-შაჰ შემოება 300000 კაცითა, გარნა ნადირ
შაჰს გაემარჯვა და მთელი ინდოეთის სახელმწიფო დაიპყრა. მუნით
დაბრუნდა და სინდეთს შევიდა და სინდეთის სამეფოცა დაიპყრა,
გარნა მუნ დიდნი ბრძოლანი გარდაიხადნა, რომელსაცა ყოველთა ამათ
ბრძოლათა და ომებთა შინა თან-დასწრებულ ჰყვა და ყოველთვის თვა-

10

15

20

20 შევიდა] და ოღეს სამძლვარს მოადგა იხილა ქვა ერთი ინდოეთისა და
სინდეთის განმყოფელი, აღმართული ძეგლათ, ამად რომე ვინადგან ინდოეთისა და
სინდეთის კელმწიფეთ აქენდათ ყოველთვის ბრძოლა სამძლვარსა ზედა, ამისთვის
შეყრილ იყვნენ სახელოვანი მოლანი, ახუნდი და სხვანი ერთგანიცა მრავალნი
ორისაგ მხრივ, აღმართათ მუნ ქუა იგი და ზედა წაეწერად წყევა დიდი სამტე-
როდ მას სამძლვარს გარდამასვლელთათვის იმიერ გინა ამიერ და ესე რა აღმოი-
კითხა ნადირ-შაჰმა, დაუძმიდა და მოხედა რა, იხილა თვის თანა ირაკლიცა და
რადგან ფრიადი სურვა აქენდა სინდეთისა, ამად ჰრქვა ირაკლის: შენ რასა იტყუებ
ქვისა ამისთვის, რომელსაცა ზედა წყევეტა დიდი სწერია? უკუნქცევა სჯობს თუ
ფიცის ამისა გატება და სინდეთს შესვლა. რა მოისმინა ესე ირაკლიმან, მყისად
გარდმობდა ცხენით და დადგა უშიშრად წინაშე მისსა და მოახსენა: ელმწიფეო
რად შეიჭირებე საქმისა ამისთვის, თავმან თქვენმან, ვგონებ ქუა ესე არა იყოს
ტვირთი ძმიე; სპილოთა ზედა შეესდვად, ვილოდეს სპილო იგი ყოველთა წინ და
მას შეუდგებოდეს მხედრობა თქვენი ვიღრეცა გენებოსთ. ამ სიტყვასა ზედა
ფრიად მოზარულ იქმნა ნადირ-შაჰ და ჯილდოდ უბოძა ირაკლის ოცი ათასი ოქ-
რო. უბრძანა აღამში მოსვლა, უჩვენა მარჯვენით კერძო უპირველესი ადგილი ზე-
მოთ; ხანებისა და წყალობაცა მრავალი აღუთქვა, ხოლო მოხსენებასა მას მისსა ზე-
და უბრძანა ნადირ-შაჰმა ქვისა მის შედება სპილოსა ზედა და ეგრეთ იწინამძღვრო
ქუა იგი და შეუდგა მხედრობა უკანით მისსა და შევიდნენ სინდეთს და დაიპყრეს
ყოველი სახელმწიფო სინდეთისა მრავლითა ბრძოლითა B.

ლითა თვისითა უწარჩინებულეს მხნედ ჰხედვიდა ძესა მეფის თეიმურაზისა ირაკლის და ამის სიმხნისა და სიციქასისათვის ფრიად შეიყვარა. მუნით გამობრუნდა და მოვიდა ყანდაარს შაჰ-ნადირ.

- 5 იყო მეფის ძის ირაკლისა, რომელმანცა აჩვენა სიმხნე და ერთგულება, ამისთვის უბრძანა: „მეფის ძეე ირაკლი, შენ შენს ქვეყანას ეჭირვები და ნება მომიცია შენს ქვეყანაში, წასვლისა და მარადის ჩვენის წყალობის მოიმედე იყავო“. ხ(ოლო) მან მადლობა მოახსენა და მაისის 28 ყანდაარით წარმოსრულ სეკრემბრის 13 ღამის ოთხს საათს გასულს
- 10 კახეთს, ალავერდს მობრძანდა. ამყამად შაჰ-ნადირ თურქისტანზედ წარბძანდა, ბალხი, ბუხარი, ორგანჯი, სამარყანდი და მრთლად თურქისტანი ს(რულია)დ დაიპყრა და იქ რაოდენიმე ხანი დაჰყო, მუნით წარმოსრული დაღისტანში მოვიდა ძლიერის ჯარითა და შეამჭირვნა
- 15 ლეკნი ძლიერთა ბრძოლითა და ეგრეთვე ქართველნი სურსათის თხოვნითა, რომლისათვისცა განჰსდგნენ ნადირ-შაჰისაგან ვიეთნიმე ქართველნი და მოიყვანეს ლეკისა და ოსმალისა ჯარები, აოხრებდნენ და ატყვევებდნენ ურთიერთას, ვინათგან ვერღარა შეუძლეს პირისპირ სამსახური ნადირ-შაჰი. ხოლო ტფილისს შაჰ-ნადირისაგან დასმული ხანი
- 20 ჰბრძოდა მარადის ქართველთა და აოხრებდნენ მარადის ორნივე მხარენი ქართლსა. და ესე ყოველი აცნობა ტფილისს მჯდომმან ხანმან შაჰ-ნადირს, რომელიცა განძვინდა საქართველოსა ზედა და განიგულა აყრა მათი და მოწყვეტა ქართლ-კახეთისა ერისა. ჰსცნა რა ესე მეფემან თეიმურაზ, წარავლინა დედოფალი თამარ, ასული მეფის ვახტანგისა, ვედრებად ყენისა წ(ინაშე), რათა არა ასწყვიდოს ქართლ-
- 25 კახეთისა ხალხი და დასცხრესცა მრისხანება მისი ქრისტიანეთა ზ(ედ)ა. ხოლო მოვიდა რა დედოფალი თამარ დაღისტანში ნადირ შაჰსთანა და ევედრა აუყრელობასა ქართლ-კახეთისასა, და ესრეთვე აცნობა უცოდველობა ქრმისა თვისისა მეფის თეიმურაზისა და ერთგულება ძისა თვისისა ირაკლი მეორისა, რომლისათვის მყის თა-
- 30 ნად ლმობიერ იქმნა მძლავრი იგი და პატივ-ჰსცა, ვ(ითარც) ა დედასა და ყოველი თხოვილი მიანიჭა და გამოუტევა დიდითა ნიჭითა კახეთს და მოუწერა შაჰ-ნადირ ტფილისს მჯდომს ხანსა უკუმდგართა ქართველთა ზ(ედ)ა ბრძოლა და ოხრება. მივიდა ესე ტფილისს მჯდომი ყიზილბაში და მოადგა აწერის ხევსა, შემუსრა აწერის ხევი და
- 35 გამოიყვანა ქსნის ერისთავის შანშეს ცოლ-შვილი და ძმებისა მისისა, ხ(ოლო) შანშე ივლტოდა აღსიხას, გარნა ჰსთხიავეს იგი ყიზილბაშთა

და მოსცეს ოსმალთა შანშე და შეიპყრეს ძმაიცა შანშეს იესე და წარგზავნეს ცოლ-შვილით ხორასანს და დაიპყრეს ქსნის ხევი და მამული შანშესი ამილახორმან გივმან, და ამ უამადღე მოჰკლეს არაგვის ერისთავი ყმათა თვისთა და გამოაძეს სახლისკაცნიცა მისნი.

და მაშინ იწყო გივმან დაპყრობაცა არაგვისა, მოიცა ძალი ოსმალთაგან და განსდგა ყიზილბაშთაგან. ესე ყოველი ამცნო ტფილისს მჯდომმან ხანმან და გამოუცხადა შაჰ-ნადირს ერთგულება მეფის თეიმურაზისა და ძის შამისისა ირაკლისა. ხოლო შაჰ-ნადირ უბოძა არაგვის საერისთავო მეფეს თეიმურაზს და მოუძმცნო ბრძოლა და კითება გივი ამილახორისა, რამეთუ გივს აქვნდა ქსნის ხევისა ციხენი განმაგრებულნი და ჰყვა ბიძაშვილი თვისი რევაზ. ეზრახნენ მეფენი ამ რევაზს და აღუთქვეს წყალობა უკეთუ მოსცეს ციხენი და მაშინ მოსცა რევაზ ციხენი ქსნის ხევისანი და დაიპყრეს ქსანიცა მეფემან თეიმურაზ და ირაკლიმ და მრავალნი ბრძოლანი გარდაიხადეს.

ხოლო ვიეთნიმე ქართველთა მოუწოდეს ძესა შეფისასა ირაკლის და წარვიდა ირაკლი სამასისა კაცითა და წარიყვანა სამასი ლეკიცა და შემოეყარნენ რაოდენნიმე ზემოქართლელნი თავადნიცა ირაკლის, ძესა მეფისასა, მივიდნენ დასდგნენ ქრცხინვალს ზემო, აბო-წმიდას. ჰსცნა რა ესე გივმან, სურამს მდგომმან, შემოიყარა ოსმალისა და ლეკის ჯარი ვიდრე 5000-მდე და ვიეთნიმე ქართველნიცა შეეწეოდენ გივსა, მივიდნენ ღამე და დილას ბინდს დაესხნეს ირაკლის. ეკვეთა ირაკლი, ძე მეფისა, ძლიერად და ფიცხელი ომი მოუხდათ. გარნა მოსცა ღ(მერთ)მან ძლევა ირაკლის, ძესა მეფისასა, და ამათგან ლტოლვილნი იგი ოსმალ-ლეკნი წარვიდნენ გივითურთ სურამს, ხოლო მეფის ძე ირაკლი წაბრძანდა კახეთად და მეფე თეიმურაზ მივიდა ზემოქართლსა და ერედუს დასდგა.

არამედ ამ უამად ძველი ყაენის შვილი, ლტოლვილი შაჰ-ნადირისაგან, დაღისტანში იყოფოდა. ამას დაღისტნელთ ლეკები გამოუძღვანეს და ხონთქართან გაისტუმრეს და ვინადგან ქსანზედ გივი ამილახორი ეგულეებოდათ, იქ მივიდნენ. ჰსცნა ესე მეფის ძემ ირაკლიმ, კახეთს მყოფმან, და ფიცხელად დევნა უყო, ეწია ყანჩაეთს და შეიპყრა იგი და მისთანანი, წარასხნა და ერედუს თავის მამას მიართვა. ხოლო მეფემან თეიმურაზ მაშინვე თვისი ძე ირაკლი ნადირ-შაჰთან

4 ერისთავი] + ბეჟან B.

21 ირაკლის] + გარნა ირაკლიმან ვითა ლომმან შემოუძახა თვისთა მათ მცირეთა თანა მყოფთა, განამხნო იგინი და უბძანა შეტევა და ესრეთ ძლიერი ბრძოლა მოუხდათ რომე არცერთი მებრძოლეთაგანდა ჰგონებდა ირაკლის კერძ სიცოცხლესა თვისსა, გარნა მხნესა მას ლომსა ბრძოლასა შინა მოსცა ღმერთმან გამარჯვება B.

გაისტუმრა და იგი ყაენის შვილიც თან წარატანა. იმ ჟამად შაჰ-ნადირ¹² ოსმალთ მოსულს ჰბრძოდა და მუნ მიესმა, ვითარმედ: „შირვანი უკუდგა, ყაენის შვილი მოიყვანეს და დალისტანიც ითანხმეს და გაახელმწიფოსო“. ამისთვის თვისი შვილი ნასრულ-მირზა გამოისტუმრა დიდის ჯარით და მტკვრის პირზედ რა მივიდა შირვანში განსასვლელად, იმ ჟამად მეფის ძე ირაკლი მივიდა და ყაენის შვილი პყრობილი მიაბრთვა, რომელმანცა ფრიადი მადლობა უბრძანა და ესე ყოველი მისწერა მამასა თ(ვი)სსა ნასრულ მირზამ, ვიდრე მისლვადმდე; ამისსა. ხოლო შაჰ-ნადირ მოსულით წარმოსრულიყო და ესე ამბავი გზასა ზ(ედ)ა ემთხვია, რომელმანცა ფრიად მადლიერ ექმნა და მოსწერა. წიგნი მადლობისა მეფეს თეიმურაზს და მიუბოძა ათი ათასი ოქრო და მოუმცნო ტფილისს მჯდომს ხანს — ყიზილი ჯალი-ხანს: „მეფის თეიმურაზისათვის იხტიარობა მომიცია და ყველას საქმეს მაგას ჰკითხვიდესო“ და თვით შაჰ-ნადირ უკუნ იქცა და ყარსის ციხეს მოადგა, ხოლო ნასრულ მირზამ მისცა მრავალი ნიჭი მეფის ძეს ირაკლის და გამოუტევა დარწმუნებულისა სიტყვითა: „შენ წარვედ, ზადგან ახლა შენს ქვეყანას ეჭირებები, იქ მიეშველე და მაგიერს ჯილდოს მსწრაფლ მოელოდეო“.

ხოლო წელსა 1744 წარმოავლინა ხონთქარმან უსუფ-ფაშა სპითა დიდითა და წარმოატანა ხაზინა, რათა წარგზავნოს იგი დალისტანსა შინა და მით გამოიყვანოს ჯარი და მწე ეყოს ამილახორს გივს. ხოლო მოსრული უსუფ ფაშა და გივი მოვიდნენ რუისს და დასდგნენ მუნ. ხოლო ჰსცნა რა ესე ტფილისს მჯდომმან ალი-ხან, ამან აცნობა მეფესა თეიმურაზს და იგი წარმოვიდა სწრაფად კახეთის ჯარით და მოვიდა ალი-ხანისა თანა, ხოლო ხანმანცა შემოიყარა ქართველნი, მივიდნენ და დასდგნენ გორს. მოვიდნენ ოსმალნი თედო-წმიდას და ყიზილბაშ-ქართველნი განვიდნენ გორით საომრად, იკვეთნენ ძლიერად, გარნა იძლივნენ ოსმალთაგან ყიზილბაშ-ქართველნი, გამოაქციეს და მოჰყვნენ გორის გალავნის კარებადმდე, გაბრუნდნენ ოსმალნი და დასდგნენ რუისსვე. მაშინ მოიყვანეს დალისტანის ბელადი მალაჩი და მიაბარეს დალისტანში გასაგზავნი ხაზინა. ხოლო ესე მალაჩი იყო იმ ჟამის წარჩინებული; დალისტანის პირველი ბელადი და ყოველნი დალისტანელი მორჩილ იყვნენ მისა. ესე წარუძღვანეს ორი ათასის ლეკით და თან წარატანეს ორი ათასი ოსმალნი და გაისტუმრეს. ხოლო ესე ყოველი მოუწერა ხანმან ირაკლის, ძესა მეფისასა და აცნობა ყოველი ყოფილი, სმენასავე თანა ახლდნა და მსწრაფლ შემოიკრიბნა რაოდენნიმე ნაშთნი სპანი კახეთით და ორასნი ყიზილბაშნიცა მოერ-

12 ყილიჯ ალი ხანს B.

23 ყილიჯ ალი ხან B.

თუნენ ტფილისით და ამ მცირედის ჯარით შეუქრა არაგვისპირი. და მოვიდნენ რა დილას ოსმალ-ლეკნი, დაიწყეს განსვლად არაგვისა, მყის ეკვეთა ირაკლი და ექმნა ბრძოლა ძლიერი და სასტიკი. შეპკრეს სანგალი ლექთა დასავლით არაგვის პირთა და იწყეს მუნით ძლიერად თოფთა ცემა. და დარჩა ძე მეფისა ირაკლი არაგვს გამოლმა აღმოსავლით კერძო, რომელ არაგვის მდინარე მაშინ ფრიად განდიდებულ იყო და უფროდ არ გაისვლებოდა და განგრძელდა თოფთა ცემა იმიერ და ამიერ. მაშინ შეუხდა ძე მეფისა ირაკლი არაგვისა და პირველ ყოველთა თვით განვლო ფიქნი იგი. ხ(ოლო) მხილველთა სპათა არღარა პრიდეს საშინელებასა წყალთასა და შეუდგნენ ყოველნი სპანი მისნი და იქმნა ბრძოლა უძლიერესი, ვინაითგან ოსმალ-ლეკნი უმეტესობდნენ და ძლიერსა ამას ომსა შინა პირველ მიუხდა ირაკლი, ძე მეფისა, და დაღისტნის პირველი ბელადი მალაჩი თვით მოჰკლა. ხ(ოლო) სიკვდილსა მისსა მყის იძლივნენ ოსმალ-ლეკნი და მიჰყვნენ ესენიცა ვიდრე ქსანს გაღმა ოკმადმდე და მრავალი მოწყვიდეს და დაიჭირეს, და რაიცა წარვიდნენ ნაშთნი ოსმალ-ლეკნი, მივიდნენ რუისს, უსუფ ფაშისა თანა. გარნა ფრიად შიშნეულებისა გამო მასვე ღამესა წარივლტო უსუფ-ფაშა, ვითარცა მეოტი. ხ(ოლო) შეფემან და ყიზილბაშთა დევნა უყვეს ოსმალთა, მაგრა ვერღარა ეწივნენ.

ესე ყოველი, ყოფილი და ქმნილი ირაკლის მიერი, მიუწერა ხანმან შაჰ-ნადირს, რომელიცა ფრიად მადლიერ ექმნა მას და მოხარულმან წარმოუვლინა ცხენი ოქროსა აღკაზმულობითა და ხრმალი მძიმედ მოჭედილი და მოუბოძა ქართლის მეფობა თეიმურაზს და კახეთის მეფობა ირაკლის, ძესა მისსა, წელსა 1744.

ხოლო ამასვე წელსა შაჰ-ნადირ ყარსით გამობრუნდა. ჰსცნა ესე მეფემან თეიმურაზ და წინ მიეგება აბოცს (რომელ არს ყაიყული), იქილამ მობრძანდა ბორჩალის და დებედის პირზედ, გოგათას დაღვა და რაოდენსამე დღეს მუნ დაჰყო. ხოლო აქა მობრძანდა დედოფალიცა თამარ და კახეთით ირაკლი, რომელთაცა დიდად პატივ-ჰსცა და უმეტესის პატივით მიიღო და მაშინ ევედრნენ მეფე თეიმურაზ

1 არაგვისპირი] + მაშინ ირაკლიმან ხმა უყო სპათა თვისთა და ვითა შავარდენი ეგრეთ მიეტევა მათ B.

4 სანგარი B.

13 ხოლო მხილველთა... მალაჩი თვით მოჰკლა] მხილველი ამისი ირაკლი ფრიად განრისხდა, შეაგდო ცხენი წყალსა, რომელი იყო მაშინ დიდ. განვლო, გავიდა და ვითა არწივი ტრედლა ეგრე მიუხდა გულ-უშისრად პირველსა მას ბელადსა მალაჩის. მისცა თოფი და მიაბარა სული მისი მაჰმადსა. ამის მნახეთა ქართველთა არ ღარიდეს თავი თვისი სიკვდილსა, განვიდნენ წყალსა და სცეს ხმა დიდი, შეუტრეს, დააგდებინეს სანგარი B.

15 ოკმადამდე B.

და ირაკლი დედოფლით თამარით და მოითხოვეს ერისთავი შანშე ძმისწულნი და სახლეულნი მისნი და მასვე წამს პატივ-სცა და მიანიჭა და მიუწერა ბრძანებანი ხორასანს, ხანთან, განთავისუფლებისა მათისა და გამოტყვევებისა. გაბრუნდა შაჰ-ნადირი, ყაზახსა და განჯაზედ ჩავლო, მულამს შთავიდა, მუნ რაოდენსამე ხანსა დაადგრა, სადა მოვიდა შან-შეცა ხორასნით, სახლეულით თვისით და მეფემან თეიმურაზ და მეფემან ირაკლი ოსმალთაგან წანართმევენი მამულნი მისნი და ერისთაობა ქსნისა კვალადვე მიუბოძეს შანშეს.

5 კვალად წელსა 1745 გივმან ამილახვარმან განამაგრა ციხე სურამისა ოსმალთა მიერ, შევიდა და დასდგა მუნ. მაშინ მოვიდა მეფე თეიმურაზ და მეფე ირაკლი ბრძანებითა ნადირ-შაჰისათა, და ერთი ყოზილბაშის ხანიცა და მოადგნენ გარს და შემდგომად რაოდენსამე თთვისა გამოიყვანეს ციხით პყრობილი და წარუგზავნეს შაჰ-ნადირს.

15 შემდგომად ამისჲ, წელსა 1747, შაჰ-ნადირი განრიხნდა ყოველსა სამფლობელოსა ზედა თვისსა და საქართველოსაცა არბაბი შემოაწერა, ვითარცა სხვათაცა ქვეყანათა. ამასვე წელსა მოჰკლეს შაჰ-ნადირი ყოზილბაშთა და დასვეს ყაენად ძმისწული მისი ადილ-შაჰი. ხოლო მან მოუწოდა მეფესა თეიმურაზს და მეფემან თეიმურაზ ქართლი მიაბარაძესა თვისსა ირაკლის, გარნა დავედრა საქმის კითხვა იესე მეფის ძის

20 აბდულა-ბეგისაცა. არამედ ამან აბდულა-ბეგმან გარდაჰჭერნა რაოდენნიმე ქართველნი სომხით-საბარათიანოდამ და ვიეთნიმე სხვანიცა და უკუ-უდგა ირაკლი მეფესა. მოიყვანა ყოზილბაშის ხანი, სახელით სააბიხტიარ ჯარით. ამას მოყვენენ განჯა-ყარაბაღის ხანები, დალისტინის ხანი აზატ ხან და საქართველოს ელები: შამშადილი, ყაზახი,

25 ბორჩალუ, დემურჩასალი, ბაიდარი და სხვა ყოველი ხურდა ოიმალები და მოვიდნენ მახლობელ ტფილისისა. მხილველი ამისი მეფე ირაკლი განვიდა ურიდად მცირეთა სპითა, ეკვეთა ძლიერად, მოსცა ღ(მერ)თ(მან) ძლევაი და განემარჯვა და ივლტოდა აბდულა-ბეგ მეოტი და შევიდა ციხესა სამშვილდისასა და განამაგრა იგი.

13 შაჰ-ნადირს] + და ამით მცირესა ხანს იქმნა დამყუდროებულ საქართველო B.

16 შემოაწერა] + რომლისა არავითარითა ღონისძიებითა შემძლებლ იყვნენ აღსრულებად B.

25 ოიმალები A.

28 მხილველი ამისი... და ივლტოდა] ტიფლიზის სიახლოვეს აქათით გაეგება ახალ მოყმე და მამაცი ირაკლი თვისითა გულონითა და მრავალთა ბრძოლათა შინა გამოცდილთა ქართველთა. უშიშრად ეკვეთნენ ურთიერთსა ძლიერად და შეწყვენი-თა ჯვარისათა შეიმოსა ირაკლიმან ძალი და ეგოდენი ურიცხვი ჯარი მათი დაამარცხა, რომლისათვის სირცხვილულ ქმნილა B.

წელსა 1748 კვალად მოიბირნა ქალაქის ციხის მცველნი მე-
ციხოვნენი აბდულა-ბეგ და განუდგნენ ირაკლი მეფესა და უგრძნე-
ულად საქმისა იწყეს ციხით თოფთა და ზარბაზანთა ცემა ქალაქსა
შინა. ხოლო ამას მოადგა მეფე ირაკლი ქართლ-კახეთის ჯარებით,
და უმეტეს ტფილისის მოქალაქენი ჰბრძოდნენ ციხესა და მტკიცედ 5
სდგნენ ერთგულებასა მეფის ირაკლისასა. და აბდულა-ბეგცა შემოა-
შველა ციხეში 500 ლეკი და იყო დღე ყოველ ბრძოლად. ამ ჟამად
მოვიდა დალისტნის ბელადი ყოჯახ დიდის ჯარით და ავჭალები მოარ-
ბივა, ტყვე და საქონელი წარიღო. ჰსცნა რა ესე მეფემან ირაკლიმ,
რაიცა ჯარები ჰყვა ტფილისის ციხის ბრძოლად დაუტევა და თვით 10
ორასის კაცით სატიოზედ მტკვარი განსტურა და ყოჯახ-ბელადს წა-
რუდგა და მღვერულად ქისიყის ჯარიც შემოიყარა ნაპირის სოფლე-
ბიდამ და გარდაასწრო ქისიყის ბოლოს, შირაქში. მუნ შეება ყოჯახს
და ფიცხელი ომე მოუხდათ. მოსცა ღ(მერ)თ(მან) ირაკლის ძლევაი
და განემარჯვა, მრავალი მოსწყვიტეს, ტყვე და საქონელი სულ და 15
აყრევინეს. უკმოიქცა მეფე ირაკლი და მუნვე შირაქის თავში, დე-
დოფლისწყაროზედ მობრძანდა და იქ დასდგა. და ამა ყოჯახს, დანაშ-
თის ჯარით გაქცეულს, სხვა დალისტნის ჯარი შემოეყარათ ახალი მო-
მავალი და ამ დამარცხებულთა ყოველივე თვისი გარდასავალი უანბეს
იმ ახალმა მომავალმან ჯარმან უთხრა ყოჯახ-ბელადს: „თუ იმ თქვენ- 20
გან ნაშოვარს ტყვესა და საქონელში წილს დაგვიღებ, დღეს ისინი
ვერსად გაგვასწრობენ, ჩვენც გიშველით, მოვეწვიეთ და ისევ დავაყ-
რევინებთ“. რა ეს ყოჯახს ესმა, ფრიალ მხიარულ იქმნა, შეითქვენენ
და წარმოვიდნენ. იმ ღამეს იარეს და მეორეს დღელს დედოფლის წყა-
როზედ მეფეს ირაკლის თავს დაესხნენ, გარნა ძლიერი იგი და მხნე 25
მეფე ირაკლი უწინარეს ყოველთა აღმხედრდა ცხენსა და პირველ
თვით ესროლა თოფი და ყოველთა უწინ ამან მოჰკლა კაცი და უბრ-
ჟანა ჯართა მხნედ შეტევა და უმეტეს პირველისა დაამარცხეს იგი
ლეკთა ჯარნი და უმრავლესნი ლეკნი მოსწყვიდნენ. მუნით უკმოქცე-
ულმან აღიღო ტფილისის ციხე და თვისი მეციხოვნეები შეაყენა, 30
წარბძანდა და სამშვილდის ციხე აღიღო და შემოიქცა გამარჯვებული
ტფილისადვე.

წელსა 1749 მეფე თეიმურაზ ერანით მობრძანდა. იმ ჟამად ერან-
ში იბრემ შაჰ მოკლეს და სრულიად ერანი აირივა და ურთიერთარს

14 მოუხდათ]+მოდდა ბრძოლა დიდი და თოფთა ცემა გაგრძელდებოდა და
ირაკლი განამხობდა თვისთა მათ, ხოლო მათ ძალი შემოაკლდებოდა B.

16 შაქისთავს B.

30 აღიღო]+და ოდეს დააწყნარა მტერთაგან გარემო სოფლების რბევა და
სხვა ყოველი მწუხარება, უკუნვე იქცა ქალაქად B.

რბევა, ტყვენვა და ოხრება დაუწყეს. ამ დროს მაჰმად-ხან ვინმე, ადრიბეიანის მხარეს განძლიერებული, მრავალსა ქვეყანასა აოხრებდა, რომლისათვის მოსწერეს ერევნელებმან მეფესა თეიმურაზს და მეფეს ირაკლის: „ერანში მეპატრონე აღარ არის და ეს მაჰმად-ხან ამ

5 ქვეყანას აოხრებს. თქვენ მოგვეშველენით, ამას მოგვარჩინეთ და თქვენ გამსახურებთო“. ხოლო სმენასა თანა მეფენი ორნივე წარვიდნენ ჯარებით ერევნის მისაშველებლად. გარნა მეფე ირაკლი წინ წარვიდა ხუთასის კაცით და რა ეს მაჰმად-ხანმან შეიტყო, თავისის სრულის ძალით წინ მოეგება და მეფე ირაკლის შემოება. მოსტა ლ(მერ)თ(მან)

10 ირაკლის ძლევაი და გამარჯვება. გაიქცა მაჰმად-ხან და ყარაბაღში შთავიდა, რამეთუ მუნ ხარგვირაბის ციხე განმაგრებული აქვნდა და თვისი ცოლ-შვილნიცა მას შინა ჰყვა. მიჰყვა ირაკლი მეფე და გარს მოადგა, აღიღო ციხეცა და ცოლ-შვილიცა მაჰმად-ხანისა გამოიყვანა და რაიცა აქვნდა სიმღიდრე ხაზინისა, ყოველივე მეფემან ირაკლი

15 წარმოიღო და მობრძანდა ერევანს. მუნ მოვიდნენ ერევნელნი მეფისა თეიმურაზისა თჳნა და მეფის ირაკლისა და თვით ერევნის ხანიცა. მაშინ მოსცეს თავი მოხარკედ და თავს იღვეს სამსახური. და ამათ მეფეთა დასვეს თავისი კაცი ერევანს და უკმოიქცნენ.

20 ხ(ოლო) ვიღრე მუნით მეფენი გამობრუნდებოდნენ, ყარაბაღის ხანი ფანა, განჯის ხანი შავერდი-ხან და ნუხის ხანი აჯი-ჩალაბი, ესენი შეკრბნენ განჯა-ყარაბაღისა და შაქი-შირვანის ჯარებით და მოვიდნენ ყაზახს აღსტაფაზედ და ამ ჟამადვე მეფენიცა ერევნით ყაზახში გარდმობანდნენ. ჭარმა ამ შეკრებულმან ხანებმან ომი ველარ გაუბედეს, მირიდეს და სიმაგრეში დასდგნენ. და დაუწყეს მეფეთა ლა-

18 მოსტა ღმერთმან... და უკმოიქცნენ] და ამას ბრძოლასა შინა იქცეოდა სწრაფად ირაკლი: ხოცდა მათ იგი უზომოდ და რა იხილა მეფემან საქმე გაკირდების ხმა უყო მებრძოლთა თვისთა. დაერივნენ შიგან მათსა. განამრავლნეს ქართველთა თოფთა ცემა. მოიგეს სიმხნე და ხმალთა ელვას მოუმატეს და ჰკაფდნენ მტერთა თვისთა, ვითარცა ღორთა და აღივსო მინდორი იგი მძოვრითა მათითა. მაშინ შეშინდა მაჰმად-ხან და გაიქცა ყარაბაღში. ხარგვირაბის ციხე გამაგრებული ჰქონდა, ცოლ-შვილი მისი მუნ ჰყვანდა და უბადრუკმან ვერლა ისწრო გამოყვანა მათი ამისთვის, მისდევდა უკან მას ძე მეფისა — ირაკლი. შემოადგა ციხესა მას, აღიღო იგი და გამოიყვანა ცოლ-შვილი მისი და რაც აქუნდა ხაზინა ბედმაღშესა მას, იგიცა სრულ გამოიტანეს, რომლის სიმხნესა ზედა ერევნელნი, მყოფნი ციხესა შინა თვისსა და მუნით მჭკრეტნი განჰკვირდებოდეს ფრიად ყოველისა მისთვის, რაოდენი ჰქმნა მუნ ირაკლი და მიერ მობრძანდა გამარჯვებული ირაკლი ერევანს და მამასა თვისსა გამარჯვება მიულოცა და პირსა აკოცეს ურთიერთსა. მაშინ, უკვე მოხარულნი სულითა ერევნელნი იგი არლა იყოვნიდენ მათ თანა მოსლვასა და თვით ერევნის ხანიცა მიულოცვილიან გამარჯვებასა, მოსცემიან თავთა თვისთა მონად, დაიღებდენ ხარკსა თვით და დასვესვე ბრძანებითა მათითა ერევნისავე ხანი. დახედებოდენ მათ საესედ ყოველისა კეთილითა და ესრეთ გარდაიხდიდენ ვალთა თვისთა B.

პარაკი მშვიდობისა, ზავ-ჰყვეს ურთიერთარს და უკუნ იქცნენ და მეფენი მოვიდნენ ტფილისს გამარჯვებულნი და მიერ დღით იყო ერევანი მოხარკეობასა ქვეშე მეფეთასა, ვიდრე მოსლვადმდე საქართველოსა შინა ყაჯარი მაჰმად-ხანისასა, გარნა ვერცა მან მოშალა სრულიად ერევნისა სამსახური საქართველოსადმი.

5

და შემდგომად, წელსა 1750, მოვიდა ყარაბაღის ხანი ფანა და მოადგა განჯას. მაშინ მოსწერა წიგნი განჯის ხანმან და ითხოვა შეწევნა მეფის თეიმურაზისა და მეფის ირაკლისაგან. შემოიკრიბეს ჯარები მეფეთა და წარემართნენ. ესენი რომ ყაზახში შთავიდნენ და ჰსცნა ფანა-ხანმან, მსწრაფლად განჯას მირიდა და თვისსავე ქვეყანასა მიიქცა და ჯარები განიმრავლა. და რა ესე მეფენი განჯას შთავიდნენ, მაშინ შავერდი-ხან თავის ჯარით მეფეთა მოერთო და მუნით წარვიდნენ ყარაბაღში და ფანა-ხანიცა დიდის ჯარებით წინ მოეგება საბრძოლველად: ურთიერთისა მოშორებებითა დასდგნენ და მეფე ირაკლი ორასის კაცით ჯარების დასახედავად წარვიდა. რა ესე მათ ჰსცნეს, სრულიად ჯართა შემოუტიეს და მაშინ მეფემან ირაკლიმ ერთი კაცი ამა ამბისა საცნობლად უკმოაქცია მეფეს თეიმურაზთან და ესე ყოველი აცნობა. და თვით ირაკლი ამ ცოტას კაცით პირისპირ საბრძოლველად დაუდვა, ესრეთ ურიდი, შემმართებელი არა ჰპირდებოდა ომსა. და შეექმნათ ომი და განგრძელდა ბრძოლა. და მეფე თეიმურაზტა ჯარებით მოეშველა. გარნა უწინარესვე მისცა ღ(მერ)თ(მან) ძლევა, ვიდრე მეფე თეიმურაზ მიბრძანდებოდა და ამ მცირის კაცით დამარცხდა იგი მძლავრი ჯარი და ამ გაქცეულთა ჯართა მოსწვდნენ მღვერულად მეფის თეიმურაზისა ჯარნიცა და მრავალი მოკლეს და დაიჭირეს. მეორეს დღეს ორნივე მეფენი ყარაბაღის მოსარბეველად განემზადნენ, წარვიდნენ და არაზს გაღმა მრთელი ყარაბაღის მამული მოარბიეს და მრავალი იხოვეს და დაჰყვეს მუნ თვე ორი და მოინდვეს მრთელნი ყარაბაღელნი და დასდვეს ხარკი განჯა-ყარაბაღსა და მოსცესცა ამისი პირი, რომელსა „სადაცა ჯარი გთნდეს, იქ ჯარიც მოგცეთო“. მაშინ უკმოიქცნენ და მოვიდნენ ტფილისს გამარჯვებულნი.

10

15

20

25

30

ს(ოლო) ამასვე წელსა შეჰკრბნენ დალისტნელნი და მოვიდნენ მოპარვის გვარად, ვითარცა არს მარაღის ჩვეულებათი მათი, მოარბიეს ელები და მრავალი იხოვეს ტყვე და საქონელი. ესე ჰსცნეს მეფეთა და დევნა უწყვეს, ეწივნენ დამღისს, მუნ, სადაცა ერთვის იორის მდინარე ალაზნის მდინარესა, და იმ ალაზნის პირზედ შეიბნენ. მოსცა ღ(მერ)თ(მან) ძლევითი მეფეთა, განემარჯვათ და მრავალი კაცი მოკლეს და უმრავლესნი ალაზნისაგან მოიშთვნენ ლეკნი. ხოლო ნაშთნი, რომელნიც გაღმა გავიდნენ, არცა იგინი ათავისუფლეს, გაუხდნენ გაღმა და შიშნეულთა მათ გარდარჩომილთა ლეკთა მიმართეს ერთს დამწვარსა ფლატიანს გორასა სიმაგრის იმედეულთა, შევიდნენ ამ გორა-

35

ებში, მოსქდა ეს დამწვარი ფლატინი გორა და ესრეთ დაინთქნენ ეს დანაშთნი ლეკთ ჯარნი, რომელ მატყვიცა ვერღარა განერა. უკმო-
იქცნენ მეფენი გამარჯვებულნი და მოვიდნენ ტფილისს და მიერითგან
ვერღარა იკადრეს ლეკთა ჯარად გამოსვლა, გარნა ქურდად არა დას-
ცხრებოდენ ავაზაკობასა.

5 წელსა 1752, ქორონიკონს 440, წავიდნენ ორნივე მეფენი ჰარისა და შაქი-შირვანისა დასარბეველად. შემოიყარეს ჯარები და შთავილ-
ნენ იორზედ, სადაცა მოერთნენ განჯა-ყარაბაღის ხანები ჯარებითა,
10 წარვიდნენ მუნით, ჰარი დააგდეს და ჰარს ქვემო აგრისზედ განვილ-
ნენ. მოვიდა ნუხის ხანი აჯი-ჩალაბი, შემოიყარნა ჰარელნი და დაუდ-
გნენ პირისპირ. ეზრახა აჯი-ჩალაბი იღუმალ მეფეთა თანა მყოფთა
განჯისა და სხვათა ხანებთა, გარდაჰბირნა ესე ხანები და მეორეს დღეს
შემოება აჯი-ჩალაბი. მეფეთაცა დასტები დააწყვეს და მიმართეს ძლიე-
15 რად და ორი და სამიცა დასტა დაამარცხეს აჯი ჩალაბისა ქართველ
კახთა და ორი ძლიერი შანგალი დააგდებინეს. მაშინ აჯი-ჩალაბი მო-
უხდა ყიზილბაშთ ხანებისა დასტასა და განზრახვითა ურთიერთითა,
უწინარეს მისვლისა გამოიქცნენ ესე ხანები პირობისამებრ და წარ-
ვიდნენ თვისსა მხარესა მშვიდობიანად. რა ესენი გაქცეული ნახეს
20 ქართლ-კახეთის ჯართა, ესენიც აირივნენ და ურეგულმან ჯარმან ვე-
რღარა შეიძლეს დადგრომა და გამოიქცნენ, ხოლო მეფენი სინხნითა
თვისითა მრავალსა ეცადნენ, გარნა ვერცა გარე შეიმაგრეს ჯარი და
მიზეზითა ამით მრავალნი მოსწყდნენ ქართველ-კახნი და უმრავლეს-
ნი ალაზანსა შინა მოიშთვნენ და მოვიდნენ ორნივე მეფენი ტფილისს
დამარცხებულნი, ხოლო ესე იქმნა თთვესა ფეპერვალსა.

25 და მასვე წელსა იენისის თვეში მოვიდა დიდძალითა ჯარითა
აზატ ხან და დაუწყო ერევანს რბევა და ოხრება, ვინადგან აზატ-ხანს
ეპყრა მიდია (რომელ არს ადრიბეჯანი) და იწოდებოდა პყრობე-
ლად სპარსეთისად. ხოლო ამისთვის მოუწერეს მეფესა ირაკლის
ერევნელთა: „ვინადგან მიიღებთ ხარკსა და ვართ მორჩილებასა ქვეშე
30 თქვენსა, გაქვსთ ვალი და თანამდებობა, რათა განგვათავისუფლო
ესევეითარისა მძლავრისა ხელისაგან“ და ჰსთხოვეს მიშველება, რომ-
ლისათვის ინებაცა მეფემან ირაკლიმ მიშველება ერევნისა. გარნა
ოდეს ჰსცნა მუსა-ხანმან, რომელიცა მოსდგომოდა ერევნისა ციხესა,
მისვლა ირაკლი მეფისა, მასვე წამსა მიჰრიდა მან ციხესა. ხოლო მე-

6 ქორონიკონს 439 AB.

23 მოიშთვნენ] + ხოლო მაშინ გულოვანი იგი გმირი დავით ლარაძე ძლიერად
სდგა ბრძოლასა შინა, რომელმანცა მოართვა მეფეთა სამი ჩინებულთა მებრძოლთა
თავი, გარნა მძა მისი პაქაქა მოკლეს ბრძოლასა შინა და ესრეთისა შემთხვევისა
მიერ მჰმუნვარენი შემობრძანდნენ ტფილისსა შინა B.

26 დიდძალითა ჯარითა აზატ ხან] მუსა ხან მოვიდა ძალითა აზატ ხანისათა B.

ფე ირაკლი მივიდა ერევანს და დიდად შეჰქირავებულნი უსაზრდელო-
ბითა ერევნელნი აღავსო სურსათითა, მიუტანა მრავალი საზრდელო
და თვით გამობრუნდა ქანაქირს და ყარაბულალზედ კარგს ჰაერში
დასდგა, მახლობელად ერევნისა, რომელიცა შორავს ერევანს ვიდრე
12 ვერსადმდე, ვითარცა აღაჯი ერთი.

5

თუმცა ესე მუსა-ხან ერევანს შემოეცალა, გარნა დაუყოვნებლივ
მისწერა წიგნი აზატ-ხანსა და აცნობა, მყოფსა მიდიასა შინა, მისვლა
ირაკლი მეფისა და ყოველი ქმნილიცა, მისგან. ხოლო ჰსცნა რა მან
ესე, განძვინებულმან შემოიკრიბნა ჯარები ყიზილბაშ-ავღანისა, ვიდ-
რე ორმოცი ათასადმდე ესრეთ, რომელ ათორმეტი ათასი მხოლოდ
შუბოსანი კაცი ჰყვა, თუნიერ თოფოსანისა, და აქვნდა ათორმეტი
ზარბაზანი და ორასი ზამბულაკი, რომელიცა უგრძნულად მოვიდა
და გარნაჩაიზედ ჰამოხდა, რომელ ესე გარნაჩაი შორავს ქანაქირს
ოციტა ვერსითა. და საღამოზედ ჰამბავი მოერთვა მეფეს ირაკლის:

10

„აზატ-ხან დიდის ჯარით მოვიდა და გარნაჩაიზედ გარდახდაო“. მო-
უწოდა მეფემან ირაკლი ქართველ-კახთა და რჩევა შეექმნათ ქარ-
თველ-კახთა, დაბრუნება არჩიეს უფროსი ერთთა. გარნა მეფემან ირა-
კლი არა ინება დაბრუნება: „იცოდეთ, მე აზატ-ხანის შეუბმელი არ
დავსდგები, ამაღამ რომ გავიქცეთ, ზვალ გზაზედ მჭაგვეწვიან და
უნამუსოდ სიკვდილს ნამუსიანად სიკვდილი ჰსჯობსო. ესე ყველამ უწ-
ყით, რომ სიკვდილის შვილნი ვართ და ჩვენს გვარსა და სახელსა
ორის დღის სიცოცხლისათვის ნუ მოვაყვინებთო“. და ამაზედ რაოდენ-
ნიმე თავადნი და წარჩინებულნი გვამნი ემოწმნენ მეფეს ირაკლის,

15

დაამტკიცეს ომი პირისპირ მძლავრისა მის და აღრიცხა. მეფემან
მხედრობა თვისი, რომელიცა იყო რიცხვით სამი ათასი და ამ რიკ-
ხესა შინა იყო თათარი ხუთასი და ავადმყოფი ხუთასი. ხოლო ესე ავად-
მყოფნი და ბარგის კაცნი დაშთნენ სანგალთა შინა და წარვიდა ორის
ათასის კაცითა აზატ-ხანის შესაბმელად და მცირედნი რა წარვლეს,
იქით მხარესაც გამოსჩნდა აზატ-ხანის ჯარები დასტებად. მაშინ გარ-
დახდა მეფე ირაკლი, დაემხო მიწასა და ლ(მერ)თსა ევედრა, ხო-
ლო ზე რა აღსდგა, გამობრუნდა და უთხრა მხედრობათა: „ჩემნო
ძმანო და შვილნო, თქვენ ჩემის განძლიერებისა და ჩემის გულისა-
თვის იხოცებით და მე ლ(მერ)თთან თქვენი დიდი მოვალე ვარო და
დღეს რაც მე გითხარით, ის დამიჯერეთ და სისხლსა თქვენსა მე ვინ-
დობო“. მაშინ ყოველთა მხედრობათა ერთპირად ნება სცეს და მოახ-
სენეს: „მეფეო და დიდებაო ჩვენი, სისხლი ჩვენი თქვენთვის შე-
მოგვიწირავს და ბრძანებასა თქვენსა ემორჩილებთ და ნებასა თქვენ-

20

25

30

35

სა ალვასრულებთო“. და ვინადგან ესოდენი ერთგულება და სიმხნე
 მხედრობათა თვისთა იხილა, მაშინ უბრძანა: „ვირემ მე ცხენზედ არ
 შევეჭდე, თქვენც ნურავინ შესხდებით და ვირე ჩემი თოფი არ გავარ-
 დეს, თქვენ თოფს ნურავინ ესვრითო“, მაშინ ქართველ-კახთა. ერთო-
 5 ბით აღუთქვეს ბრძანებულისა მის აღსრულება. ხოლო ხუთასნი იგი
 მყოფნი თათარნი ირაკლი მეფისანი შესხდნენ ცხენსა და განემორჩენ
 ქართველთა ჯარსა, განსდგნენ ცალკერძ და გაკეთდენ ერთ დასტად.
 გარნა დაადგრა ერთი ერევნელი თათარი, აირუმლის სულტანი, მე-
 ფის ირაკლის თანა, სახელით ალავერდი და მხილველმან მეფემან
 10 თვისისა ჯარისა სიმცროსამან ფრიად მხურვალედ თავყვანი სცა ჯვარ-
 სა ქრისტესსა ცრემლით და ყ(ოველ)ნი სპანი თვისნი ათაყვანნა ჯვარ-
 სა. და მაშინ მოვიდა თათარიცა, ეჭი ალავერდი სულტანი და ჰრქვა
 ჯვარსა ქრისტესსა, მეტყველმან ესრეთ „უკეთუ შეძლება რამე არს შენ
 შორის, დღეს გამოჩნდებაო“. და დაადგრა მეფის ირაკლის თანა. მა-
 15 შინ განუძღვნა მეფე ირაკლი ათას ხუთასსა კაცსა დაქვევითებულსა
 წყნარად და სადაცა უფრო უდიდესი დასტა იყო აზატ-ხანისა, მუნ
 მიჰმართა. მოვიდა განძვინებული აზატ-ხან და თვისი დასტები გარს
 შემოახვია და ოთხ-კერძოვე ესოდენ ახლოს მოაწიეს, რომელ შუბი
 აღარ გაიმართებოდა და ლამოდენ იგინი ერთობლივ ცოცხლივ შეჰ-
 20 ყრობასა ქართველთასა. მაშინ მოახსენა ერთმან ხანმან ვინმე აზატ-
 ხანს „დასტური მეც, რათა წარვიდე და მეფე ირაკლი ცოცხლივ
 შეჰყრობილი მოგართვა“. მანცა ნება ჰსცა და იგი ღია სწრაფით და
 ცხენ-მალედ მოვიდა, რომელსა საბრძოლველად აქვნდა შუბი ხელთა
 და ხმა ჰყო: „ჰამამან ჰანიერ ირაკლი-ხან“ (რომელ არს ქართულად —
 25 სად არის ირაკლი მეფე). მაშინ გაუხდა მეფე ირაკლი მკვირცხლ და
 შესძახა: „მე ვარ ირაკლი მეფე“ და ხმა-ყოფასა თანა მისცა თოფსა
 ცეცხლი, გავარდა თოფი მეფისა და მოხვდა მას ხანსა გულსა, გარდ-
 მოვარდა ცხენით და დაეცა წინაშე მეფისა ირაკლისა და არა იხილეს
 30 ესევეთარი სიმხნე მეფისა ირაკლისაგან ქართველთა და კახთა, განმ-
 ხნდნენ ესენიცა და ერთობით მისცეს ცეცხლი თოფთა თვისთა და რა-
 ცა მახლობელად მოსრულნი ყიზილბაშნი და ავღანნი იყვნენ, ერთო-
 ბით ჩამოყარნეს და დაეცნენ მიწათა ზედა. მაშინ აღმხედრდა ირაკლი
 ცხენსა თვისსა და აღუზახნა სპათაცა თვისთა აღმხედრება. აღმხედრ-
 დენ სპანი და იკრეს ხრმალთა ხელი და ერთობით შეუტივეს და მყის
 35 თანად მისვლასავე აოტნეს ყიზილბაშ-ავღანნი. ხოლო მას დღესა თანა

20 ვინმე] +თავმომწონემან და მსურველმან რათა სახელი თვისი განდიდებულ ჰყოს. B.

27 გულსა] +ბილწს მას და მეყსეულად მიაბარა სული მისი წილსა მამადსა, სადა განისვენებენ ყოველნი არა წმინდანი კრებულნი მისნი B.

ჰყვებოდა აირუმლის სულტანი ალავერდი, რომელმანცა ითხოვა სას-
წული ჭვარისაგან და იყო მხნეცა. წარივლტო, ვითარცა მეოტმან,
სირცხვილეულად აზატ-ხან და გამარჯვებას ამას შინა დარჩა მეფესა
ირაკლის 24 ზარბაზანი, 200 ზამბულაკი თავისის ასის აქლემით და
დროშა მრავალი და ორიათასხუთასი კარავი და ტყვისა და საქონლის
ოციხვი არ შეიძლებოდა. ხოლო იგი ალავერდი სულტანი დიდად გან-
კვირვებელი იტყოდა წინაშე ჭვარისა: “ესე საქმე კაცობრივის ძალი-
საგან შეუძლებელი იყო, მაგრამ ამ ჭვარის ძალამ ჰყო“. და ესრეთ
ჰსთქვა: „ნაჩ სანა ყურბან ოლიმ (რომელ არს. ჭვარო, შენთვის
მსხვერპლად შევიწირვით)“, თუცა ესოდენ ირწმუნა და ჰსთქვა, გარნა
არა ნათღლს-ილო. წარმოვირდა მეფე ირაკლი და მობრძანდა ტფილისს
გამარჯვებული, ხოლო ესე ძლევა იქმნა ივლისის თვეში.

წელსა 1753, თვესა იანვარსა, მოსწერეს წიგნები განჯის ხანმან,
შუშის ხანმან და ყარადაღის ხანმან, მიიწვიეს და აღუთქვეს მეფესა
თეიმურაზს და მეფესა ირაკლის, რათა ინებონ მისვლა ნუხის ხანს
აჯიჩალაბზედ და ესენიცა იახლნენ თვისითა ჯარებითა. ამისთვის
ინებეს მეფეთაცა წაბრძანება და ჯარები შემოიყარეს. წარვიდნენ მე-
ფენი და განჯას ჩაბძანდნენ. იქ ზემოხსენებულნი ხანები შემოიყარ-
ნენ თვისითა ჯარებითა და შემოჰფიცეს ერთგულებასა შ(ედ)ა, გარნა
არა დაადგრენ ფიცსა ზ(ედ)ა და ჰსძლიათ ჩვეულებამან სიმუხთლი-
სამან, ვითარცა ჰქმნეს ჭარის ომსა ზედა, ეგრეცა აქედამ დაუწყეს
წიგნების წერა იდუმალ ნუხის ხანს აჯი-ჩალაბს და დაიბარეს: „შენ
გამოდი შენის ჯარებით და როდესაც შენ გამოხვალ, ჩვენ შინ ულა-
ლატებთო“. ეს ამბავი მეფეთა ჰსცნეს და იმათი მიწერილი წიგნებიც
ხელთა შთაიპყრეს და ვინაღდან ერწმუნებოდნენ მეფენი მათგან
ესგეგარსა დრკუობასა, ვინათგან არა აქენდათ ჰეშმარტებითი ერთ-
გულება, ამისთვის განიზრახეს მიგება მაგიერისა და ზემოხსენებული
იგი ხანები ერთობით დაიჭირეს და ხანების დაჰქვრანზედ მათი ჯარებიც
აირიჯა და თვით მეფეთაცა თვისი ჯარები დაუწყობელნი ჰყვანდნენ.
შემოხსენებას ამას შინა მოვიდა ნუხის ხანი აჯი-ჩალაბი შირვანისა და
დაღესტნის ჯარებით, დამარცხდნენ მეფენი და მრავალნი მოისრნენ
ქართველ-კახნი ბრძოლასა შინა და უმრავლესნი შამშადილელთა
გასწყვიტეს გზაზედ. ხ(ოლო) მეფენი მოვიდნენ ტფილისს ლტოლ-
ვილნი, თვესა მარტსა.

ამავე წელსა, მაისის თვეში, შემოიყარა ჯარები აჯი-ჩალაბის
შვილმან ალა ქიშიმ, გამოვიდა განჯას შაქი-შირვანის ჯარით და იქ

4 ირაკლის 24 ზარბაზანი] ათოთხმეტი B; 4 თავისის აქლემებითა B.

შემოეყარა ყარაბაღის ხანი ჯარებით. მოვიდნენ და ყაზახ-ბორჩაღუ .აქყარეს და თვით ბაიდარში დასდგნენ უშიშრად, ვინადგან ქართველ-კახნი ახალნი დამარცხებულნი იყვნენ და დასუსტებულნი. მაშინ წაბ-რძანდა ირაკლი მეფე არაგვის ხევსა, მოიყვანნა ჩერქეზ-ოვსნი ჯარად და მთის კაცნიც მოიყვანნა და ვიდრე მეფე ირაკლი მუნით გარდმოზ-რძანდებოდა, მანამდინ დალესტინის ბელადმა ზუბეიდალამ დალისტ ნის ბელადები თვისის ჯარებით შემოიყარა, მოვიდა ზემო ქართლში და ქართლს რბევა დაუწყო, გალავანს დუანისისა შემოადგა და აღიღო. შიგ მყოფნი მრავალნი სულნი დაატყვევეა და მუნით წარსრული თიღვას შემოადგა. და იმ ჟამზედ მეფე ირაკლი ხევიდამ გარდმოვიდა ჩერქე-ზის ჯარით და ეს ამბავი დუშეთს მოერთვა. ამ ჩერქეზის ჯარს წარუძ-ღვანა ჯიმშერ ერისთავი და გივი ამილახორი და იმ ლეკის ჯარზედ გა-ისტუმრა თიღვის მისაშველებლად და თვით მეფე ირაკლი კახეთს წაბძანდა ჯარების გამოსაყვანად. ლეკთა თიღვა ველარ აიღეს, პატა-რა ლიახვს გამოღმა კარბის სოფელთან რა მოაწიეს, იქ ჯიმშერ ერის-თავი და გივი ამილახორი შემოეყარნენ ჩერქეზის ჯარით, შეუტივეს და ეს ლეკის ჯარი დაამარცხეს, მრავალი ლეკი მოკლეს და ქალაქს მე-ფეს თეიმურაზთან შთამოვიდნენ. ირაკლი მეფეც კახეთის ჯარით შთამოვიდა და ორნივე მეფენი ქართლ-კახეთისა და ჩერქეზის ჯარით ტფილისით განვიდნენ. რა ესენი სოღანლუ(ხ)ს შთავიდნენ, მაშინ ბა-იდრიდამ აჯი-ჩალაბის შვილი ალა-ქიში და სხვა ხანები ვინც იყვნენ, აი-ყარნენ და უკან გაბრუნებულნი ყაზახში მივიდნენ. ხანები, რომელ-ნიც გემი-ყაიაზედ იდგნენ, აიყარნენ და ვითარცა მეოტნი მსწრაფლ წარვიდნენ და შამშადინში თოუზზედ მივიდნენ და იქ ორ დასტად გაიყვნენ და დაემალნენ ქართველ-კახთა. გარნა ამათი ესრეთ საჩქა-როდ წარსლვა რომ იხილეს, ამათაც დასტები მოშალეს და ჩაფაუ-ლებრ ცხენ-რბევით ჰსდივეს. ხოლო მეფე ირაკლი ამ წინა-ჩაფაულთა შინა იყოფოდა და მეფე თეიმურაზ წყნარად დასტა-დაწყობილი წარ-ვიდა. ხოლო ოდეს თოუზზე ქართველთ ჯარი თავ-წვრილიადათ მის-რული ნახეს, ისინი დასტა-წყობილნი მზირ უდგნენ და ფიცხელად შემოუტივეს და მრავალი კაცი მოკლეს. ამ დროს მოასწრო მეფემან ირაკლიმ და დიდი გრძელი ომი შეექნათ. მოსცა ღ(მერ)თ(მან) ძლევა ირაკლის, გაემარჯვა და მრავალი კაცი მოკლეს და მრავალი ცოცხალი დაიჭირეს, ოცდაათი ვერსი ჰსდივეს (რომელ შეკრებების ვიდრე სამის

5 ზუბეიდალამ] + ჩინებულმა ლეკთა შორის B.

8 გალავანსა დუანისისა] და ვანის გალავანს A.

23 მივიდნენ] + ხოლო ოდეს მეფენი მიბრძანდნენ გატეხილ ხიდს B.

24 გემი-ყაიაზედ A.

საათის სავალად), გამობრუნდნენ გამარჯვებულნი და მოვიდნენ ტფილისს.

ხოლო ამასვე წელსა კ(ვალა)დ ასტყდნენ დალისტნელნი რბევად ქართლისა. ორასობით და სამასობით დავიდოდნენ მრავლად მრავალთა ადგილთა და დიდად შეამჭირვეს ქართლი. და მეფე ირაკლი მრავალს ადგილს დახვდა და აოტნა მოწყვეტით ლეკნი, გარნა ეგრეთაჲ არა დაჰსცხრნენ რბევად ქართლ-კახეთისად სიმრავლისა გამო მათისა და განგრძელდა ჰრბევა მათგან ქართლ-კახეთისა.

წელსა 1754, ქორონიკონს 442, ავარიის ხანმან, ხუნძახის ბატონმან ომარ-ხან შემოიყარა დალისტნის ჯარები და მოვიდა უგრძნულად შიგნით კახეთს, მუნით შემოიარა, მოვიდა არაგვზედ და ღუშეთს შემოადგა (რომელ არს ციხე კობია) და აღიღო, მუნით მოვიდა მჭადისჯვარს და გარს მოადგა. ამისი მცნობელი მეფე ირაკლი კახეთის ჯარით მოეშველა და არაგვზედ ღუშეთს მოვიდა. მეფე თეიმურაზაც ქართლით მობრძანდა და ორნი ესე მეფენი ღუშეთს შეიყარნენ. მეორეს დღეს მივიდნენ და მჭადისჯვარს მდგომს ომარ-ხანს ჭილურტის მხრით შემოებნენ, მოსცათ ღ(მერ)თ(მან) ძლევა და განემარჯვათ მეფეთა. დაამარცხეს ხუნძახის ბატონი და მრავალი ლეკი მოკლეს და წარვიდა ხუნძახის ბატონი ფრიად მეოტი, ხოლო მოვიდნენ მეფენი ტფილისს გამარჯვებულნი. გარნა არა დასცხრნენ ლეკნი კ(ვალა)დ ქურდულად ჰრბევად ქართლისა და კახეთისა. კვალად შეჰკრბნენ დალისტნელნი, მოვიდნენ ქართლში და დირბის ციხეს შემოადგნენ, მოეშველნენ მეფენი და დაამარცხეს ლეკის ჯარი, მრავალი მოსწ-

ამ დროს მოასწრო... მოვიდნენ ტფილისს] ხსენებულმან მეფემან თეიმურაზ სლვა დააწუნარა და ჯარი შეაგროვა, რაზმწყობილად ნელიად ვლიდა, ხოლო მეფე ირაკლი წინა მათრახმოწრტიალეთა ჯართა შორის სდევდა მტერთა გულითა ლომებრითა. ოდეს მტერთა ქართლოსიანთა ჯარნი თავწვრილად მადვენული იხილეს, მხირ-ქმნილი წყობილად მოეტივნენ და მრავალი მოკლეს. მაშინ მეფემან ირაკლი, ვითარცა ძველ ოდესმე გმირმან ლეტორ, აღუზახნა გაბნეულთა სპათა, შემოაგროვა და გაერივა შიგან მათსა, ვითარცა შევარდენი გნოლის გუნდთა შორის, შეჰქმნეს თოფთა ცემა და ხმალთა ელვა, განძლიერდეს მეფისანი და სძლიეს მტერთა მათ თვისთა, გააქცივეს და სდივეს ხოცითა ვიდრე ხუთ ალაჯამდე. შეიპყრეს ტყვეთა მრავალნი და ესრეთ გამარჯვებულნი და მოხარულნი შემობრძანდნენ ტიფლაზსა B.

4 ორასობით და სამასობით ხუთასობით მტერთა და ნაკლებით B. 9 1755 A.

20 და განემარჯვათ... გამარჯვებულნი] და მასვე ხევსა ჭადის ჯვარისასა ცხრა ასი ლეკი მოკლეს და შიშით ზარდაცემული ომარ-ხან განივლტო მტირალი დალისტანს, ხოლო მეფენი შემობრძანდნენ ტიფლიზს მოხარულნი და მადიდებელი ღმრთასა ცხოველისანი. B.

ყვიდნეს და ციხე იგი განარინეს აღებისაგან.

- წელსა 1755 კვალად შემოიკრიბა ავარიის ხანმან, ხუნძანის ჰა-
ტონმან ომარ-ხან დალისტნის ჯარები, გარდმოვიდა და მოადგა ყვარე-
ლის სოფელსა, ამას მოერთვნენ ჰარელნი და შაქი-შირვანელნი, ვი-
5 თარცა არს ჩვეულება მათი დინთასლიბისა ქ(რისტე)იანეთა ზედა,
მოვიდნენ და მოადგნენ ციხესა ყვარელისასა კაცი ვითარ ოცი ათასი,
და ოცდარვას დღეს ვარმოდგომილთა შეამჭირვეს ყვარელის ციხე
გარნა გამოერჩივნენ ჰართველ-კახნი მხნენი, ვიდრე ორასადმდე და
10 შესწირეს სისხლი მსხვერპლად ქრისტიანობისა და ერთგულებისა-
თვის მეფეთასა, ბრძანებითა მეფეთათა შეეშველნენ ციხესა ყვარელი
სასა და შეიღეს ტყვია-წამალითა მრავალი. მეფე თეიმურაზ დასდგა
თელავს და მეფე ირაკლი წარბანდა ქისიყს და იქ შეჰკრიბნა მხედ-
რობანი და გაუსია ჰარს, მოსწვეს ჰარი და მოარბიეს ყოველითურთ,
15 ხოლო ამისნი მსმენელნი ჰარელნი აირივნენ და გაეცალნენ ყვარე-
ლიდამ და ამათ გაჰყვნენ შაქი-შირვანელნი და მეფენიცა წარვიდნენ
ყვარელის მხრისაყენ. ჰსცნა ესე ავარიის ხანმან, აიყარა და წარვიდა,
ვითარცა მეოტი.

1 მოეშველნენ... აღებისაგან გარნა არცა მუნ აქვდათ წარმატება შით, რა-
მეთუ მეფეთა შეუტყვეს მათ, მოეტივნენ, ვითარცა ჰორი კაკაბთა შორის და ეს-
რეთ ამოსწყვიდეს იგინი, რომე თითქმის არა დაშთა მოამბე ეგოდნთა სიმრავლე-
თაგან ლეკთა B.

11 მოვიდნენ და მოადგნენ... შეიღეს ტყვია-წამალითა მრავალი მოვიდნენ გან-
ძინვარებულნი ციხესა ყვარელისასა, რათა აღიღონ იგი ამათ, შეწუხდნენ ფრიად
მყოფნი მას შინა უმეტეს მისთვის, რამეთუ მოუტრეს წყალი, შემოაკლდათ ტყვია-
წამალიცა, რომლისათვის მისცნეს თავნი თვისნი ყუარელთა განწირულებასა. ხოლო
მაშინ ვულოვანი იგი ჰაბუკი ლარაძე, სახელით დავით, მყოფი მასეე ციხესა შინა
განამხნობდა ყუარელთა მათ რაოდენგზის შესაძლებელ იყო, გარნა იხილა რა მან
უკანასკნელ მოკლებულ არიან მათგან ყოველნი ძალნი მათნი, ჰკრქვა მათ: ნუ
ჰსკმუნავთ ძმანო ჩემო, მე დავსთხოო სისხლი ჩემი თქვენ ქრისტიანეთათვის,
ამას დაბესა წარვიდე და ძალითა მადლისათა გიშოვოთ თქვენ წყალი. და რა შე-
იქმნა მწუხარი და წყუდიადმან დაჰფარნა ქვეყანა, გამოვიდა იგი ციხეა აღთქმისა-
ებრ თვისისა მათ მიმართ, მივიდა მუნ, სადაცა მოეპირათ წყალი, რომელსა ზედაცა
იღგნენ მცველად ავარის ხანისაგან ათორმეტნი ყარაულნი. ხოლო მან განვლო
უშიშრად მტერთა იგი ბანაკი, მცველნი იგი დახოცნა ხანჯლითა და წყალი მიუგ-
დნენ ციხესა შინა. და ოდეს იხილეს ციხოვანთა წყალი, განამხნენ ფრიად და აღი-
ვსნენ სიხარულითა. ხოლო ლომი იგი დავით მსწრაფლ წარვიდა მეფეთა წინაშე,
აცნობა საქმე ესე, მაშინ გამოარჩივნეს მხენი ვიდრე ორასადმდე, უწინამდ-
ღერეს მათ დავით და წარატანეს ტყვია-წამალი მეფეთა ციხისა მისაშველებლად
ხოლო მათ, ვითარცა მსხვერპლად შემწირველთა მეფეთადმი თავთა თვისთა, გა-
მოვლნეს ბანაკნი თვისი და ოდეს მივიდნენ მტერთა ბანაკსა, მყის ერთპირად და-
უთალაბთა მათ დასცალნეს თოფნი. მაშინ აღირივნა სიმრავლე იგი გარმოდგომილთა
მტერთა და აღრეყასა მას შინა შევიდნენცა გამაზადებული იგი ციხესა შინა, რომ-
ლისათვის მეციხოვნენი აღივსნენ უზომოითა სიხარულითა B.

წელსა 1755 დაიწყო კ(ვალა)დ ჰრბევა და ოხრება ქართლისა დალისტნელთა ქურდულად, ვიდრე ასობით, ორასობით და უმეტესობითცა ვლიდენ მრავალთა ადგილთა ცალ-ცალკე და ამით დიდად შეაქირვეს ქართლი. გარნა არცა მეფემან იოაკლი მისცა განსვენება თავსა თვისსა დევნისაგან მათისა, რომელმანცა უმრავალჭერეს სდევნა, აოტნა და მოსწყვიდნა რომლისაცა რიცხვი კნინლა თქმად შესაძლო არს. და ესრეთითა შრომითა და სიმნხითა აქვნდა მეფობა და მართვადა კეთილად. გარნა ევრწთცა არა დასცხრნენ დალისტნელნი ავაზაკობისაგან.

5

ამასვე წელსა ქართველოს თათრის ელები ჩვეულებისაებრ მთაზე წარვიდნენ, მუნით გაიქცნენ და ერევნის მამულში შთავიდნენ. მცნობელი ამისი მეფე ირაკლი ზემო ქართლში წაბრძანდა, იქ იღუმალ ჯარები შემოიყარა აგვისტოს თვესა, თრიალეთი გარდავლო, შთავიდა ერევნის მამულში სეკდემბრის თვესა, არაზის პირზედ ყარსუ ეწოდება, მუნ მოეწია და ეს წარსრულნი ელნი სრულიად დააბრუნა და ოკდომბრის თვესა თავ-თავის ადგილს დასხნა.

10

15

წელსა 1757, ქორონიკონს 445, მეფე თეიმურაზ და მეფე ირაკლი ზემო ქართლს ბრძანდებოდნენ და წვრილს ლეკის ჯარებს სდევნიდნენ, ორგან-სამგან დაამარცხეს, მივიდნენ ქრცხინვალს სუბუქად, თავის ამალით, დაჰსდგნენ და სხვა დაბარებული ჯარები არა ჰყვათ. ამჟამად დალისტნის ბელადი ჩონჩოლ-მუსა, ჰტარისა და იტინა მოვიდნენ ქრცხინვალს დალისტნის ჯარით ვიდრე ოთხი ათასადმდე და პირისპირ სროლა უწყეს და ვინათგან არა ჰყვათ ჯარება მეფეთა, ამისთვის ვერ იკადრეს რაზმით ომი მინდორთა ზ(ედ)ა და ამის გამო სიმაგრით ბრძოლა უყვეს ძლიერად, რომელ მასვე ღამესა აიყარა დალისტნის ჯარი, წარვიდნენ და ალის ციხა აღიღეს და მრავალნი სულნი ტყვე-ჰყვეს.

20

25

კვალად წელსა 1758, ქორონიკონს 446, ოკდომბრის თვესა დახვდა დიდი ჯარი ლეკისა ღართისკარში, კოსტანტინე მუხრანის ბატონი მოჰკლეს და სხვა გზის ქარავანიც წაახდინეს და წარვიდნენ. ჰსცნა ირაკლიმ, დახვდა ნაფარეულში და ისე მოსწყვიდა, რომელ მცირედნილა გარდაეხვეწნენ.

30

წელსა 1759 გარდმოვიდნენ კ(ვალა)დ დალისტნის ბელადი კოხტა და ჩონჩოლ-მუსა დალისტნის ჯარებით, ვიდრე რვა ათასადმდე.

4 განსვენება] + გარნა მეფე ირაკლი, ვითარცა ქორი თულუნი სდევდა მათ და სადაც მოასწრის ჰხოცდის მათ თვინიერ ყოვლისა შეწყალებისა B.

14 სეკტემბერსა B.

21 ჰტარისა] ჰატარისა B.

კაცი. ესენი გაიყვნენ: ჩონჩოლ-მუსა მივიდა აჩაბეთს და აღიღო და მრავალნი სულნი დაატყვევნა, შველო ლიახვზედ, სამაჩაბლოს ოსები დაარბივა და მუნით წარმოსრული ავნევს სოფელს შემოადგა. და კობტა ბელადი ატოცის ციხეს შემოადგა. მივიდნენ მეფენი თეიმურაზ³ და ირაკლი ქართლ-კახეთის ჯარით ყორნისს და; მეფე იმერთა სოლომონ შემწე ექმნა მეფეთა და მოვიდა ჯარით და სამთა ამათ მეფეთა შეექმნათ რჩევა, თუ რ(ომელ)სა მიეშველნენ — ავნევს ანუ ატოცსა და უმჯობეს განიგულვეს მიშველება ატოცისა. მივიდნენ მოსწრაფედ და დილას ადრე თავს დაესხნენ ლეკის ჯარს ატოცს, აოტეს კობტა ბელადი და ლეკის ჯარნი მრავალნი მოსწყვიდნენ და სამთა ამათ მეფეთა სპათა სიმხნე და სიმარჯვე ყოველთა კაცთაგან მოსაწონ იყო. და ჰსდევნეს და ლტოლვილნი იგი: ლეკნი მივიდნენ ავნევს და აცნობეს ჩონჩოლ-მუსას ესე ყოველი ყოფილი. ამისი მსმენი იგიცა შემოეცალა ავნევს, მოვიდა და დევანს სიმაგრეში დასდგა ჯარით. მასვე დღესა მოვიდნენ სამნივე მეფენი ავნევს მოსაშველებლად, გარნა არღარა ადგნენ ლეკნი ავნევსა. ჰსცნეს მეფეთა დევანს დგომი მათი, მივიდნენ მეფენიცა და პირისპირ დაუდგნენ. გარნა ვერღარა იკადრეს გამოსვლა ლეკთა საომრად დასტით, არამედ მცირეთა კაცთაგან მოხდა თოფთა ცემანი, სიღამემან უსწრათ და არღარა მოხდა ომი და დასდგნენ მეფენი მას ღამესა ახლოს ლეკის ჯარისა, ხვალისად ომისა იმედეულნი. გარნა მას ღამესავე აიყარა ჩონჩოლ-მუსა ღვა გაიპარა ჯარით. მეორე დილას ჰსცნეს მეფეთა გაპარვა ლეკის ჯარისა, წარუდგნენ. გარნა ვერღარა ეწივნენ.

კვალად წელსა 1760, ქორონიკონს 448, წარვიდა მეფე თეიმურაზ როსიასა შინა იმპერატრიცა ელისაბედთან თხოვად შეწევნისა.

ამასვე წელსა ზანდი ქარიმ-ხან განძლიერდა, ყაჯარი მაჰმად-ხან დაამარცხა და ომში მოკლა, აედანი აზატ-ხან გამოაქცია, თავის ქვეყნისაკენ ვერღარა წარვიდა და ადრიბეიჯანისაკენ წარმოვიდა ჯარითა და ბევრი ავი საქმე ჰქმნა ავაზაკებრ.

და მოუწერა ქარიმ-ხანმან მეფეს ირაკლის ძმობით და სიყვარულით წიგნი: „აზატ-ხან ადრიბეიჯანის მხრისაკენ წარმოვიდა და ქვეყნებს არბევს და აოხრებს და უკეთუ მაინთ გამოჩნდეს სადმე, დაიჭირე და გამომიგზავნე, რომლისათვისცა ერანზედა დიდი ვალდებულება გექმნებაო“. ამ ჟამად აზატ-ხანმა იმ ადგილებში ველარ მოიკადა

3 დაარბია+გარდავიდა იმერეთს და კუდაროც მოარბია B.

10 და სამთა ამათ მეფეთა... აოტეს კობტა ბელადი] მაშინ სამნი ესე მეფენი სწრაფითა სიარულითა განთიადისა დროსა დაეცნენ კობტა ბელადს და ჯართა მათა, რომელნი ადგნენ ატოცის ციხეს. აოტეს კობტა ბელადი ვითა თხა B.

და დალისტინისაკენ წარმოვიდა. ჰსცნა ესე ირაკლიმ და ყაზახში გარდა-
ასწრო და თავის ჯარებით სრულიად შეიპყრა. აზატ-ხან ქარიმ-ხანს
გაუგზავნა და ჯარნი მისნი ყოველნი განათავისუფლნა და თავის ქვეყ-
ნებში გაისტუმრა.

ეს საქმე ქარიმ-ხანმან დიდად დაუმაღლა და მრავალი ფეშქაშე- 5
ბი წარმოუვლინა და დაუმტყიცა ერევანი და მოუწერა ხანსა ერევ-
ნისასა: „შენ რაიცა ხარკი სახელმწიფო გედვას, ყოველსავე მეფეს
ირაკლის მისცემდეო და ჰმორჩილებდე, ვითარცა არს წესი მორჩი-
ლებისა“ და მოსწერა, სხვათაცა ხანთა აღრიბეუანისათა მორჩილება
მეფის ირაკლისა.

ამასვე წელსა ტყეებმა ჯავახეთი მოარბიეს და მრავალი ქრისტიან- 10
ნი დაატყვევეს. დახვდა მეფე ირაკლი ყარაიხზედ ღამე, ეს ლეკის ჯა-
რი დაამარცხა, მრავალი ლეკი მოჰკლა და ტყვე, საქონელი სულ გააყ-
რევინა და მისცა ნება ყოველთა თვისსავე ქვეყანასა წარსლვისა. ესე
გამარჯვება იყო ივნისის 4.

წელსა 1761 წარმოვიდა დალისტინის ჯარი საქართველოსა საოხ- 15
რებელად. ჰსცნა რა ესე მეფემ ირაკლიმ ჯარის შეყრა ველარ მოას-
წრო და თავისის ამალით წარვიდა, სუჰუელიანში დამალა, რომელ
არს ნათლისმცემლის მონასტრის კერძო. მუნით მეფე ირაკლი ყარა-
ულად წარვიდა და განიმსტრო და ჰსცნა, რომელ ათ ზომად უმეტე- 20
სობდა ლეკი მისს ჯარზედ. გამობრუნდა და ასეთს ადგილს დაახვედ-
რა და ესრეთ შეადგერა ეს თავისი ამალა, რომელ მოსვლასავე თანა
აოტნეს და მრავალნი მოსწყვიდნეს.

წელსა 1762, შიგნით კახეთს. ახმეტას სოფელს, ლეკის ჯარი ში 25
ვიდა და ამით მყის თანად მიუხდა მეფე ირაკლი, შეეგება და დაა-
მარცხა და მრავალნი მოსწყვიდნა და დანაშთნი წარივლტნენ სირცხვი-
ლეულნი.

წელსა 1763, მოვიდა სამაჩაბლოში კეხვისს ლეკის ჯარი. მიასწრა
მეფემან ირაკლი, განემარჯვა და მრავალი მოწყვიდეს.

წელს 1764 ქ(ორონი)კ(ონ)ს 452 დახვდა მეფე ირაკლი ლეკის 30
ჯარს მრავალწყაროზედ, გაიმარჯვა და მრავალი მოსწყვიტეს.

კვალად წელსა 1765, ქორონიკონს 453, ლეკის ჯართა გორი და-
არბიევს და ტყვენი წარასხნეს. დაუხვდა მეფე ირაკლი სამგორის მინ-

15 ივნისის 4] +ხოლო ესოდენნი მწუხარებანი, ოხრებანი, კვლანი და დღე
ყოველ სისხლთა ღვრა არ იკმევნა სატანამან, რომელი ნიდაგ მეშურნე არს კე-
თილისა და მოყვარე ბორბისა, კვალად აღწრზიანა მან დალისტინელი ქრისტი-
ანეთა ზედა, რომელნი (sic) B.

.30 ქორონიკონს 451 A.

დორში ღამე. ეს ლეკის ჯარიც სრულიად მოსწყვიდნენ და ტყვენიცა განათავისუფლნენ.

5 წელსა 1767, ერევნის ქურთები განსდგნენ და არღარა მოსცეს ხაკი. წარვიდა მეფე ირაკლი იენისის თვესა, მათაც ჰსცნეს მეფის მიმავლობა, გაიქცნენ და არეზის მდინარესა განვიდნენ, არარატის მთის იქით. რა მივიდნენ, ეწია ირაკლი მეფე, დაარბივა ქურთები და მრავალი იშოვეს, ესრეთ რომელ უმეტეს მოსაცემელისა ხაკისა ვიდრე ათ ზომამდე და მოვიდა ტფილისს.

10 ამასვე წელსა დაღისტინის ჯარი გარდავიდა იმერეთს, რაჭის სოფლები მოარბიეს. სამასამდის ქრისტიანე ტყვე იშოვეს და წარმოვიდნენ. ჰსცნა ესე მეფემან ირაკლი, შემოიყარა ჯარები წარვიდა და იორის წყალზე დასდგა, ყარაულნი განაწესნა ცნობისათვის მათის მიმავლობისა. მივიდნენ ლეკნი საქონლით და ტყვით სავსენი. ამათ შეება მეფე, ტყვე და საქონელი სრულიად დააყრევინა და ის ლეკნი ასე 15 გასწყვიდნა, რომელ დაღისტანში იმათი მოანბე ვერღარა მივიდა.

წელსა 1769, ქ(ორონი)კ(ონ)ს 457, კ(ვალა)დ განსდგნენ ერევნის ქურთები და არღარა მოსცეს ხაკი. წარვიდა მსგავსადვე ჯარით, მოეწივა არეზს გელმა, დაარბივა და მრავალი იშოვეს. ჯარებმა და მოვიდნენ ტფილისს და ქურთნიცა მოვიდნენ ერევნის მამულში, თვისსავე ადგილსა ზედა დასდგნენ და მოსცემდნენ ხაკსა და მიერიო ვერღარა იკადრეს განდგომა და იყვნენ მოხარკეობასა ქვეშე მეფის ირაკლისასა.

25 კვალად წელსა 1770, ქ(ორონი)კ(ონ)ს 458, განიზრახა მეფემან ირაკლი ახსინაზედ განმხედრება, ვინადგან რუსნი და ოსმალნი აშლილნი იყუნენ და რუსეთის მხედრობა ჰბრძოდა ოსმალთა საბერძნეთის მხარეს და საქართველოსაცა წარმოუვლინა იმპერატრიცა ეკატერინამ რუსეთის უძლეველი მხედრობა მხედართმთავრობასა ქვეშე ღენერალ-მაიორის ღრაფ ტოტლებენისასა, რომელიც წინას წელიწადებში იყო მოსული. დაჰსდგა ჯარით ქრცხინვალს. ეზრახა მეფე ირაკლი 30 ამ ღენერალს ტოტლებენს, წეითქვენ და წარვიდნენ აღსიხად. მივიდ-

8 ვიდრე ათ ზომამდე...] და წარმოვიდნენ და უმეტეს ოცისა ზომისა ხაკისათვისა მათისა მამულის ნოულეს მათგან ამათ, ვინადგან არა დაადგრნენ პირისა სიმტკიცისა ზედა თვისსა და არიანც კერპთმსახურ B.

17 და არღარა მოსცეს ხაკი] — B

24 განიზრახა... განმხედრება] ვინადგან დაუცხრომელად ბარბაროზობა საქართველოსა ზედა ლეკთა მიერ იყო მიზეზითა ახალციხისათა, ამისთვის მარადის სწაღდა მეფესა ირაკლის ეამისა დაცემა ახალციხესა ზედა, რათა მისრულ იყო ჯარით და ეზღვია მათგან ესე ოდენ სისხლთა ღვრა, ვინადგან აქუნდათ ლეკთა ბინად ახალციხე; და მას ეამსაცა იყო მუნვე ახალციხესა მრავლის ჯარით მას საუკუნეში სახელოვანი ბელადი დაღისტინისა კობტა შემწედ ფაშისა B.

ნენ და პირველად მოადგნენ აწყურს და რამდენიმე დღე ადგნენ. ამ-
ზედ შეიყარნენ ოსმალნი და დალისტნის ბელადი კოხტა მაშინ ფრიად
გამოჩენილი იყო და ესეცა დიდის ჯარით იყოფოდა ოსმალთ ჯარში
შემწედ ოსმალთა, მოვიდნენ და შემოეშველნენ აწყურსა და იყო
მარადის ძლიერი ომი და დაუცხრომელი ფიცხელი თოფთა ცემა. ხო- 5
ლო შთაადგეს შური ბოროტთა კაცთა და უზიდევდენ ღრად ტოტლე-
ბენს ავსა სიტყვასა და ამის ძლით შემოსწყრა ღრად ტოტლებენი
შეფესა, აიყარა თავისის ჯარით და წარმოვიდა. მოვიდა მეფე ირაკლი,
პრაეაღს ეხვეწა, გარნა, მან არა უსმინა და ნებისაებრ თვისისა გა-
მობრუნდა. ხოლო დასდგა მეფე ირაკლი მუნვე და სთქვა ესრეთ: 10
„უმჯობეს არს აქა სიკვდილი ჩემი, ვიდრემდის ამათგან რუსეთის
მხედრობას ევნოს რამეო“.

ხოლო ამის მხილველნი ოსმალ-ლევნი გამობრუნებისათვის რუ-
სეთის მხედრობისა არა მცირედ განჰსძლიერდებოდნენ. გამოვიდნენ
გაამაყებულნი და შემოებნენ. იქმნა ბრძოლა ძლიერი და ფიცხელი, 15
ვიდრე სამ საათამდე და ლევნი და ოსმალნი უკუდგნენ სიმაგრეთა და
რუსნიცა შემოვიდნენ ხეობაში სამშვიდობოს. და ამჟსა შემდგომად
მეფე ირაკლი აიყარა მასვე დღესა და წარმოვიდა ჯაფახეთის მხრისა-
კენ მიწდორზედ. გამოვლო აწყვერიდან 12 ვერსი და ამას ღამესა მუნ
დაივანა და გამოჰყენენ ოსმალ-ლევნიცა. ამას ღამესვე აარჩივეს ოს- 20
მალთა კაცი ცხენოსანნი, მოასწრეს წინ და ასპინძის ხრამის პირი
შეუჯრეს, მოვიდა მეფე ირაკლი ასპინძის და ასპინძის ხიდის ისრები
ააყრევინა და მტკვარში გადააყრევინა. ამჟამს ვიეთნიმე ქართველნი
ჯარისკაცნი აყრილს სოფლებში საქონლის საშოვრად წარვიდნენ.
შემოუტივეს დამალულთა ოსმალთა თავწვრილად მიმავალს თარეშის 25
კაცთა, დაამარცხეს ჩაფაულის კაცი და მიჰყუნენ ხოცი თ ვიდრე მე-
ფედმდე და ამისი მხილველნი მეფის ჯარნიც შეიძრნენ, რომელნიც
მეფესთან იყვნენ, დაიწყეს ლტოლვად და მეფე ირაკლიცა მოჰყვა
მცირედ და ევედრებოდა დაბრუნებასა, გარნა ვერაგის ასმინა მცი-
რედთაგან კიდე. უკმოუბრუნდა თვით მცირედითა, ეკუეთა ძლიერად 30

10 მოვიდა მეფე ირაკლი... ნებისაებრ თვისისა გამობრუნდა]—B.

16 ვითარ სამი დღე B.

19 იქმნა ბრძოლა... მიწდორზედ] ხოლო მეფე ირაკლი განძლიერდა ძალითა
შეგარდამოითა და შეჰქმნა ბრძოლა ძლიერი და იყო მოუკლებელი სიკვდილი და
სისხლთა ღერა ვითარ სამი დღე და რა იხილეს მათ გულოვნად ბრძოლა ქართლო-
სიანთა, მიდრკენ და სიმაგრეთა შინა შედგნენ და ოდეს სცნა მეფემან მშვიდობით
მისვლა ზემო ქართლს როსთა, აიყარა და წამობრძანდა კერძოთ ჯავახეთით B.

ძალითა ღმრთისათა აოტნა ოსმალნი. ამისი მხილველნი სპანიცა მეფისანი მოიქცენენ და დაუწყეს დევნა ლტოლვილთა ოსმალთა და მრავალთა მოსწყვიდეს.

- 5 გამობრუნდნენ გამარჯვებულნი და ვიდრე ერთი საათი განვიდოდა, უკან გამოდგომილნი ოსმალ-ლეკნი მოეწივნენ რიცხვით ვ(იღრ)ეათასამდე და სპანი მეფისანი გზის სივიწროისა მიზეზითა აშლით და თავწერილად მოვიდოდეს დასტა-დაწყობილნი. ოდეს იხილნა მეფემან ირაკლი ეს ჯარები მიწვენილნი, მაშინვე თვით გამობრუნდა რაოდენითაჲმე ჩინებულთა და შინაყმითა თვისითა და შვილითა ხევსურთა.
- 10 თა. განაწირა თავი თვისი და ეკვტა ფიცხელად ვიდრე სიკვდილადმდე და იყვნენ ყოველნი მეფისა თანა მყოფნი ქართველ-კახნი მხნედ და უმეტეს შვიდნი იჭრ ხევსურნი. თუმცა თავადნი მრავალნი სახელოვნად გაისარჯნენ, გარნა განვრცელებისათვის დავილუმე. ამჟამად უკანანიცა ჯარნი მეფისანი, რომელნიცა იყვნენ გზის
- 15 სივიწროვისაგან წარგრძელებული, ჰსცნეს რა მეფისა ესე ვითარებანი იგინიცა შედგნენ და ვითენიმე მამაცნი კაცნი მობრუნდნენ მეფისა თანა და იქმნა ბრძოლა ძლიერი. და თვით მეფემან მოჰკლა დალისტინის წარჩინებული და მხნე ბელადი კობტა და მყისვე ივლტოდენ ოსმალ-ლეკნი და მოუდგნენ ქართველ-კახნი და უმრავლესნი ოსმალ-ლეკნი
- 20 მოსწყვიდნეს, ხოლო ლტოლვილთა ოსმალ-ლეკთა ასპინძის ხიდს მიჰმართეს და ქართველნიცა ჰსდევნიდნენ ფიცხელად. ხიდის ფიცრები უწინარესვე აყრილ იყო და რომელმანცა სიკისკასითა ერთს ისარხედ არ განვლო, მისგან კიდე ყოველნი მოსწყვიდნეს და მრავალნი წყალში შთასცვიდნენ და მოიშთენენ, ვინათგან იმ ჟამს
- 25 მტკუარი განდიდებულ იყო, ამისთვის ვერ უძლეს მშვიდობით განრი-

!უკოუბრუნდა... აოტნა ოსმალნი] ლომჟა მეფე ირაკლი მცირედითა თანამყოლითა თვისითა ეკვეთა გამარჯვებულთა მათ რაზმთა მტერთათა, მოსცა ძლევა და განდრეკა B.

5 ათასამდე] ათორმეტი ათასი B.

9 და სპანი... ხევსურთა] და უკეთუ მათ მომავალთა არა შეხვედრიყო მეფე ირაკლი სპასპეტითა თვისითა დავით ორბელიანითა, ამალითა თვისითა და ხევსურითა რაოდენითმე ერთ გუნდად, სრულად აღისპობოდა მუნ მყოფი ჯარა ქართლოსიანთა, რომელი გამობრუნდა მათ განძენებულთა თვისითა სთხოვა ძალი ზენასა B.

18 და იყვნენ... ივლტოდნენ ოსმალ-ლეკნი] შენითდა ბრძოლა და გაიფუდა სიკვდილი. მაშინ წინა მიმავალთა მათ ქართლოსიანთა მიესმათ რა ხმა ბრძოლისა, შესწირეს მსხვერპლად თავნი მეფისა ერთგულებასა და შემოერივნენ შიგან მათსა და შენითდა კულად ომი სპათა მეფისათა. დაიწყეს ბრძოლა ძლიერი, ხოლო ირაკლი, ვითარცა ლეეტორმან და ახილესმან იხილა რა, რამეთუ ბრძოლა გაძნელები, მიუხდა სახელოვნასა მას ბელადსა კობტას და მოკლა იგი B.

24 მოიშთენენ] უმეტეს შვიდი ათასისა B.

ნება მტკვრისაგან, მრავალი იშოეს ქართველ-კახთა და მოვიდნენ ტფილისს გამარჯვებულნი.

წელსა 1771, ქორონიკონს 459 მეფეს ირაკლისთან იყო ლვოვი ივან ლავრენტიჩი მინისტრად წარმოვლენილი. ამან უთხრა მეფეს ირაკლის: „ვინაითგან თქუენსა და ღრაფ ტოტლებენს შორის შფოთა რაიმე არს შთამოვარდნილ, თუ რომ ოსმალთ არ აეშლები და ერთს რასმე სამსახურს არ დაანახებებ იმპერატრიცა ეკატერინა ხელმწიფას, შენ უთუოდ ღრაფი შეგასმენს და ეს ასე არ ვარგაო“. ამისის რჩევით განიგულა მეფემან ირაკლი აშლა ოსმალთა და მოიბირა ქრთი ბეგი ხერთვისისა. შეჰყარა ჯარები, მივიდა საწინააღმდეგოდ: ხონთქრისა და რ(ომე)ლიცა არის ჰირველი ციხე ათაბაგისა ხერთვისი, დიდად განმაკრებული, იგი აღიღო და თვისნი მეციხოვნენი შეაყენა გარნა ლვოვმან ივან ლავრენტიჩმა არა ინება ციხისა შენახვა სიტყვითა ამით, რომელ: „ეს საქმე ერთგულებად რუსეთის ხელმწიფისად კმა არსო და ციხეში მცველთ კი ნულარ შეაყენებო, ამისთვის რომელ არამც ხონთქრის ძალა მოვიდეს და ეს ციხე, რომ ძალათ აგვართვან სირცხვილი არისო“.

მაშინ მეფემან ირაკლი გამოიყვანნა მცველნი ხერთვისის ციხეს შეყენებულნი და მრავალი ტყვე და საქონელი გამოიტანეს და ძვირფასი ნივთები იშოვეს, რომელშიაც ესახლნენ მდიდარნი ხალხნი და არს იგი ხერთვისი ქალაქი და ამის გამო აქუნდათ მრავალი სიმდიდრე. მეფე ირაკლი ჯარით ქართლში გარდმოვიდა, გარნა სამაგიეროდ ხერთვისისა გამოუსია აღსიხის ფაშამ ოსმალისა და ლეკის ჯარი ქართლის მოსარბეველად. იმ ჟამს მეფე ირაკლი ქრცხინვალს იდგა და ეს ჯარი რა ხეთის სოფელს მოუხსდა და ამ ზემო მინდორზე ჩაფაული გამოუშუეს, მოასწრო სწრაფად მეფემ ირაკლი სოლთვისის მინდორ-

9 გამოცემაშია: „ბელადი“.

9 ამან უთხრა მეფეს. ერთი ბეგი ხერთვისისა ვინადგან მეფე ირაკლის აქენდა სრულ სიყვარული ლევრენტისა (!) და მართლ-მადიდებლობისა და ვინადგან იმპერატრიცისა როსიისასა და სულთან შაჰს თურქთასა იყო დაუზავებლობა, ამისთვის მეფემან ირაკლი, ვითარცა(მ)ბრძოლმან ქრისტეს სარწმუნოებისათვის, კვალად განიგულა აშლა თურქთა მიმართ. შემოკრიბა ჯარები და წარვიდა ხერთვისის ციხესა ზედა, რომელიცა გამაგრებულ იყო ფრიად და იყოცა პირველი და ჩინებული სიმაგრე მთელს საათაბეგოსა შინა, შეამკირვა დიდად ბეგი იგი ხერთვისისა და მყოფნი მას შინა და უკანასკნელ უბრძანა ერთგულთა თვისთა მისვლა ციხესა ზედა, რომელთა მისვლასა მას შინა ჰყვეს ბრძოლა ძლიერი და აღიღესცა ციხე. გამოიყვანეს მუნით ბეგი იგი მათი, გამოიტანეს მრავალი საცხოვრებელი თვალი და მარგალიტი და ამით შეიფანეს(!) ქართველთა მათ ეგოდენი, რაოდენიცა კმა ეყოფოდათ მათ მრავალთა წელთა, ხოლო მუნით გამობრუნდა რა ირაკლი მობძანდა ქართლსა შინა B.

17 გარნა ლვოვმან... სირცხვილი არისო] — B.

ზედ, დაამარცხა ოსმალ-ლეკნი და მრავალნი მსწყვიდნეს და ლტოლ-
ვილნი ოსმალ-ლეკნი ავიდნენ აღსიხას. ხოლო ამაზედ გაიერთა აღსი-
ხის ფაშამ ლეკნი, მოიყვანა დაღესტნის ჯარები და აოხრებდნენ
5 ავაზაკებრ ქართლსა და იყო მარადის ქართლსა შინა მათგან დაუც-
ხრომელი რბევა, თუმცა მეფემან ირაკლი არა მისცა თავსა განსუ-
ენება და მრავალგზის დაამარცხა ლეკნი, გარნა ივინი არა დაჰსცხრნენ
და ესე ყოველი აცნობა ლვოვმან ივანე ლავრენტიჩიმან იმპერატორიკა
ეკატერინას.

10 წელსა 1772, ქორონიკონს 460 კ(ვალა)დ უთხრა ლვოვმან ივან
ლავრენტიჩიმან მეფეს ირაკლის: ერთხელ კიდევ დაჰკარ ხონთქრისა
მამულსაო, რომელ შენს ერთგულებაზედ გული დააჯეროსო“. ეზრახა
ამ საქმეზედ იმერთა მეფესა სოლომონს. შეჰკრბნენ ორნივე მეფენი
სურამის ბოლოს, გარდწვლეს მთა საციციანოისა, მივიდნენ და ჯა-
15 ვახეთის ახალქალაქს შემოადგნენ და ძლიერად შეამჭირვეს, კინი-
ლა აღებადმდე. გარნა ამ უამსა მეფე იმერთა სოლომონ ფრიად ავად
შეიქმნა საოფლით; რ(ომე)ლი სიკუდიდ მიახლდა. ამისთვის ინებეს
წარმოყვანა მეფის სოლომონისა. გაუკეთეს მოაბა, აიყარნენ იმერნი
და წარმოიყვანეს მეფე სოლომონ და მეფე ირაკლიცა შემოეცალა
ციხესა ახალქალაქისასა და მოარბიეს მამულნი აღსიხისანჲ, არტაანი
20 და ჯავახეთი. მრავალი ტყუენი და საქონელი წარმოასხეს და წარ-
მოვიდნენ. ხ(ოლო) ესეცა მისწერა ლვოვმან ივან ლავრენტიჩიმან
იმპერატორიკა ეკატერინა ხელმწიფას და აცნობა ერთგულება მეფის
ირაკლისა და მეფის სოლომონისა. ხოლო შემდგომად ამისა იმპერატ-
რიკა ეკატერინამაც წარმოუვლინა ღენერალ-მაიორი სუხოტინი და
25 დაიბარა ღენერალ მაიორი ღრაფი ტოტლებენი.

ამისა შემდგომად მიესმა ესე ყოველი ყოფილი მეფის ირაკლისა-
გან ხონთქარს და განძვინდა მეფეს ირაკლის ზედა და მისცა აზრუჴს
აქეთი სულეიმან ფაშას და წარმოუგზავნა უნჯი, რათა განიმრავლოს
ჯარები და ემტეროს მეფეს ირაკლის და ქართლსა.

30 ხოლო მან წარგზავნა საგანძური დიდძალი დაღისტანს და მოი-
ყვანა დაღისტნის ჯარები აღსიხას და იწყო ავაზაკებრ ჰრბევა ქართ-
ლისა და იმპერატორიკა ეკატერინამანც წარასხნა მხედრობა თვისი მი-
ზეზითა ამით, რომელ ზავთ-ჰყო ხონთქრისა თანა და საქართველოცა
დაშთა მფარველობასა ქვეშე რუსეთის იმპერატორისასა. გარნა არა

34 მაშინ მეფემან ირაკლი... მფარველობასა ქვეშე რუსეთის იმპერატორისაქ
ფაშამან სცნა ესე ახალციხისამან, შეიწივნა ხაზინა სულთანისაგან, წარგზავნა და-
ღისტანს ხაზინა ივი, მოუწოდა ლეკის ჯართა, დაუსივა ქართლსა და თუმცა მეფე
ირაკლი უმეტეს განამხნობდა თვისთა მათ მონათა, უვლიდა მათ ვითარცა მწყემსი
კეთილი და მრავალსადა ადგილსა აძლევდა მტერთა ზედა თვისთა გამარჯვებასა

დასცხრა სულიმან ფაშა ბრძანებითა ხენთქრისათა და იყო მარადის ტყვენა ოხრებასა შინა ავაზაკებრ და ჯარადცა წარმოავლინა ერთი პირი ჯარი ზემო ქართლს. მოარბიეს ზემო ქართლი და მოვიდნენ უფლის-ციხეს. ამჟამად კახეთის ჯარი იყოფოდა ქართლსა და ეწივნენ ქართველ-კახნი, ეწყვნენ და იძლივნენ ქართველ-კახნი და მრავალნი მოსწყედეს ოსმალ-ლეკთა, ხოლო დღესა მეორესა ქალაქის პირსა გამოუშვეს თარეში ოსმალ-ლეკთა. განვიდა მეფე ირაკლა, შეება და მრავალნი ოსმალ-ლეკნი მოსწყვიდნა და აოტნა და სადაცა განემარჯვა, მუნვე გარდახდა ვანად, გარნა მოერთვა ამასვე ჟამსა ამბავი: „უფლის-ციხეს თქვენი ჯარი დაამარცხესო“, რომლისათვის ფრიად მწუხარედ იქმნა.

ხოლო დროსა ამას განძლიერდა ქარიმ-ხან და ჰსცნა მეფის ირაკლისაგან რუსეთის იმპერიისა საფარველს ქვეშე შესვლა. განძინდა ამისთვის ვინადგან იწყნენ მრავალნი მეშურნენი მეფის ირაკლისა ქარიმ-ხანისა თანა, რომლისათვის შეჰკრიბნა ჯარნი ერანელნი და მოვიდა თავრიზს. და ჰსცნა რა მეფემან ირაკლი მომავლობა ქარიმ-ხანისა, არა მცირედ მწუხარე იქმნა ვინადგან იმედუღმან რუსეთისა მფარველობისამან არა რიდა ბრძოლად ხენთქრისა და არცაღა ჰმორჩილებდა მოადგილესა ყაენისასა და ამჟამად დაშორებულ იყო მფარველობა და მხედრობა რუსეთისა. გარნა გამბედავმან და გამოცდილმან ირაკლი წარგზავნა ორნი სანდონი გუამნი, კარისკაცნი თვისნი, თავადი ანდრონიკაშვილი ქაიხოსრო მდივანბეგი და თავადი თარხნიშვილი ზაზა ყორიასაულბაში დესპანად და აცნობა ყოველივე ერთგულება და მხნეობა თვისი, თუ ვითარ ჰბრძოდა ოსმალთა

ზე გარდამო, გარნა ეამსა ამას იმპერატრიცამან მიაქცია რა მხედრობა თვისი რუსიად, ფაშამან მოუსია. ქართლს თურქნი ლეკითურთ B.

10 გარნა არა დასცხრა... უფლისციხეს თქვენი ჯარი დაამარცხესო] ფაშამან მოუსია ქართლს თურქნი ლეკითურთ და დაუმარცხდათ ქართველთა უმეტოდ შეკრებილთა ჯართა უფლისციხეს, ამით ოსმალ-ლეკნი უმეტეს აღზრზინდეს ქვეყანეთსა ზედა და დღეს, ვითარცა უკვე მეორესა მის გამარჯვებისასა მოვადნენ და გამოუშვეს თარეში ქალაქის პირსა მანინ მეფე ირაკლი გმირულად ეკვეთა ნათ, მრავალი მოსწყვიტნა, შეარყია დასტა მათი და წინა-უკმოდ მოაქცია, გააქცია, განაბანა იგინი და მოსრნა, ვითარცა ჯინჭეელნი და შემობანდა ტფილისს B.

18 ზოლო დროსა ამას განძლიერდა... თავრიზს] ამასვე წელსა შესამინეს ქარიმ-ხანს, რომელი იყო სპარსეთსა გამგებელი ძლიერი ესრედ ვითა იმპერატრიცას ეკატარინას (!) სთხოვს ძალსა რათა დაიპყრას სრული აღორბეჟანი და ანად დიდად განძინდა იგი საქართველოსა ზედა. შემოკრიბნა. ჯარები სპარსეთისა და მოვიდა თავრიზს B.

21 მომავლობა ქარიმ ხანისა... გამოცდილმან ირაკლი]—B.

- და აქვდა ოსმალთაგან შეწუხებები. ხოლო მივიდნენ რა ესე წარგზავნილნი თავადნი. თავრიზს ქარიზ-ხანთან, რ(ომელიცა) მზად იყო წარმოსასვლელად და ბრძოლად მეფის ირაკლისად, მაშინ მისრულთა ამათ თავადთა მრავლითა ლაპარაკითა და ღონისძიებითა, ვითარცა აქვნ-
- 5 დათ დაბარება მეფისა ირაკლისაგან, ეგრეთ მოამშვიდეს ქარიზ-ხან, რომელ უკუნ-იქცა თავრიზით და განერა მეორესა მძლავრსა მეფე ირაკლი. გარნა ვერა დაამშვიდა აღსიხის ფაშა სულეიმან და ჰბრძოდა მარადის ლეკის ჯარითა ქართლსა, მოვიდნენ უგრძნულად და ქრცხინვალი წაახდინეს. რაც ციხეს გარეთ ხალხი იყო სულ დაატყვე-
- 10 ვეს ვიდრე ექუსას სულადმდე და ოსიაურის ციხეც აღიღეს და იქმნა ესე ყოველი ბოროტ-შემთხვეულება მიზეზითა ამით, რომელმანცა ურჩია აშლა ოსმალთადა არა. ჰყვა შემწე, რ(ომლი)სა გამო არა ერთგვის მიეცა მწუხარებანი, გარნა ეგრეთცა სიმხნითა თვისითა ვერა რომელმან მძლავრმან დაიმორჩილა ირაკლი მეფე პყრობადცა თავი-
- 15 სუფლებსაგან და მარადის ჰბრძოდა ოსმალთა და ლეკთა, ვინათგან ჰბრძოდა მძლავრი ვინმე ხელმწიფე და არა აქვნდა პირდაპირი ძალი, არცა ჯარითა და არცა ხაზინითა და თვინიერ სიმხნისა კიდე არა რა აქვნდა პირისპირი თანასწორობა. მაშინ ფრიალისა ღონისძიებითა და შრომითა ეძება მამულსა თვისსა მიწა ოქროსა და ვეცხლისა,
- 20 რომელმანცა იპოვა სომხეთის მამულსა შ(ორი)ს ახტალას, რ(ომელ) არს მამულობით თავადთა სომხეთისა მელიქისა და მოიყუანა საბერძნეთით ბერძენნი მცირედნი მცნობელნი ჯავარისანი, გამომდნობელნი ოქროსა და ვეცხლისა მიწისანი, ვითარცა დაიწყო მადნისა მის მუშაობა, ისარგებლა მით ფრიად. ხოლო ამ მადნების ძებნის უამსა
- 25 შინა მოვიდა თვით სულეიმან ფაშა დიდის ჯარით და მოადგა ქარელის

„

6 მაშინ მისრულთა... უკუნ იქცა თავრიზით] ხოლო ოდეს მივიდნენ განრისხებულსა მას ქარიზ-ხანსა თანა, შეევედრნენ რათა დასტკეპეს გული მისი საქართველოსა ზედა, რამეთუ არა რაიმე შეცოდება აქვს მეფესა მის თანა თვინიერ თანადგომისა და მოაგონეს ყოველი ერთგულება მეფისა მის ირაკლისა, რაოდენო ექმნა ერანისათვის და ესრეთითა ვედრებითა დააცხრეს გულისწყრომა მისი, რომელი უკუნვე აქციესცა თავრიზით ერანს B.

10 ვიდრე ექვსას სულამდე] — B.

21 რომელ არს მამულობით თავადთა სომხეთისა მელიქისა] — B.

22 მცირედნი A] მცნობელნი ჯავარისანი B.

24 ხოლო ამ მადნების ძებნის... რბევა რაოდენსავე წელსა] ხოლო სულეიმან ფაშამან ჰსცნა რა ფრიად მეფემან ჰპოვა ირაკლიმ ქვეყანასა თვისსა მადან, ამისთვის არა მცირედ შესწუხნა ფაშა სულეიმან და შემოიკრიბნა სრულისა საათაბაგოასა სპანი და მიუხდა ქართლს და დადგა მას ერთი ოდენი დღე და ერთი ღამე და მეორე დღეს მსწრაფლ აიყარა და გაიქცა ვითა მეოტი, რამეთუ ირაკლი თვისისა მის ბედნიერის მხედრობითა წარვიდა მის ზედა და ვინადგან არა ძალ ეღვა მას პირისპირი მისი, შემოეცალა ქარელსა, გარნა მარადის მეცადინეობდა ყოვლის გზით,

ციხეს. ერთი დღე ადგა, მეორეს დღეს მიუტანეს მას ამბავი: „მეფე ირაკლი წარმოვიდა შენზედა“-ო, აიყარა მსწრაფლ და ვითარცა მეორე ევლტოდა. გარნა იყო მარადის ავაზაკებრი რბევა რაოდენსამე წელსა.

კ(ვალა)დ მოუვიდა ამბავი მეფეს ირაკლის: დაღისტნის ჯარი შე- 5
უყრია ფირუდად ბელადს და ალაზანს გამოვიდაო. ამისთვის წარვიდა მეფე ირაკლი და სამგორის გზა შეუტკრა, დახვდა ღამე და დიდად და-
ამარცხა.

კ(ვალა)დ იყოფოდა რა მეფე ქისიყსა, გამოვიდნენ კარელნი და 10
თარეში მიუშვეს. გაუხდა მეფე ირაკლი თავისის ამალით და მღვე-
რით და ძლიერად დაამარცხა: ხოლო ესევეთარნი გამარჯვებანი ირაკ-
ლი მეფისაგან უნაგარიშონი არიან და ამად ყოველნივე ვერ მოვიბ-
სენეთ, არამედ იგი აღერიცხეთ, რ(ომე)ლი ღირსად ხსოვნისა იყო და
სხვანი მრავალნი წვრილნი გამარჯვებები დავიღუმეთ. კვალადცა არა 15
დაპსცხრებოდა ფაშა აღსიხისა სულეიმან და მარადის აბეზლებდა
ხონთქართან მეფეს ირაკლის, რომლისა გამო სარგებლობდა ძლიერად
ხაზინის მოტანითა და აგრეთვე საქართველოს რბევითაცა, გარნა
დარწმუნებული იყო ხვანთქარი, რომელ ფრიად შეაწუხა შამულნი
მისნი და ამისთვის წარავლინა ელჩი თ(ვი)სი ხვანთქარმან ერანაჲ 20
მეპატრონის ქარიმ-ხანისა თანა და შეუთვალა: „თუცა ჩვენსა და
თქვენსა შორის არს მშვიდობა, რამეთუ ზავ გვიყოფიეს, გარნა
ეგრეთცა აღვიშვია ერთი ლომი, რომელ არს საქართველოს ვალი,
რ(ომე)ლი აოხრებს მარადის სამფლობელოსა ჩემსა და ამის გამო
იხარჯვის ჩემგან არა მცირედი ხაზინანი, რომლისათვის მაქვს განცხა-
დება მეგობრობისადმი თქვენისა, რათა დააყენოთ იგი ესევეთარისა 25
ნძღავრებისაგან“. ხოლო მსმენელი ამისი ქარიმ-ხან ეტყოდა ვეზირ-
თა თვისთა და ადრიბეჯანისათა ხანებთა, რ(ომე)ლნიცა აბეზლებდნენ
მეფესა ირაკლის: „შეხედეთ მეფესა ირაკლის, ახლა მე ის როგორ არ
უნდა მიყვარდესო რაც ჩემთვის უმსახურია, იმას გარდა ეს უმეტესი
ჩემი დიდება არის, რომელ ხონთქარი დააჩოქა და ჩემთან აჩივლებსო, 30

რამეთუ აღოხრა ქართლი, რომელსა არაოდეს აქუნდა წარმატება მას სიბოროტესა შინა თვისსა B.

14 კვალად მოუვიდა ამბავი... გამარჯვებები დავიღუმეთ კვალად მოართვეს ჰა-
ბავი მეფესა ირაკლის რაოდენსამე წელს შემდეგ ფირ მურად (!) ბელადისა, რო-
მლისა თურმე საქართველოს მამულების აღსაოხრებლად წარმოსულ იყო და ალა-
ზანს რა შოახლოვდა, მეფემან სანგარი შეუტკრა მათ მტერთა ღამე და მოსრნა მრ-
ავალნი, ლეკთა მათგან პყრობილ ჰქმნა უმრავლესი რიცხვი მათი და ესრეთ გამარჯვე-
ბული მობრუნდა ქისიყს და მაშინ ქისიყისა პირს გამოუშვეს ლეკთა მცხოვრებთა
ქარს თარეში, რომელთაცა ტყვეთა შეძინებასა წინ უკვე მიიღეს ძლიერი დამარ-
ცხება მეფის მის ირაკლის მიერ B.

ამისთანა კაცი ერანის ხელმწიფისაგან დიდად პატივსაცემელი არისო, რომლისათვის განუცხადა სიყვარული და მოსწერა წიგნი ქარიმ-ხან-მან მეფესა ირაკლის და წარმოუგზავნა ხრმალი და ცხენი ოქროსა იარაღითა აღკაზმული.

- 5 შემდგომად ამისა განიზრახა ხვანთქართან გაგზავნა ელჩისა და წარავლინა კარისა თვისისა მირზა გურგინა, სომეხი ვინმე ყარაბაღით მოსრული, გარნა მრავალთა ენათა მეცნიერი და ცნობით გონიერი, რ(ომელი)ცა მოვიდა კოსტანტინუპოლის და ყოველივე დაბარებული მეფისა ირაკლის მიერ განუცხადა ვეზირსა ხვანთქარისასა,
- 10 რომელმანცა მიიღო იგი და დიდად პატივ-ჰსცა. თუცა აქენდა მრავალი წყენა მეფის ირაკლისაგან, გარნა დიდად მხიარულ იქმნა ვეზირი მისვლისათვის ირაკლის ელჩისა, ვინადგან ცნობილ იყო მეფე ირაკლი ფრიად წინააღმდეგმ ყოველსა ხვანთქარისა საბრძანებელთა შორის და ამის გამო ესევითარითა პატივითა შეიწყნარეს, რომელ უმეტესისა წადილი არაღარა აქენდა ელჩსა მეფის ირაკლისასა. აჩუქეს მრავალი, წარმოუვლინეს დესპანი, მოუძღვნეს ცხენი შვენიერად აღკაზმული და ძვირფასი ქურქი და გარდა ამისა, რომელიცა უწინარეს ამისსა დატყვევებულნი ხალხნი აღსიხას წარესხნათ, რაოდენნიმე თავადთა გვამნი ცოლშვილით და სხვანიცა მდაბალნი გლეხნი,
- 20 რ(ომე)ლნიცა ქრცხინვალით წარყვანილ იყვნენ და გინა თუ ჭკვავათა სოფლებთაგან აღსიხას, ივინი ყოველნი განათავისუფლნეს და მოუწერეს სულეიმან ფაშას განთავისუფლება მათი და მშვიდობა ურთუერთისადმი და მოიყვანეს იგი ტყვენი ტფილისად და რომელნიცა ჰყვა ფაშას ჯარად დაღისტნელნი, ივინიცა დაითხოვა მამულისაგან
- 25 თვისისა. გარნა ჩვეულნი იგი ლეკნი არა დაცხრებოდნენ რბევასა ქართლისასა, ა(რამე)დ მოჰსცა ღმერთმან მეფესა ირაკლის ძე ერთი სახელად ჭეონ, რ(ომე)ლიცა ემსგავსა მამასა თვისსა სიმხნითა და მრავალგზის შემუსრნა მან ლეკნი და მოსპო ამან ლეონ ხშირად ჰრბევა ქართლისა ლეკთაგან. და ეგრეთვე განაწესა მეფემან ირაკლი მორიგე ქართლ-კახეთით რ(ომ)ლითაცა დიდად ისარგებლა და იყო მარადის სამი ათასამდის განმზადებული ჯარი, თავადნი, აზნაურნი და გლეხნი და ამათ თანა თვით და ძენიცა მისნი. ყოველნივე თვითონა თუესა გარდაიხდიდენ და სადაცა იყო ლეკთაგან საფიქრო ადგილი, მუნ მდგომარებდნენ, რ(ომ)ლისა გამო დიდად შეშინდნენ ლეკნი. და
- 35 ამის გარნა კუალადცა შეირიგა დაღისტნის პირველნი ბელადნი და

34 და მრავალგზის... დიდად შეშინდნენ ლეკნი] ლომგულობითა, მორბედობითა და სევსიანობითა ესე ხსენებული ძე მეფისა ლეონ, ოდეს იქმნა სრულ ჰასაკითა, მაშინ ძლიერნი ბრძოლანი გარდინადა მრავალთა ადგილთა ლეკთა ზედა განსადიდებელნი ძლევანი შეიმოსა მათ ზედა და უხმობდნენ გარემონი ლომად მტერ-

თვით ომარ-ხან და მისცა ჯამაგირი რაოდენ ძალ ედვა. და ამ უამსა ფრიად დაამშვიდეს ქართლ-კახეთი და იწყეს მოოხრებულთა დაბნებთა შორის საქართველოსათა შენობა და მრავალნი სოფელნი აშენებდნენ ქართლ-კახეთსა შინა და სომხეთსა.

ხოლო წელსა 1780-სა ქ(ორონიკ)(ონ)ს უმჟ, ერევნის ხანი უსეინ-ალი ხან უკუდგა და არღარა მისცა ხარკი. წარუგზავნა მეფემან ირაკლი თავადი თარხნისშვილი ყორიასულბაში ზანა და განუახლა ყოველი შრომა თვისი და სისხლდათხეულობა ქართლისა და კახეთისა ერევნის დახსნისათვის მტერთაგან და თვით ამ უსეინ ალი ხანისათვის ხანობის მიცემა, თუ ვითარ მისცა ხანობა ერევნისა მეფემან ერეკლე. თუმცა ესე ყოველი ყოფილი საქმენი განუცხადა, გარნა არა ისმინა, ვინაიდან აქუნდენ შემატებული ძალი რაიმე განმრავლებისა გამო ყმისა და სიმდიდრისა, რ(ომე)ლმანცა შემოუთვალა სიტყვანი ფრიად მკვახენი.

და ბრძანა მყისვე მეფემან ირაკლი მოწვევად ლაშქრისა ქართლ-კახეთისა და ლეკნიცა მოიწვია ჯარად რაოდენიმე ათასი და წარვიდა. ამასვე წელსა აგვისტოს მოვიდა და დასდგა შირაბათის სოფელში, რომელი შორავს ერევანს ვიდრე ორს ალაჯადმდე. და იწყო ჯარმან რბევად ერევნისა და აღარსად დარჩა შენობა თვინიერ ერევნისა და ეჩმიაწინისა.

ამასვე დროსა დამორჩილებულ იყვნენ ირაკლისადმი განჯა. ყარაბაღი და მოერთნენ მუნით ჯარნიცა რაოდენიმე ათასნი, ხ(ოლო) ერევნით ლტოლვილნი წარმოსრულ იყვნენ ბაიაზეთის მამულში. რომელი არს სამფლობელო ხვანთქრისა. წარვიდნენ ქართლ-კახეთის თავადნი და ჯარნი და მოარბიეს ს(რულია)დ მამული ბაიაზეთისა და მრავალი ტყვე და საქონელი წარმოასხეს. მოეწივნენ ქურთნი, გარნა ივინიცა დაამარცხეს და შეურაცხ-ჰყვეს და ყ(ოველ)ი აღრიბეჯანის ხანები დაემორჩილნენ მეფესა ირაკლის და მოართვეს ელჩნი და ფეშქაწნი ძვირფასნი. თავრიზის ხანისაგან, ხოის ხანისა, ურუმის ხანისა, შაყაყის ხანისა, მარალის ხანისა, ბაიაზეთის ფაშისა და ყარსის ფაშისაგან. და ეგრეთვე მოერთვა ერევნის მამულში მდგომი შამდინაღა ქურთი, ძლიერი კაცი და მრავალთა ქურთთა მეპატრონე და მოსცა

თა ლეონს. ამას შემთხვევასა შინა ინება მეფემან გამოყვანა მორიგეთა, რომლისა გამო არა მცირედ შეება მიეცა საქართველოსა მამულსა მით, რომელ მტერთა ფეხნი რბევად სოფლებისა. მაშინ დაუზავდნენ მეფესა ირაკლის დალისტნის გამო ჩინებულნი ბელადნი და იყვნენ დამყუდროებით, ხოლო თვით ავარიისა ხანიცა ომარხან შემოურიგდავე მეფეს ერთურთ თვისითა B.

4 და მისცა ჯამაგირი... და სომხეთსა] — B.

30 შაყაყის ხანისა] — B.

31 შამადინაღა A.

- თავი თვისი ყმად. გარდა ამისა შორაგლის სულტანი ყარამან მოვიდა და და მოერთვა ყმად ყ(ოვლით)ა შორაგლის ხალხითა და მამულითა. და ესეოდენ განძლიერდა ერევანს ყოფისა ეამსა მეფე ირაკლი, რომელ ელოდნენ ერანელნი უთუოდ გახელმწიფდება და ერანის ნაწი-
 5 ლებსაც დაიჭერსო. ვინადგან აქენდათ ცნობა ნადირ შაჰთან ყოფისა და ესმოდათ მარადის სიძხნე, ქველობა მისი, და ვერცა ვის ჰხედვიდეს მოპირდაპირედ ირაკლისა და ამისთვიჲს დიდად ჰტიჰრობდნენ და ყოველთვის მოლოდება აქენდათ „ერანისაკენ წარმოვაო“, ესოდენთა მიზეზთა გამო დიდად შეამპირვეს ეჭვევანი და იხვეწებოდა შერიგებასა.
- 10 ხ(ოლო) ერთსა დღესა წარვიდა მეფის ირაკლის ძე გიორგი, რათა გარდაჰხედოს ერევნისა ციხესა და ქალაქსა ერევნისასა. მაშინ იხილეს რა მცირე ცხენოსანნი, მახლობელად მისრულნი ერევნელთა, გამოვიდნენ იგინიცა, შეხვეწნის უიმედონი და დიდითა მჭიდროებითა თავგანწირულნი, ეკვეთნენ საენებელად ამ მეფის ირაკლის ძეს გიორგის
 15 და შეექმნათ ომი ძლიერი. და ვინათგან ეს ერევნელნი უმეტეს მახლობელ იყვნეს ციხისა, ამისთვის არა მცირედ შეაწუხეს მეფის ძე ხოლო ესე აცნობა გიორგიმ მამასა და ჰსთხოვა ჯარი შემწედ. გარნა ჯარნი მეფისა ირაკლისა უმეტესნი ნაწილნი წარსრულ იყვნენ ჩაფაულად და რაოდენნიცა თანა ჰყვა, უბრძანა მოშველება ძესა თვისსა
 20 ლეონს და სპათაცა და ეგრეთვე აღმხედრდა თვითცა მეფე ირაკლი და სარდალნი მისნი. მიჰპართეს ბრძოლასა მას და ერევნითცა გამოვიდნენ რაოდენნიცა იყოფოდნენ მბრძოლნი და შექმნეს ბრძოლა ძლიერი, ვიდრე საჲ საათადმდე, თუმცა ვერ შემძლებელ იყვნენ ესოდენ ჟამ პირისპირ ომისა, გარნა აქენდათ ერევნელთა ფრიალნი სრმაკ-
 25 რენი კლდეთა და კედელთანი და ჰყვათცა ლეკნი მეომრად ხანსა ერევნისასა და ჰმაგრებდნენ მით.
- ხ(ოლო) მხილველი ამისი მეფე ირაკლი განრისხდებოდა, ვითარცა თხათა ზ(ედ)ა ლომი და ამ დროს მცნობელმან ვინმე ერევნის ციხით ესროლა პირისპირ ზარბაზანი მეფესა ირაკლის და წინამდებარესა კლდესა მოხვდა, რ(ომე)ლიცა განერა ფ(რია)დ განსაკვირვოდ და შემდგომად ამისა განრისხებულმან აღუზახნა მჭირსედ სპათა და მყისვე აოტნა და მოსწყვიდნა ფრიალნი და მოსპო ყოველი ძალი ერევნისა და მრავალნიცა ცოცხალნი შეიპყრეს. და მისცა ბრძანება

33 და ესოდენ განძლიერდა ერევანს... ცოცხალი შეიპყრეს] და ესე დიდება ირაკლისი ყოველთა მოყუასთა მიერ მისთა სახარულევან (!) იქმნებოდა, ხოლო ორგულნი იგოვოდნენ ამასზედა და იტყოდნენ: ესე მეფე სრულად გახეწიფდა და ამისი პირისპირი ვისლა ძალუძს, ვინადგან ნადირ-შაჰსთან აღზრდილია და ერევანსაც დაიპყრობსო, რომლისათვის უმეტესი ერანელნი დიდსა მწუხარებასა მიეცნენ. ამისა მხილველთა ერევნელთა იწყეს კედრება ირაკლისადმი, რათა ზავ ჰყონ ურთიერთარს. ხოლო ირაკლი უმეტესად შეაჭირვებდა მათ და უბრძანა სპათა თვისთა

სპათა თვისთა, რათა ყოველმან კაცმან სახლი გაიკეთოს და იზამთროს მუნ. მხილველნი და მსმენელნი ამისნი ფრიად მძრწოლარე იქმნენ და ევედრა ერეენის ხანი და დაიდვა ხარკი ვიდრე ოთხი ათას თუმნადმდე გარდაკვეთით და უმეტეს სხვადა ფეშქაში შესამატნი მოერთმეოდეს. გარნა არა დაპართო ჯერეთ ნება მეფემან ირაკლი.

5

ხოლო მუნ ყოფასა შინა მოუვიდა წიგნი ქართლით რომელ: „მოვიდა ბაქარ მეფის შვილი ალექსანდრე იმერეთს და მეცადინობს, რათა ვიეთნიმე ქართველნი შეიტყუოს და გარდაპბიროს, თუმცა არა სარწმუნო იქმნა. გარნა ურჩივეს ვიეთთამე ვეზირთა და უმეტეს ტფილისით დაუწყეს; წიგნების წერა ხშირად „მოეშველე ქართლს თუ არა საქართველო აირივავ“ და ამის მიზეზით გამობრუნდა ერეენით მესამეს თთვესა აპყარნა მრავალნი მეკომურნი სომეხნი და წარმოასხნა საქართველოსა შინა, რომელნი დღესცა მდგომარებენ რაოდენსამე ადგილსა და სხვა ტყვე, საქონელი ურიცხვი იშოვეს ჯართა, მრავალი თეთრი მოართვა ოქივატერმა, და ზემოხსენებული რიცხვი თეთრისა დასდვა ერეევანს ხარკად. შემდგომად განუწყესა მოურავიცა თვისი მუხრანის ბატონი, სიძე თვისი იოანე, კონსტანტინეს ძე და იყო ერევანი მოხარკედ მეფის ირაკლისა ვიდრე მოსვლადმდე ყაჯარი აღამაჰმად-ხანისა.

10

15

ფრიად მოხრება ერეენისა მამულთა და მაშინ სპათა მათ, ვითარცა ბრძანებისა აღმასრულებელთა ესრედ აღაოხრნეს მამულები იგი ერეენისა, რომე არაა დარჩა მათ შინა არცა ერთი შენობა თვინიერ ერეენის და ეჩმიაწინისა კიდე. და ერთსა დღესა ინება ძემან მეფისა ირაკლისამან გიორგი ხილვა შორით ერეენის ციხის და წარვიდა. ოდეს მიეახლნა მას, სცნეს ესე ერეენელთა, გამოვიდნენ მუნით და ეუეთენნ სასტიკად მცირეთა მათ თანა აწყოლთა ცხენოსანთა გიორგისათა და შეჰქმნეს ბრძოლა ძლიერი და გიორგიმან აცნობა ესე მამასა თვისსა მეფესა ირაკლის და სთხოვა მას ძალი. და მან უბძანა ძესა თვისსა ლომგულსა ლონს მიშველუბა ძმისა მისისა გიორგისი და ეგრეთვე სიძესა თვისსა სარდალ-სახლის უხუცესსა ორბელიანს დავითს და თვითცა აღმხედრდა რაზმითა თვისითა და მივიდა მათზედა. მაშინ შეიქმნა ბრძოლა დიდი და სასტიკი. გამოვიდნენ ყოველნივე, რაოდენიცა იყვნენ ერეენისა მას ციხესა შინა. შთასხნენ კლდეთა და სიმაგრეთა შინა, ჰქმნეს მოუკლებლად თოფთა ცემა და სისხლთა ღერა, ვითარ სამი ჟამი და ამას აღრეულობასა შინა თოფჩმან რომე ვინმე შემოსტყორცა ზარბაზანი ციხითა და სადაცა იყო მეფე ირაკლი მუნ წინ კლდესა მოხუდა, ხოლო იგი განარინა საკვირველმან მარჯვენამ ხელმან მადლისამან და ამად მეფემან მადლობის მიმართმევმან. მისდამი შეუტრია ძლიერად და მისვლასვე თანა დაამარცხა იგი და მოსპო ყოველნი ძალნი მათნი: მრავალნი ტყვე ჰყვეს B.

14 ხოლო მუნ ყოფასა შინა... ურიცხვი იშოვეს ჯართა] — B.

19 მრავალი თეთრი მოართვა ოქივატერმა... ყაჯარი აღამაჰმად-ხანისა] ხოლო ვინაღან დაიცვა მეფემან ეჩმიაწინი (!) ხელისაგან ერეენის ხანისა ამისთვის ოქუტრტერმან (ოქივატერმა, ლ. მ.) უძღვნა მას მრავალი და შეკრულ იქმნა ერთგუ-

- შემდგომად რაოდენისამე წლისა კ(ვალა)დ იძია შური სულე-
 მან ფაშამ და იწყო საქმობა იღუმალ შუშის ხანთან და დალისტანში
 ომარ-ხანთან. და ეგრეთვე ასტეხნა ლეკნი მარბეველად ქართლისა
 დაფარვით, რ(ომე)ლიცა ჰმართლობდა თავსა მეფეს ირაკლისთან,
 5 რეცა არ იყოს ნება მისი, ოდეს ლეკნი აღსიხის მხრით ავაზაკობდენ.
 ჟამსა ამას მოიწია უბადრუკება და გარდაიცვალა ძე ირაკლი მეფისა.
 ლეონ და ოდეს მოესმა აღსიხის ფაშას სულეიმანს, მაშინ ჰსტეჟა
 ფაშამ: „მოხუცების ჟამსა მეფის ირაკლისსა ერთი ფარდა აქვნდა-
 საქართველოს. რ(ომელი)ცა ოთხკერძოვე იგურდივ იფარებდა და
 10 აწ დიდი შემწე მოეშალა ირაკლი მეფესაო“ ჰსტეჟა ესე და უმეტე-
 სად განიგულვა ქართლის ოხრება. მაშინ მეფე ფ(რია)დ მგლოვე(ი)არე,
 ძისათვის ლეონისა დამცხრალ იყო ომებისაგან და აღარ ნებავედა ლაშ-
 ქრობა არცა ერთსა მხარესა და აღსტყდენ ლეკნი აღსიხის მხრით
 ოხრებად ქართლისა. ამისსა შემდგომად ჰსცნა იმპერატორციამან ეკატე-
 15 რინა როსიისამან წინანი ჰმნილნი და შემდგომნიცა ესე აღსიხის ფა-
 შისაგან საქართველოს რბევა და ოხრება, რომლისათვის წარმოავლი-
 ნა მეფეს ირაკლისთან მინისტრად პოლკოვნიკი და ორი ბატალიონი
 მხედრობა. გარნა უმეტეს განძინდა სულეიმან ფაშა და შექმნეს
 სხვათა აღრიბეჟანის ხანებთაცა შიშნეულება მხედრობისა გამო რე-
 20 სეთისა, ვინათგან აქვნდათ მარადის რიდი მეფის ირაკლისაგან და უმე-
 ტესად განიგულვეს მაშინ დაპყრობა თვისი ძალითა როსიის მხედრო-
 ბისათა და ამის გამო შეექმნათ ურთიერთისადმი დაფარვით დინთა-
 ლიბისა თანხმობა. ხოლო ამას ჟამსა ეპყრა საყმოდ განჯა და ყოველი
 მამული მისი მეფესა ირაკლის და აქვნდა ფრიადი მეგობრობა შუშის
 25 ხანსა თანაცა, რ(ომე)ლ ერთი ამისი კაცი და ერთი მეფის ირაკლისა
 განაგებდენ ქალაქსა განჯისასა. გარნა ზემოხსენებულისა ფიქრისა და
 შურისა გამო გამოაძეს მუნ მყოფი იგი კაცი მეფის ირაკლისა თავა-
 დი ანდრონიკაშვილი მდივანბეგი ქაიხოსრო. შეიყვანეს იგივე მემ-
 კვიდრე ჯავათ-ხან და დასვეს ხანად. მასვე დროსა სულეიმან ფაშამ
 30 მოუწოდა დალისტნის ომარ-ხანს, ხუნძახის ბატონს. მან შემოიყარა
 დალისტნის ჯარები და ეგრეთვე ჰარელნი, ვ(იდ)რე ოცი ათასამდე და

ლებასა ზედაცა მისსა, რომლისათვის დაუდგინა მეფემან მოურავად ერევანს სიძე
 თვისი მუხრანის ბატონი იოვანე B; და იყო ერევანი მოხარკედ მეფის ირაკლისა
 ვიდრე მოსვლამდე ყაჯარი ალა-შაჰმად-ხანისა] — B.

7ლონ] + სოფელსა შინა გურჯაანს წელსა ჩღა ჰორონიკონს უთ B.

14 მაშინ მეფე ფრიად მგლოვიარე... ოხრებად ქართლისა] — B.

17 პოლკოვნიკი] + ბურნაშოვი B (S—3669):

28 გამოაძეს მუნ მყოფი... მდივანბეგი ქაიხოსრო] გამოაძეს მუნით თავადი იგო
 მეფისა და დასვეს მემკვიდრევე განჯისა ჯავათ-ხან B.

მოვიდა ურდოზედ, (რომელ არს ალაზნის პირი) და მოვიდა მეფე ირაკლიცა რუსეთის მხედრობით ქისიყს და დასდგა სიღნაღს, რ(ომე)ლ ხუნძახის ბატონი სიღნაღზედ მოსვლას აპირებდა და მუნ შოელოდა მეფე ირაკლი.

გარნა იგი აიყარა უგრძნულად, ამოვლო ჭირხლის ხევი, ამოვიდა დედოფლის წყაროზედ და გარდავიდა იორზედ. მცნობელი ამისი მეფე ირაკლი გამოუდგა ჰსწრაფად რუსის მხედრობით, გარნა ვერღარა ეწივა. მივიდა ომარ-ხან ახტალის მადანში, აღილო ციხე ახტალისა ალაოხრა მადანი და დაატყვევეა ყოველნი მუნ მყოფნი ბერძენნი და ქართველ-სომეხნი და აღვიდა აღსიხის ფაშასთან რაოდენსამე ხან-სა მუნ განისვენა და შემდგომად წარმოუძღვარა კაცი ფაშამ ხუნძახის ბატონს და მოკვზავნა სააბაშიოზედ და ვახანის ციხეს მოადგა; აქაც მიეშველა მეფე ირაკლი, თვისისა და რუსის მხედრობით მიბრძანდა სურამს, გარნა ვერ დაამტკიცეს მისვლა ვახანს და მიშველება მისა, ვინადგან არ იყო აღგილი მარჯვე, რათა რეგული მოხმარებულ იყო და აღიღეს ციხე ვახანისა და მრავალნი სულნი დაატყვევეს და თავადნი აბაშიძენი ცოლ-შვილით და სიმდიდრითა და ყოვლითა; საგანძურითა ცარიელ ჰყვეს და წარასხნეს და უკუნი იქცა ომარ-ხან აღსიხადვე. მას ზამთარს მუნ ისადგურა. და მეორეს ზამთრის პირს შემოდგომაზედ გამოისტუმრა, გარნა ვერღარა იკადნიერა შთამოვლა ქართლზედ, არამედ განვლო მთანი და შთავიდა ყარაბაღში იბრაიმ-ხანთან.

შემდგომად ამისა მეფე ირაკლიცა წარვიდა განჯას და ეგრეთვე მხედრობაცა რუსეთისა თანა წარასხნა, ვინადგან მასვე წელსა გაქცეულნი იყვნენ საქართველოს ელნი ყაზახისა და შამშადილისანი და იყოფოდენ განჯა-ყარაბაღსა შინა. და ყარაბაღითცა გამოიქნენ მელიქნი იბრეიმ-ხანისანი სომეხნი ფ(რია)დ მდიდარნი და განძლიერებულნი ყმითა და ციხე-სიმაგრითა, რომელნიცა მოვიდნენ მეფეს ირაკლისა თანა და ჰსთხოვეს შეწევნა, რათა მისცეს ჯარი და აჰყარონ ყ(ოვე)ლი საყმო თვისი. ამისთვის წარგზავნა ძე თვისი იულონ და წარატანნა სარდალნი და სპანი საქართველოსანი. მოვიდნენ რა მამულსა ყარაბაღისასა მუნით-ცა მოეგება ჯარი და სარდალი იბრეიმ-ხანისა და მოინებეს აყრა მელიქებისა.

21 ყარაბაღში იბრეიმ — ხანთან] შუშის ხანთან B.

32 შემდგომად ამისა... და მოინებეს აყრა მელიქებისა] და ასე რა მოეხსენა მეფესა, აღიჭურვა როსიისა და ქართლოსიანთა მხედრობითა მიზნითა ამით, რომელ ვინადგან მასვე დროსა შინა იყვნენ გაქცეულ ყაზახისა: და შამშადილისა ელნი, მუნ იგინიცა აეყარნა, ომარ-ხანისათვისცა მიეგო მსგავსი სიბოროტისა მისისა და მელიქთათვისცა სურვილი მათი სრულ ეყო და ამით უწინარესა თვისსა წარავლინა მეფემან ირაკლი ძე თვისი იულონ და მეწინავე სპასპეტი და სიძე თვისი ორბელი-

ვარნა ეპისა ამას განუცხადა მინისტრმან ბურნაშოვმან, რ(ომე)ლ: „ბრძანება მომივიდა დღესვე უნდა გავბრუნდეთ“. „ჰსთხოვა მოცდა, გარნა არა ინება პოლკოვნიკმან და გაძობრუნდა განჯილამ და მეფეცა მათ თანა.

5 ხოლო ამასვე ეპისა თანხმობისათვის იბრაიმ-ხანისა შთამოვიდა ომარ-ხან ჭარში დაღისტნის ჯარებით. და მეფე ირაკლიც მიბრძანდა ქისიყს რ(ამეთუ) რუსეთის მხედრობა მოვიდა ტფილისს და მუნით წარვიდნენ რუსეთს. ომარ-ხან რაოდენსამე თვესა ჭარში დაშთა, გარნა ვერლარა იკადრა მოსვლა ქისიყზედ, გაბრუნდა და შამახიას მო-
10 ადგა.

ხოლო მეფობასა ამისსა, რ(ომე)ლნიცა დაესწერე ძლევენი სა-
ხელდობ, გარდა ამისა ვჰგონებ უმეტეს ოცდაათისა ძლევენი მიეღოს
და ჰყვა სიცოცხლესა მისსა მოხარკეობასა შინა განჯა, ყარაბალი, ერე-
ვანი და ჰმსახურებდენ შესაბამითა ვალდებულებითა, ვიდრე მოსვ-
15 ლადმდე ყაჯარი აღა-მამად-ხანისა.

მეფობასა ამისსა აშენდნენ სიმაგრენი ქართლ-კახეთისანი, ვიდრე
ასსამოცამდე გალავანი და ბურჯნი მტერთათვის. ხოლო თვით მე-
ფე ირაკლიმ განაახლა ციხე გორისა, გალავანი სიღნაღისა, თელავისა,
20 ბოჭორმისა, ჭოეთისა, გალავანი სევირელისა, საბუისა, გრემისა, ფე-
დისა, პატარძელისა და ნორიისა.

ანი დავით გამოცდილი ფრიად ბრძოლასა შინა, რათა ყმანი ყარაბალისა მელიქთან
აყარნათ და თვით მეფეცა ირაკლი ჩაბძანდა მამულსა განჯისასა, ხოლო წარ-
ვლენილთა მეფისათა მოეგება სარდალი იბრეიმ-ხანისა ჯართა დიდითა და ეკუთ-
ნენ მხედრობანი ესე ორნი ურთიერთსა სასტიკად, შეჰქმნეს ბრძოლა და უკანას-
კნელ იძლივნენ მხედრობანი შუშის ხანისანი და ამ წარვლენილთა მეფისა მიერ-
სრულ-ჰყვეს ბრძანებული და აჰყარეს ყმანი მელიქთან და ყაზახათა განიგუ-
ლეს მოსვლა წინაშე მეფისა ირაკლისა B.

9 გარნა ეპისა ამას... შამახიას მოადგა] მას ეპისა მყოფი პოლკოვნიკი ბურნა-
შოვი უკუნ იქცა განჯით მხედრობითა თვისითა, ვინადგან მიიღო ბრძანება თვისა-
სა იმპერატრიცა (!) ეკატარინესაგან და ამისთვის მეფეცა ირაკლი გამობრუნდა.
ხოლო ამავე დროს ავარიელი ომარ ხან ერთპირობა ქმნილი იბრეიმ ხანს თანა
შთამოვიდა ჭარს რა მუნით შემოსრულ იყო ქისიყს... ამისი მსმენელი მეფე ირაკ-
ლი მსწრაფლ ჩაბძანდა ქისიყს და განაგებდა ყოველსავე სანაპიროსა საქმეთა.
შეშინებულმან ომარ-ხან ვერა დაბედა მოსვლა ქისიყსა ზედა, არამედ მირიდა ძა-
ლა მეფისა, შთავიდა და შემოადგა შამახიას B.

14 ხოლო მეფობასა ამისსა... ვალდებულებითა] მეფემან ირაკლი რაოდენიცა
ჰყვნა განსაღიღებელნი ძლევენი მტერთა ზედა უმეტეს სამ-ათ-ხუთეულსა არიან აღ-
წერილისა ამის, რომლისა წვრილად ადგილ-ადგილ გამარჯვებანი ურცხენი არიან და
ესევეთარსა სევსეიანობასა შინა მოხარკენე ჰყვა: განჯა, ყარაბალი, და ერევანი, რა-
20 მელნიცა ჰმსახურობდენ მას ცხოვრებასა შინა თვისსა B.

15 ვიდრე... აღა-მამად-ხანისა] — B.

20 ხოლო თვით მეფე ირაკლიმ... პატარძელისა და ნორიისა] — B.

ხოლო შრომანი და ღვაწლნი მეფისა ირაკლისანი არა ადვილ შესაძლებელ იყო აღწერად, არამედ რაოდენ ძალ მედვა სმენითა და მესხიერებითა სარწმუნოთა კაცთაგან ცნობით აღვსწერენ. ხოლო რომელიცა მოიწია მას ზედა ჟამსა ღრმად მოხუცებისა მისისა საქმე უბედურებითი და მოვიდა ალა-მამად-ხან და ალაოხრა ტფილისი, მისთვის არარა დამიწერიეს ჯერეთ, ვინადგან მიზეზნი და ვითარებანი განვრცელდებიან.

5

* ხოლო შრომანი და ღვაწლნი... და ვითარებანი განვრცელდებიან] ხოლო უკანასკნელ მოხუცებისა მისისა ჟამსა ქ(ორონი)კ(ონ)ს უპგ განძლიერდა ყაჯარი ალა-მამად-ხან, რომელმანცა მოსწვა და ალაოხრა ტფილიზი, ია-სა დღესა სამშაფათსა B.

და ნ ა რ თ ი

I

მეფობა ირაკლი მეორისა

(თეიმურაზ ბაგრატიონისეული ვერსია)

ეს ისტორია, ამის შემდგომნი, თავადის ომან მდივნის ლაშქარ-ნივისის ხერხეულიძისაგან აღწერილიდამ არიან გამოწერილნი. მეფეს ერეკლეს ლაშქარნივისი იყო ეს ომან.

შემდგომნი რაჲცა დაშთენიეს მოთხორობანი პაპუნა ორბელიანსა დიდებულისა მეფისა ცხებულისა თეიმურაზ მეორისა და ძისა ზათისა დიდებულისა მეფისა ირაკლისა, ღირსსახსოვართა ამათ მეფეთა იწყებთან შემოკლებით აქათგან.

წელსა ქ(რისტ) ესით 1759, ქ(ორონი)კ(ონს) უმზ გამოვიდნენ კვალად დაღისტნის ბელადნი კოხტა და ჩონჩოლ-მუსა ლეკთა ჯარებით, ვიდრე რვა ათასადმდე კაცნი. ესენი გაიყვნენ, ჩონჩოლ-მუსა მივიდა აჩაბეთს და აღილო და მრავალნი სულნი დაატყვევნა, შველო ლიაზვზე, სამაჩაბელოს ოსები დაარბივა და მუნით წამოსული ავნევის სოფელს შემოადგა და კოხტა ბელადი ატოცის ციხეს შემოადგა. მივიდნენ მეფენი თეიმურაზ და ირაკლი ქართლ-კახეთის ჯარით ყორნისს და მეფე იმერთა სოლომონ შემწე ექმნა და მოვიდა თვისის ჯარით. სამთა ამათ მეფეთა შეექმნათ რჩევა, თუ რომელს მიეშველნენ — ავნევს, ანუ ატოცს და ამჯობინეს მიშველება ატოცისა. მივიდნენ მოსწრაფედ დილას ადრე. დაესხნენ თავსა ლეკის ჯარს ატოცს, აოტეს კოხტა ბელადი და ლეკის ჯარი მრავალნი მოსწყვიტეს და სამთა ამათ მეფეთა და სპათა მათთა სიმხნე და სიმარჯვე ყოველთა კაცთაგან მოსაწონი იყო. დასდევნენ შორად, მივიდნენ ესე ლტოლვილნი ლეკნი ავნევს, აცნობეს ჩონჩოლ-მუსას ესე ყოველი ყოფილი. ამისი მცნობელი ჩონჩოლ-მუსა შემოეცალა ავნევს, მოვიდა დვანს სიმაგრეში, დასდგა ჯარით. მასვე დღესა მოვიდნენ სამნივე მეფენი მისაშველებლად, მაგრამ აღარ დახვდათ იქ ლეკის ჯარი. ჰსცნეს მეფეთა დვანს დგომა მათი, მივიდნენ მეფენიცა, პირისპირ დაუდგნენ, გარნა ვერლარა იკადრეს გამოსვლა ლეკთა საომრად დასტით, არამედ მცირედთა

კაცთაგან მოხდა თოფთა ცემანი. სილამემან უსწრათ, ომი აღარ მოხდა. შეფენი ჩამოხდენ იმ ღამეს მას ლეკის ჯარის ახლო და სწადლათ მეორე დღეს ომი, მაგრამ მას ღამესა აიყარა ჩონჩოლ-მუსა ჯარით და გაიპარა. მეორესა დღესა, დილას, სცნეს მეფეთა გაპარვა ლეკთა, დევნა უყვეს, მაგრამ ველარ მიეწივნენ.

ამასვე წელსა ქარიმ-ხან შირაზის ქვეყნელი, გვარეულებითა ზანდი¹, ქურთთა ნათესაობისაგან, ესე განძლიერდა სპარსეთსა შინა, სძლო მაჰმადხან ყაჯარსა, (რომელიცა მაჰმად-ხან იგი ცდილობდა თვით დაპყრობასა სპარსეთისასა) და მოიკლა მაჰმად-ხან ყაჯარი ყულისა (ესე იგი მსახურისა) თვისისაგან.

ჟამსა მას, ოდეს იძლია იგი ქარიმ-ხანისაგან და მძარტვა თავი მაჰმად-ხანისა ქარიმ-ხანს მკვლელმან მისმან, ქარიმ-ხანმა, რა ნახა თავისი მტრის სიკვდილი, დაუმცა იამა. მაგრამ ბრძანა მკვლელისა მის ბატონისა თვისისა შეპყრობა და წარაკვეთა თავი მისი მოლაღატეობისათვის უკეთურისა მის მსახურისა. აგრეთვე მივიდა აზათ-ხანზე, სძლია, მოსრა ჯარი მისი და აზათ-ხან გამოიქცა ადრბეჯანისაკენ და რომელს ადგილებშიაც მივიდა, მრავალი ავი საქმეები ქნა, ოხრება, სრვა, რბევა და უსამართლობა.

ამას ჟამსა მისწერა ქარიმ-ხანმა წიგნი ძმობით და სიყვარულითა შეფეს ერეკლეს და სთხოვა: „აზათ-ხან, ჩემგან ძლეული, ადრბეჯანის ქვეყნებისკენ გამოიქცაო, ხალხს არბევს და მრავალს ადგილს აფუტებს. სადაც მაინთ მხარეში გამოჩნდეს, შეიპყარ და გამომიგზავნეო, და ამითი ერანის ქვეყანას დიდს ვალდებულებას დასდებო“. ამჟამათ აზათ-ხანმა საცა იყო, იმ ადგილებში ველარ მოიცადა და დაღისტნისაკენ წამოვიდა. ჰსცნა ესე მეფემ ერეკლემ, ყაზახში გარდაასწრაჲ წინ ჯარით და თავისის ჯარებით სრულად შეიპყრა, აზათ-ხან ქარიმ-ხანს გუგუზავნა და იმისი ჯარისკაცი სულ ყველანი გაანათვისუფლა და თავ-თავის ქვეყნებში გაისტუმრა. ეს საქმე მეფემ ერეკლემ იმოტომ უყო აზათ-ხანს, რომ აზათ-ხან ერევანს მეფეს თეიმურაზს და მეფე ერეკლეს არ ანებებდა. ჩვენს ბატონებს ერევანი ყენებისაგან ნაბოძები ჰქონდა და ის იმძლავრებდა ერევანს. ჩვენი ბატონები შერიგებას უკან აზათ-ხანს ბევრის გზით შეეწივნენ, მაგრამ მაინც ერევანზე ხელს არ იღებდა.

რა აზათ-ხან ქარიმ-ხანს ჩაჰგვარეს, ქარიმ-ხანმა დიდად დაუმაღლა მეფეს ერეკლეს, მრავალი ფეშქაშები წარმოუვლინა, თვალი, მარ-

¹ ზანდნი ქურთთა გვარეულობანი არიან შირაზისა გარემოთა მცხოვრებნი. წარჩინებულთა გვართაგანი, რომელთაგან იყო ქარიმ-ხან, დიხ ჰკვიანი და ბრძენი კაცი. ქურთსა იტყვიან მიღიელთა ერისაგან შთამომავალთა. (მეფის ძე თეიმურაზ).

გალიტი, ოქრო, ვეცხლი და ლარი. და შოსცა და დაუმტკიცა ერევანი თავისის მაზრებით სრულად სახანო. და მოუწერა ბრძანება ერევნის ხანსა: „შენ რაც ხარკი სახემწიფო გაძევს, ყოველსავე უკლებლად მეფე ერეკლეს მიართმევდეთ და მორჩილებდეთ, ვითარცა არს წესი ყმა-საგან ბატონის მორჩილებისა“ და მოსწერა ყოველთავე თავისთვისად აღრიბეჯანის ქვეყანაში მსხდომს ხანებს, რომ ყოველნივე მეფის ერეკლეს მორჩილნი უნდა იყვნეთ და იმის ბრძანებას შეიწყნარებდეთ. ამ ქარიმ-ხანმა ერანის ქვეყნები სულ დაიპყრა, მაგრამ თავისის განზრახვით ყეენობა არ დღირქო, არც კელმწიფობის სახელი მიიღო. ასე ამბობდა: „სპარსეთი უპატრონოთ დარჩაო, მე სპარსეთის მოურნე ვარო მხოლოდო, სპარსეთი ამოხრებელთ და უსამართლო კაცთაგან დავიხსენო, არ შინდა ბოროტმა კაცმა და მოხრებელმა სპარსეთის ქვეყანა და ხალხი შეაწუხოსო, მე სპარსეთის მომვლელი ვარო და არა კემწიფეო. თავის ტიტულად ვეჭილობა და ირქო და ჭკუითა და სიბრძნით სპარსეთს მშვიდობას აძლევდა, კარგათ უვლიდა და სამართლობდა, ხალხს არ აწუხებდა, ყველამ შეიყვარა და გაუერთგულდნენ.

ამასვე წელსა ლეკებმა ჯავახეთი მოარბივეს და მრავალი ქრისტიანი სული დაატყვევეს. დახვდა მეფე ერეკლე ყარაიაზე ღამე, ეს ლეკის ჯარი დაამარცხა, მრავალი ლეკი მოკლა და ტყვე და საქონელი სულ დააყრევინა და მისცა ნება ყოველთა ტყვეთა გამოხსნილთათვისსავე ქვეყანასა წასვლისა. ესე გამარჯვება იყო ივნისის ოთხს.

წელსა ქრისტესით 1761, ქ(ორონი)კ(ონ)ს უმთ, წარმოვიდა ჯარი დაღისტინიდან ლეკთა, საქართველოს საოხრებლად. სცნა რა ესე მეფემ ირაკლიმ, ჯარის შეყრა ველარ მოასწრო და თავისის ამალით წავიდა, სუჰყულიანში დაემალა, რომელ არს ნათლისმცემლის მონასტრის კერძო. მუნით მეფე ირაკლი თვთ ყარაულად წარვიდა და განიმსტრო და სცნა, რომელ ათ ზომად უმეტესობდა ლეკი მის ჯარზედ. გამობრუნდა და ასეთს ადგილს დაუხვედრა და ასე შეაძგერა ეს თავისი ამალა, რომელ მისვლასავე თანა გააქცივა ლეკნი, აოტნა და მრავალნი მოსწყვიტნეს.

წელსა ქ(რისტ)ესით 1762, ქ(ორონი)კ(ონ)ს უნ, შიგნით კახეთს, ახმეტას სოფელს, ლეკის ჯარი მოვიდა და ამათ მსწრაფლიად მიუხდა მეფე ერეკლე, შეება და დაამარცხა, რომელ რისხვა ღ(მრთ)ისა დასცა მათზედა, მრავალნი მოსწყვიტნა და დანაშთნი წარივლტნეს სირცხვილეულნი.

წელსა ქ(რისტ)ესით 1763, ქ(ორონი)კ(ონ)ს უნა, მოვიდა სამაჩაბლოში კეხვს ლეკის ჯარი, მიასწრა მეფემან ირაკლი, განემარჯვა და მრავალნი მოსწყვიდეს.

წელსა ქ(რისტე)ესით 1764, ქ(ორონი)კ(ონ)ს უნზ, დახვდა მეფე ირაკლი ლეკის ჯარსა მრავალ-წყაროზედ, გაემარჯვა და მრავალი მოსწყვიდეს.

წელსა ქ(რისტე)ესით 1765, ქ(ორონი)კ(ონ)ს უნგ, ლეკის ჯართა გორი დაარბივეს და ტყვენი წარასხნეს. დახვდა მეფე ირაკლი სამგორის მინდორში ღამე, ეს ლეკის ჯარიც სრულიად მოსწყვიდნეს და ტყვენიც განათავისუფლეს.

წელსა 1767, ქ(ორონი)კ(ონ)ს უნკ, ერევნის ქურთები განსდგნენ და არღარა მოსცეს ხარკი. წარვიდა მეფე ირაკლი თვესა ივნისსა. მათაც სცნეს მეფეს მიმავლობა, გაიქცნენ და არეზის მდინარესა განვიდნენ და არარატის მთის იქით რა მივიდნენ, მიეწია ერეკლე მეფე, დაარბივა ქურთები და მრავალი იშოვეს ესრეთ, რომელ უმეტეს მოსაცემელის ხარკისა, ვიდრე ათ ზომადმდე. და მოვიდა ტფილისს და იყო სიხარული და განცხრომა.

ამასვე წელსა ლეკის ჯარი გარდავიდა იმერეთს, რაჭის სოფლები მოარბივეს, ასამდის ქრისტიანე ტყვე იშოვეს და წარმოვიდნენ. სცნა ესე მეფემან ირაკლი, შემოიყარა ჯარები, წაბრძანდა და იორის წყალზე დასდგა, ყარაულნი განაწესა ცნობისათვის მათის შემოვლობისა. მივიდნენ ლეკნი საქონლით და ტყვეთ სავსენი. ამდღ შეება მეფე, ტყვე და საქონელი სრულიად დააყრევინა და ის ლეკნი ასე გაწყვიტნა, რომ დაღისტანში იმათი მოამბე ვერღარა მივიდა.

წელსა 1769-სა, ქ(ორონი)კ(ონ)ს უნზ, კიდევ განსდგნენ ერევნის ქურთები და არღარა მოსცეს ხარკი. წარვიდა მსგავსადვე ჯარით მეფე ირაკლი, მოეწივა არეზს გაღმა, დაარბივა და მრავალი იშოვნეს ჯარებმა და მოვიდნენ ტფილისს და ქურთნიცა მოვიდნენ ერევნის მჭულში, თვისსავე აღგილსა ზედა დასდგნენ და მოსცემდენ ხარკსა და მიერ დღითგან ვერღარა იკადრეს განდგომად და იყვნეს მესხარეობასა ქვეშე მეფის ირაკლისასა.

წელსა ქ(რისტე)ესით 1770-სა, ქ(ორონი)კ(ონ)ს უნმ, განიზრახა მეფემან ირაკლი ახალციხეზედ გამხედრება, ვინადგან რუსნი და ოსმალნი აშლილნი იყვნენ და რუსეთის მხედრობა ბრძოდა ოსმალთა საბერძნეთის მხარეს და საქართველოსცა წარმოუვლინა იმპერატრიცა ეკატერინამ მეორემ რუსეთის უძლეველი მხედრობა მხედართმთავრობასა ქვეშე ლენერალ-მაიორის გრაფ ტოტლებენისასა, რომელიცა წინასწელიწადებში იყო მოსული, დასდგა ჯარით ქრცხინვალს. ეზრახა მეფე ერეკლე ამ ლენერალ ტოტლებენს, შეითქვენ და წარვიდნენ ახალციხეზედ. მივიდნენ და პირდაპირ მოადგნენ აწყურსა და რამდენიმე დღე ადგნენ. ამაზე შეიყარნენ ოსმალნი და დაღისტნის ბელადი მალაჩი კოხტა მაშინ დიახ გამოჩენილი იყო, და ესეცა დიდის ჯარით იყოფოდა ოსმალთა ჯარში შემწედ ოსმალთა. მოვიდნენ და შემოეშ-

ველნენ აწყურსა და იყო მარადის ძლიერი ომი და დაუცხრომელი ფიცხელი თოფთა ცემა. ხოლო ჩააგდეს შური ბოროტთა კაცთა და უზიდედენ გრაფ ტოტლებენსა ავსა სიტყვასა და ამის ძლით შემოსწყრა გრაფ ტოტლებენი მეფესა.

ხოლო სხვანი იტყვიან არა თუ ენისა ზიდვითა იქმნა ესე, არამედ დაფარულისა ძლით, რომელიცა აქვდა განზრახვა გრაფ ტოტლებენსა გულსა შორის თვისსა. მისცა მეფე მტერთა პირსა და ჰგონებდა არღარა მოქცევასა, მის მიერ დატევიებულია მეფისასა აღდილსა მას მტერთა საფრთხისასა, რამეთუ უკუეთუ დაშთებოდა მაშინ ხელთა შინა მტერთასა, იგი აღასრულებდა მაშინ საქართველოსა ზედა რეცა წადილსა გულისა თვისისასა. აიყარა თავისის ჯარით გრაფ ტოტლებენი, განეშორა მეფესა და წარმოჭრდა უკანვე. მოვიდა მეფე ირაკლი, (ვეველრა) გრაფ ტოტლებენსა, რათა არა უკუნ იქცეს. არამედ არა ისმინა ტოტლებენმან თხოვაჲ მეფისა და ნებისაებრ თვისისა გამობრუნდა. ხოლო დასდგა მეფე ირაკლი მუნვე და სთქვა ესრეთ: „უმიჯობეს არს აქა სიკვდილი ჩემი, ვიდრემდის ამათგან რუსეთის მხედრობას ევნოს რამეო“. (ეს სიტყვა ამისთვის სთქვა მეფემ ერეკლემ, რომ თუ თითონაც დაბრუნებულყო და ჯარი თვისი დაებრუნებინა, მტერნი დათამამდებოდეს, გამობრუნებულს რუსთა მოასწრებდნენ იწროთა გზათა შინა გამოსავალთასა და სულ ამოსწყვეტდნენ. მქნება ქართველთ ჯარი კი მორჩომილ იყო, მაგრამ ძნელად, ქართველთაც ბევრს ავნებდნენ ოსმალ-ლექნი).

ხოლო ამისნი მხილველნი ოსმალ-ლექნი, გამობრუნებისათვის რუსეთის მხედრობისა, არა მცირედ განსძლიერდებოდნენ. გამოვიდნენ გაამაყებულნი და შემოებნენ მეფესა. იქმნა ბრძოლა ძლიერი და ფიცხელი, ვიდრე სამ საათადმდე, იძლივნენ ლექნი და ოსმალნი; უკუდგნენ სიმაგრეთა და რუსნიცა შემოვიდნენ ხეობაში და განვიდნენ სამშვიდობოს. ზამისსა შემდგომად მეფე ირაკლი აიყარა მასვე დღესა და წარმოვიდა ჯავახეთის მხრისაკენ მინდორზედ, გამოვლო აწყურად ორ აღაჯი (ანუ ვეჯი) და დაივანა მუნ და გამოჰყვენ ოსმალ-ლექნიცა. ამას ღამესვე აიჩივეს ოსმალთა კაცნი ცხენოსანნი, მოასწრეს წინ და ასპინძის ხრამის პირი შეუტრეს. მოვიდა მეფე ირაკლი ასპინძას და ასპინძის ხიდის ისრები ააყრევინა და მტკვარში გადააყრევინა. ერთი ისარიღა დარჩა. ამჟამად ვიეთნიმე ქართველთ ჯარისკაცი აყრილს სოფლებში საქონლის საშოვრად წავიდნენ. შემოუტივეს დამალულთა ოსმალთა თავწვლილად მიმავალს თარეშის კაცთა, დაამარცხეს ჩაფაულის კაცნი და მიჰყვენ კოცით ვიდრე ლაშქრამდე მეფისა. ამისი მხილველნი მეფის ჯარიც შეიძრნენ, რომელნიც მეფესთან იყვნენ, დაიწყეს ლტოლვა და მეფე ირაკლი მოვიდა ჯართან

და ვეედრებოდა დაბრუნებასა, და არა უსმენდეს ჯარისკაცნი მცირედ-
 თაგან კიდევ. ვინცა უსმინა მით მობრუნდა, და თავის შვილს მეფის
 ძეს გიორგის ახალსა ყრმასა კაცსა უბრძანა გაჰყვეს ჯარსა და ეცა-
 დოს უკომბრუნებასა. მეფე ირაკლი თვით მცირედითა კაცითა ეკვეთა
 ძლიერად და ძალითა ღ(მრ)თისათა აოტნა ოსმალნი. მაშინ მეფის ძე
 გიორგი მიეწივა რა ჯარსა, იხილა კაცი ერთი: თათარი თარაქამათაგანი
 ვინმე მიმოარბევდა ცხენთა ჯართა შინა უკმოქცეულთა და იძახდა:
 „დამარცხდა მეფე ერეკლე და თითონაც მოკლესო“. ესმა რა ესე მე-
 ფის ძეს გიორგის, შეუტივა მამაცად თათარსა მას, გარდამოაგდო
 ხლმით ცხენისაგან და მოკლა. გარდაუდგა წინ ქართველთა და კახთა
 ჯარსა, დააბრუნა ყოველნი, უკმოაქცივნა მამისა მიმართ თვისისა. ამას
 შინა აოტნა რა მეფემან ერეკლემ ოსმალნი, მივიდა მობრუნებული ჯა-
 რიცა მსწრაფლვე დაუწყეს დევნა ლტოლვილთა ოსმალთა, დახოცა და
 მრავალნი მოსწყვიტნეს.

გამობრუნდნენ გამარჯვებულნი და ვიდრე ერთი საათი გავიდო-
 და, უკან გამოდგომილნი სხვა ახალი ჯარები ოსმალთა კაცთა ლექთა
 მოეწივნენ, რიცხვით ექვსი ათასამდე და სპანი მეფისანი გზისა სი-
 ვიწროისა მიზეზითა აშლით და თავწვრილად მოვიდოდეს დასტადაწ-
 ყობილნი. ოდეს იხილა მეფემან ირაკლი ეს მტერთ ჯარები მიწვეული,
 მაშინვე თვთ გამობრუნდა რაოდენითამე ჩინებულთა და შინაყმითა
 თვისითა. და ახლდენ თანა შვიდი კაცი ხევსურიცა რჩეულთაგან გულ-
 ღვანთა და ერთი თუში სახელით ნაკუდა. ესე რვანი კაცი სწორუპო-
 ვარნი იყვნეს ვაჟკაცობითა. და ნაკუდა კი იქ მოკლა ახალციხელმა
 კაცმა და მკვლელი მისი დიახ ვაშკაცი იყო და ისიც შეიპყრეს მეფის-
 სა მახლობელ მყოფთა და ბრძანა თავისა წარკვეთა მისი მეფემან,
 თუმცა იგი ევედრა ქართულისა სიტყვითა: „მეფე ერეკლევე, მოწყალე-
 ვო, შემეწყალე და ნუ მომკლავო“, მაგრამ ბატონს მეტად გული ეტკო-
 ნა ნაკუდას სიკვდილისათვის და აღარ აპატივა. განწირა თავი თვისი
 მეფემან ირაკლი და ეკვეთა ფიცხელად, იყვნეს ყოველნი მეფისა თა-
 ნა მყოფნი ქართველ-კახნი მხნედ და უმეტეს შვიდნი იგი ხევსურნი,
 თუმცალა თავადნი მრავალნი სახელოვნად გაისარჯნენ, მაგრამ გან-
 გრძელებისათვის არა აღიწერა. იმ უკანანიცა ჯარნი მეფისანი
 რომელნიცა იყვნეს გზისა სივიწროისაგან წარგძელებული, იგინიცა
 შედგნენ და გამოერჩივნენ მათგან მამაცი და გულოვანნი კაცნი, მო-
 ვიდნენ მეფისა თანა და იქმნა ბრძოლა ძლიერი და ივლტოდნენ ოს-
 მალნი და ლეკნი, დაერივნენ შიგ ქართველ-კახნი ჯლმითა და უმრავ-
 ლესნი ოსმალ-ლეკნი მოსწყვიდნენ, ხოლო გაქცეულთა მათ ოსმალთა
 და ლექთა მიმართეს ხიდსა ასპინძისასა და სდევნიდა ფიცხელად მე-
 ფე ერეკლე და ქართლ-კახეთის ჯარი. ოდეს ლტოლვილნი ოსმალ-
 ლეკნი მიიწივნეს ხიდსა ასპინძისასა და დახვდათ ხიდი აღებული, ერთი

ისრის მეტი არღარა იდვა რა, ხიდის ფიცრებიც და ძელებიც სულ წყალში იყო ჩაყრილი. მტკვარი დიდად აღიდებულთ იყო, რომ კაცისა და ცხენისაგან გასვლა იმ ჟამათ შეუძლებელი იყო. ვინც ფეხმარჯვეობით და სიფიცხით იმ ერთს ხიდის ისარზე გავიდა, მორჩა. სხვანი სულ დაიხოცნენ, შეიპყრნენ და უმრავლესნი ვინც ცხენით მტკვარში შევიდნენ, სულ დაიშთენენ პირველსავე ხიდთან მისვლაზედ. მეფე ირაკლი მივიდა ასპინძის ხიდის ახლო თავისის დასტით და დასდგა. ნახა: ერთის უცხოს იარაღით მორთული ლეკი, კარგი თვალტანადი და ვაჟკაცი ხიდს ქვემოდამ წყლის ნაპირში შესულა და შინჯავს წყალს რომ საიღამ უნდა გავიდეს და ვისის ღონით. მაშინ შეხედა მეფემ ირაკლი, მსწრაფლ ცხენი გაქუსლა, მიუხდა, შესტყორცა თოფი და მაშინვე წყლის ნაპირში ჩამოაგდო. მსწრაფლ მიცივიდნენ მეფესთან მყოფნი, კაცი იგი წყლით გამოათრივეს, ცხენიც შეიპყრეს, თავი მოჰკლეთეს, გატარცვეს და იმისა ლეში მტკვარს შერთეს, თავი მეფეს მოართვეს. იმ ჟამათ მეფეს ერეკლეს ერთი დაღისტნელი ლეკი ახლდა თანა. დიდი ხნის ნამსახური იყო ბატონისა. ბატონი მას არ იშორებდა და დაღისტანში ხშირად საქმეზე როცა დასჭირდებოდა, გზავნიდა და სახელად მას ლექსა იტინო ერქო. რა ის ლეკის თავი მან ნახა, მაშინვე იცნა, რომ ის თავი მალაჩი ბელადისა იყო, ესე იგი კოხტა ბელადისა. ეს მალაჩი კოხტა ბელადი მთელს დაღისტანში სახელგანთქმული კაცო იყო და ამ ლექს ბევრჯელ ენახა და იცნა და ბატონს მოახსენა: „ეგ თავი მალაჩი ბელადისა არისო“. მაშინ ჯერ ისევ ომი არ იყო გათავებული ბატონმა უბრძანა: ეს თავი მალაჩი ბელადისა ერთს თოფრაში ჩადევს, ზევიდამ დაბეჭდეს და ისე შეინახეს ომის გათავებამდის. მალაჩი ბელადს მაშინ ათასშვიდასი კაცი რჩეული ლეკი ახლდა თანა, სულ იქ დაეღუბა და თითონაც იქ მოკვდა. როდესაც სულ ამოსწყდა ეს ოსმალთა და ლეკთა ჯარი და უმრავლესი წყალში ჩაირჩო და მრავალი ცოცხალი შეიპყრეს, გარდახდა ბატონი და უბრძანა ჯარს გარდახლომა. ღმერთს როგორც რიგი იყო, მადლობა შესწირეს და იმ ღამეს მხიარულებით იქ განისვენეს. მოართვეს ბატონს თავნი ოსმალთა და ლეკთანი და მრავალნი ცოცხალნი შეპყრობილნი. ათას ცხრაასი თავი იყო და ორი ათასამდის ცოცხალნი. აღწერეს ყველა, ვინც მამაცად ხელი გამოიღო საჯილდაოს მისაცემულად. მაშინ მოაყვანიდა ბატონმა ლეკისა და ოსმალთა ტყვეები. უჩვენეს თავი კოხტა მალაჩი ბელადისა და ყველამ იცნეს, რომ იმისი თავი იყო. მოილოდინეს კიდევ ოსმალთ მდევარი ფაშისა და სხვათი. მაგრამ ოსმალთ შიშით ეს სიმხნე და ძლიერება მეფის ერეკლესი რომ ნახეს, ვიღასა შეეძლო რომ გაებედნა ბრძოლა. ყველა ამ მხარის კაცნი სიმაგრეებში იყვნენ და იშინოდნენ.

მეფემ ერეკლემ ტფილისსა და ყოველს ადგილში მახარობელნი გაგზავნა გამარჯვებისა. შეიქმნა დიდი სიხარული ამ გვარის გამარჯვებისათვის ყველგან, მაგრამ ტფილისში, მანამ მახარობელი ჩაედოდა, სცნეს მეფის გამარჯვება სრულიად თბილისსა შინა მცხოვრებთა. დილასა ადრე ნახეს მდინარესა მტკვრისასა, მას ჟამსა ფრიადგანდიდებულსა, სულ გაბმით მოჰქონდა მოტივებული ურიცხვე მკვდარი ოსმალთა და ლეკთა ოსმალნი წითელ ბინიშებცმულნი¹ მტკვრისაგან მოტივტივებულნი, უცხოოდ საამოდ რამე სჩნდეს, რომელ განშლილნი წითელნი ტანისამოსნი მათნი სრულიად დაჰფარვიდეს მდინარისა პირსა. ეგრეთვე ლეკნი თვისისა იარაღითა და ტანისამოსით მოჰქონდა. მყისვე მოქალაქეთა ყრმა ვაჟნი და სხვანი ტფილისსა შინა მცხოვრებნი ჰაბუკნი სრწრაფით მორბოდეს პირსა მდინარისასა, გრძელთა ზედა ჯოხთა შეაცვენეს ჩანგალნი და მით გამოითრევდეს მკვდართა ნაპირსა მდინარისასა, განსძრკვიდნენ მკვდართა და შიშველთა წყალთავე შინა შთაჰყრიდნან. აღივსნენ მრავლითა საშოვრითა: თოფითა, დამბაჩითა, სხვადასხვა შევერცხლილისა იარაღითა და ოსმალთა და ლეკთა ფულიც მრავალი ჰქონდათ უბეთა და ჯიბეთა: ფლური გინა ალთმაშლული. ვინც კი მხნე კაცი იყო ტფილისში, უმოვარი მას დღესა არავინ დაშთა. აქვდათ დიდი სიხარული და განცხრომა. ამას შინა მადლობა შესწირეს ღმერთსა, როგორც რიგია დედოფალთა, მეფეთა სახლისათა, დიდებულთა მათთა სამღვდელოთა და საეროთა, ხოლო შემდგომად რაოდენთამე დღეთა მობრძანდა მეფე ირაკლი ძითურთ თვისით მშვიდობით ტფილისს და ჯარი აღვნილი მრავლისა საშოვრითა მადლობდეს ღმერთსა და იყო მხიარულება დიდი.

წარგზავნა მეფემ ირაკლიმ გივი ნათალიშვილი, თავადი, ფარეშთუხუცესი თვისი ეკატერინა იმპერატრიცასთან როსიად და აუწყა ყოველივე ყოფილი, თუ ვითარ ერთგულებისათვის ერთსარწმუნოებისა გამო როსიელთა ისმინა მეფემან ერეკლემ ნება ეკატერინა იმპერატრიცისა, აეშალა ოსმალთ, მაგრამ ტოტლებენმა მისცა მეფე ირაკლი მტერთა პირსა და საფრთხესა, გარნა მოწყალებითა ღ(მრთისა)თა და სიმხნითა თვისითა სძლო ოსმალთა. ვიდრე დესპანი ესე მეფისა ირაკლისა მოიწეოდა კარსა ზედა როსიისასა, ტოტლებენს დაუბეზლებინა მეფე ირაკლი: „გამიტყუვაო, ახალციხეს მიმიყვანაო და თითონ ლაპარაკი დაუწყო ოსმალთაო და შენი ჯარის ამოწყვეტა უნდოდა მეფე ერეკლესაო. შევიტყვე, გამოვბრუნდი და ჯარი მოვარჩინეო“. ეკატერინას როდესაც ელჩი მოუვიდა მეფის ერეკლესი და ამ ელჩმაც ყველა განვლილი კანდიერად მოახსენა ეკატერინე ხელმწიფეს, ეს იწყინეს იმისმა ვეზირებმა და მეფის ერეკლეს დესპანისა ძე-

¹ ტექსტში: „ბინინიშებცმულნი“.

რის შემთხვევა მოინდომეს. გივმა ეს ჭკუა იხმარა: მივიდა ავსტრიის იმპერატორის ელჩთან, ყველა თავისი ამბავი გამოუცხადა, ავსტრიის დესპანმა სხვა ევროპიის პასლანნიკებიც იხმო თავისთან. ესენი გივისაკენ დაიძრნენ და ეკატერინას გამოუცხადეს: რადგან საქართველოს მეფე თავისუფალი ქვეყნის მეფე არს და შენი მეზობელი, შენის გულისათვის და პატივისცემისათვის თქვენის ნებისა თქვენის მტრისათვის უბრძოლია და კიდევ უძლევია, თქვენგან იმისმან გამოგზავნილმა დესპანმა აბიდა რათ უნდა მიიღოსო. თქვენ აქეთ მხარეს ოსმალთ ებრძვით და მეფეს ერეკლეს რათ იმღურებთო, ის თქვენ გამოვადგებათო ყოველთვისო. ეკატერინე იმპერატრიცა დიახ ჰკუიან და ბრძენი ბრძანდებოდა. იმან უბრძანა ვეზირებს: მეფის ერეკლეს ელჩსა აბიდა არა მისცეთ რაო და ალერსით თავისივე ქვეყანაში გაისტუმრეთო. წიგნი მოსწერა მეფე ერეკლეს: რადგან ჩვენს როსიის მტერზედ მაგრე გაისარჩე, ჩვენც მოვალეობა გვაქვს, რომ ყოველთვის თქვენის ქვეყნის მტერზედ შემწეობა ვიხმაროთ და თქვენზედ მარადის კეთილის მოსურნე ვიყვეთ, წემწე და პატივისცემელიო და გრაფ ტოტლებენს, ჩვენს ლენერალსა, რაც ჩვენთვის მოეწერა რომ თქვენთან სამღურავი ჩამოვარდნია, მე იმასაც მოვიკითხავო, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რადგანაც თქვენც მართლმადიდებელი და მართლმადიდებლის ერის მეფე ბრძანდებითო, მარადის ჩვენს მტერზედ მხნეად მოიქცეთო. დასაჩუქრეს კარგად გივი და პატივითვე გამოისტუმრეს მეფეს ერეკლესთან. მოვიდა გივი, მოართვა წიგნი რუს ხელმწიფისა და ყოველი მოახსენა.

წელსა ქ(რისტ)ე(სი)თ 1771, ქ(ორონი)კ(ონ)ს უნთ, მეფეს ერეკლესთან იყო ლვოვი, ივან ლავრენტიჩი, მინისტრად და დესპანად წარმოვლენილი რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინესაგან. ამან ურჩივა მეფე ერეკლეს: რადგანაც თქვენში და გრაფ ტოტლებენში შფოთი და სამღურავი რაიმე არისო შთამოვარდნილიო, სჯობს რომ ოსმალთ აეშალო და ეკატერინა ხელმწიფე ამას დაგიმადლებსო და გრაფი ტოტლებენი რომ გაბეზლებს ეკატერინე ხელმწიფე იმის სიტყვას ყურს აღარ მიუგდებს და ეს შენთვის სასარგებლო იქნებაო. ამისის რჩევით მეფემ ერეკლემ ოსმალთა აშლა მოინება. გაგზავნა საიდუმლოდ მოსანდო კაცი თვისი და მოიბირა ხერთვისის ბეგი ერთი...². შეჰყარა ჯარები წინააღმდეგობად ხონთქრისა. მივიდა ახალციხის ქვეყანაზედ და რომელიც იყო ციხე ათაბაგისა ხერთვისის, დიდად განმაგრებული, ის აიღო მეფე ერეკლემ და თავისი მეციხოვნენი შეაყენნა. მაშინ ლვოვმან იარანალმა მოახსენა მეფესა: ეს საქმე რომელიც თქვენ ინებეთ და ხერთვისის ციხე ძლიერებითა თქვენითა აიღევით, ამას ეკატი-

² აქ გამოტოვებულია ადგილი სიტყვის ჩასაწერად.

რინე ხელმწიფე დიდად დაგიმადლებსთო და კარგათაც ჩამოგართმევს, რომ როგორც ქრისტიანსა და მართლმადიდებელს მეფეს მართებს თქვენ ისე რუსეთის კარის მხარე გიჭირავსთო, მაგრამ ისი სჯობს, ხერთვისის ციხე ისევ დაცალოთ და თქვენი მეციხოვნეები იქილამ გამოიყვანოთო, ამისთვის რომ არამც ხონთქრის დიდი ძალა მოვიდეს და ეს ციხე რომ ძალით აგვართონ, სირცხვილი იქნებაო და ამ მხარეზე ოსმალები ძალს მოიციემენო და თქვენი და ამ ქვეყნის სავნო არა იყოს რაო. მეფემ ირაკლიმ ეს რჩევა არ დაუწუნა, ხერთვისის ციხილამ მცველნი გამოიყვანა. აქილამ ჯარმა ტყვე და საქონელი მრავალი გამოიტანეს. ხერთვისი ქალაქი იყო და მდიდარი ადგილი და ძვირფასი ნივთებიც მრავალი იშოვნეს. იქ სულ მდიდარი ხალხნი ესახლნენ. მეფე ერეკლე ჯარით ქართლში გადმობრძანდა და ამა ამბავთა შინა გამოუსივა ოსმალთა და ლეკის ჯარი ახალციხის სულეიმან ფაშამ, სამაგიეროდ ხერთვისისა, ქართლის მოსარბეველად. ამ უამად მეფე ერეკლე ქარახინვალს ბრძანდებოდა ჯარით. ეს ოსმალთა და ლეკთა ჯარი ხვითის სოფელს მოუხდა და მის ზემო მინდორზედ ჩათაული გამოუშვე! ლეკთა და ოსმალთა. მოასწრო სწრაფად მეფე ერეკლემ სოლოთის მინდორზედ, დაამარცხა ოსმალ-ლეკნი და რისხვად (მრ)თისა დასცა მათ ზ(ედ)ე მრავალნი მათგანი მოსწყვიტნეს და შეიპყრნეს ცოცხალნი და ლტოლვილნი ოსმალნი და ლეკნი ავიდეს სირცხვილეულნი ახალციხეს.

იხილა რა ახალციხის ფაშამ, რომელ რუსთა მხარე დაიჭირა მეფემან ერეკლემ, ეშლებოდა ოსმალთა და უხდებოდა ფაშასა თვით მას ახალციხისასა, ამის მიზეზით ეშინოდა თავისის ადგილის და ახალციხის წართმევა მეფის ერეკლესაგან. გაიერთა ლეკნი, მოიყვანა ახალციხის მამულში, დაღისტნის ლეკთ ჯარები დააყენა და იქილამ აწუხებდნენ ქართლსა ავაზაკობით, ქურდობით, დაცემით. მეფე ერეკლე არა აძლევდა თავსა თვისსა განსვენებასა მარად დღე და ღამე და მრავალგზის ამარცხებდა ლეკთა, მაგრამ ლეკნი მაინც თავიანთ სიავკაცეს და ავაზაკობას არ იშლიდნენ. ესე ყოველი ყოფილი აცნობა ლეკებმან ივან ლავრენტიჩმან ეკატერინა იმპერატრიცას. და ეკატერინა ჯემწიფე სწერდა მეფეს ერეკლეს, იმედსა და წყალობასა აღუთქმიდა.

წელსა 1772-ს ქ(ორონი)კ(ონ)ს უე კვალად მოახსენა ლეკებმან ღენერალმან მეფეს ერეკლეს და ურჩივა: „ერთხელ კიდევ დაჰკარ და გაილაშქრე ოსმალთა ზედაო და ეკატერინა ჯემწიფე მაშინ სრულად გულს დაარწმუნებს თქვენზედაო“. ეზრახა ამ საქმეზედ მეფე ერეკლე იმერეთის მეფეს სოლომონს. შეკრბენ ორნივე მეფენი ჯარებით სურამის ბოლოს, გარდაიარეს მთა საციციანოსი, მივიდნენ და ჯავახეთის ახალქალაქს შემოადგნენ და ძლიერად შეამჭირვეს და ცოტა

უკლდა ალებას. ამჟამად მეფე იმერეთისა სოლომონ ძალიან ავად შეაქნა საოფლისა სენითა, რომელი სიკვდიდ მიახლდა. ამისთვის ინებეს წარმოყვანა მეფის სოლომონისა, გაუკეთეს მოაბა, აიყარნენ იმერეთი და წარმოიყვანეს მეფე სოლომანი. და მეფე ერეკლეცა შემოეცალა ცრხესა ახალქალაქისასა, და მოარბივნა გარემონი ახალციხისანი და არტაანი და ჯავახეთი, მრავალი ტყვე და საქონელი წარმოასხეს და წარმოვიდნენ.

ხოლო ესეცა მისწერა და მოახსენა ხელმწიფესა ეკატერინეს და აცნობა გულითად მოქცევა და პირისპირ მტერთა რუსეთისათა მხნედ მებრძოლობა მეფისა ირაკლისა და მეფისა სოლომონისა. უბრძანა ეკატერინა მეორემან ორთავე მეფეთა მადლობა დიდი, წარმოავლინა ღენერალ-მაიორი სუხოტინი და დაიბარა ღენერალ-მაიორი ღრაფი ტოტლებენი, რომელსაც ცუდად დაუჭდა ტლინკვა თავისი და უსარგებლოდ საქართველოსა შინა.

ამისა შემდგომად მოესმა ესე ყოველი ყოფილი მეფის ერეკლესაგან ხონთქარსა და განძვინდა მეფე ერეკლეს ზედა. მისცა აზრუმს აქეთი სულეიმან ფაშასა ახალციხისასა, წარმოუგზავნა უნჯი, რათა განამრავლოს ჯარები და ემტეროს მეფესა ირაკლის და საქართველოსა.

მაშინ ამან სულეიმან ფაშამ წარგზავნა საგანძურნი მრავალნი დაღისტანში, მოიყვანა დაღისტინის ჯარები ახალციხეს და იწყო ავაზაკებრ რბევა ქართლისა.

ამა ამბავთა შინა წარასხნა მხედრობანი თვისნი იმპერატრიცა ეკატერინემან, ვინადგან ზავ ჰყვეს ხონთქარმან და რუსეთისა ხელმწიფემან ურთიერთისა მიმართ. საკვირველი ესე არს: ამა ზავსა შინა რუსეთისა კარმან არა-რა მოიხსენა საქართველოსათვის, მიზეზითა მათითა ოსმალნი მტერ ექმნენ მეფესა ირაკლის და საქართველოსა. უწინარეს მეფისა ერეკლეს მათდა მიმართ აშლისა. არა უტევებდა ფაშა ახალციხისა ლეკთა, მაგრამ საქმემან ამან აიძულა ოთამანისა კარსა, რათა უბრძანოს სულეიმან ფაშას გაერთება ლეკთა, ვითარცა მერჯულეთა მათთა და მიცემად მათდა ჯამაგირისაცა და სადგურთა, რათა ვითარცა ავაზაკობასა შინა მარჯვენი იყვნეს ლეკნი, მით ავნონ საქართველოსა. უწინარეს მეფის ერეკლეს მათდა მიმართ აშლისა თვით ახალციხისა მხარენი და გარემონი ითმენდეს ლეკთა მიერ ობრებასა, მაგრამ მაინც არა ინებეს სამარადისო შეერთება ლეკთა თანა, რომელ იგინი გაუწყვეტლად მტერ ექმნენ საქართველოსა. საქმემან ამან საქართველოსა შინა რუსთა მწუდ მოყვანისამან გამოსცვალაცა სპარსეთისა კარისა კეთილმდირეკილება.

იტყვიან, რომელ ესე მტერებრივნი შემთხვეულებანი გრაფისა ტოტლებენისა მიერ იქმნესო მოქმედებითა, ვინაილგან მას ეგონაო,

რომელ მოსვლითა საქართველოსა შინა დააფუძნებდა ესევითარსა პოლიტიკასა, რომელ თვით განმგებელ ექმნას სამეფოსა. მაგრამ არავინ უწყის ქეშმარიტებით ესე ესრეთ განიზრახვიდა, ანუ უგულებელს ყოფაჲ რუსეთისა კარისაგან ჟამსა ხონთქრისა მიმართ ზავისასა იქმნა სხვითა დაფარულითა განზრახვითა. ამას შინა ერთი პირი ჯარი წარმოავლინა ზემო ქართლს ოსმალ-ლექთა სულეიმან ფაშამან. მოარბიენეს რომელნიმე ადგილნი ზემო ქართლისანი. მოვიდნენ ოსმალ-ლექნი ესე უფლისციხეს. ამჟამად კახეთის ჯარიც იყოფებოდა ქართლში. ეწყვნენ და მოსწყვიტნეს ოსმალ-ლექთა ქართლ-კახეთის ჯართაგან მუნ ყოფთა მრავალნი, ხოლო დღესა მეორესა ქალაქის პირში გაუშვეს თარეში ოსმალ-ლექთა. განვიდა მეფე. ირაკლი ტფილისით, შეება და მრავალნი ოსმალ-ლექნი მოსწყვიდნა, მაგრამ ამჟამად მოახსენეს უფლისციხეს თქვენი ჯარი დამარცხდაო, ამაზედ მწუხარე იქმნა მეფე.

ჟამსა ამას განძლიერდა ფრიად განმგებელი სპარსეთისა ქარიმ-ხან. სცნა მეფისა ირაკლისაგან რუსთა თანა ლაპარაკი, ერთობა და ჯარის გარდმოყვანა, (რომელიც ზემორე ითქვა) გაწყრა ფრიად ამაზედ, მიზეზითა ამით უფროს, რომელ მას ჟამად რომელნიმე გვამნი იყვნენ მემშურნენი მეფისა ერეკლესნი ქარიმ-ხანთან და მათ ბეზღებით განძვინეს. შემოიკრიბნა უმრავლესნი სპანი სპარსეთისანი, მოვიდა თავრიზს. სცნა რა მეფემან ირაკლი მომავლობა ქარიმ-ხანისა თუმცა მწუხარე იქმნა არა მცირედ, ვინადგან იმედულმან შეწყვნისაგან რუსეთისა კარისა არა რიდა ბრძოლად ხონთქრისა და არცაღა მორჩილებად მოადგილესა ყაენისასა მიხვდა. და ამ ჟამად ყოველი იმედი რუსთა მიერ შეწყვნისა დაშორებულ ექმნა, მაგრამ, ვითარცა კაცმან ბრძენმან და გამოცდილმან საქმეთა შინა, მოიპოვა ღონისძიება: წარგზავნნა ორნი მისანდონი გვამნი ერდგულნი კარისკაცნი თვისნი თავადი ანდრონიკაშვილი მდივანბეგი ქაიხოსრო და თავადი თარხნისშვილი ზაზა ყორიასაულბაში დესპანად ქარიმ-ხანსა თანა და აცნობა ყოველივე ერდგულება თვისი და მხნეობა, რომელიცა აქვდათ მეფესა თეიმურაზს — მამასა მისსა და მეფესა ერეკლეს მპყრობელთა მიმართ სპარსეთისათა მადირშასადმი და შემდგომთაცა მისთა და ვინაჲდგან მუნ ჟამითაგან ნადირშაისა აქვსთ მტერობა სახლისა და სამეფოთა ჩემთა მიმართ, მონაპირენიო სამზღვრისა ფაშანი აწუხებდეს ნაპირთა ქვეყნისათა ჩვენთა, თვით სპარსეთისაცა, არიან იგინი მტერნი მარადის დაუტყბრომელად. რუსნი აშლილნი ხონთქრისანი იყვნეს, მე მათ მთხოვეს გზა ოსმალთა საბრძოლველად და ამისთვის არა დაუჭირე მე მათ გზა, რომელ მეგონა იგინი დაუწყებდენ მათ ბრძოლას მე ჩემის ჯარით შევერთდი მათ. მივედით ახალციხისა ქვეყანასა. ერთი ფრანგი იარანალი იყო მათი პირველი სარდალი. ამან იქ მიღალატა, ჯარი გა-

მომიბრუნა და მე მტრებს ჩემის ჯარით პირში მიმცა, მაგრამ მაინც შე ვსძლიეე ოსმალსა და ლეკის ჯარსაც. იმ ეამში სპარსეთი და თქვენ ჯერ დამშვიდებამი არ იყავით, მრავალი წინააღმდეგი გყვანდათ აწისთვის თქვენ ჯარი ველარა გთხოვე, რომ ოსმალებზე მომხმარებინა, მაგრამ სამჯერ მიუხდი იმათ და ვსძლიე, ციხეები ავართვი და ბევრი ადგილი მოვუოხრე. რუსნი არც მომხმარებინან, არც არა შეწევნა მოუციათ, ხონთქარს შერიგებოდა იმათი კარი. აიყარა რუსის ჯარი, თოფიც არ გაუსროლიათ სადმე და ისე წავიდნენ თავის ქვეყანაში და მე პირში მომცეს მტერსაო.

მოვიდნენ ესე წარგზავნილნი თავადნი ქარიმ-ხანთან. ქარიმ-ხან თავრიზს მოსულიყო დიდის ჯარებითა, რომ საქართველოზე აპირებდა მოსვლას და მეფის ერეკლეს ბრძოლას. მაშინ მოახსენეს ქარიმ-ხანს ყოველნი ესე სიტყვანი მეფის ერეკლესნი დესპანთა და მრავლისა ხელოვნებითისა სიტყვითა მოსდრიკეს გული ქარიმ-ხანისა და დაამშვიდეს. მოსწერა მეფეს ერეკლეს წიგნი ფრიად სიტკობებით, წარმოუვლინნა ნიჟნი მდიდარნი, სანდო თვისი კაცი და წარმოატანა ამათ მეფეს ერეკლეს დესპანთა რათა დაარწმუნოს მეფეს ერეკლეს მარადის კეთილისა მიდრეკილება, სიყვარული და პატივისცემა უაღრესი, მარადის უბოძა ძვირფასნი ხალათნი, ინამად თეთრი და ლარნი ტურფანი დესპანთა. გამოისტუმრნა მეფესა ირაკლისთანა და თვით მიიქცია ქალაქად თვისად და წარვიდა შირაზს. და განარინა ღმერთმან კეთილ-გონიერებით მეფისა ირაკლისათა საქართველო შფოთისაგან და ბრძოლათაგან კვალად ვერაგმან სულეიმან ახალციხის ფაშამან არა დაუტევა ბოროტ-მოქმედება თვისი. წარმოავლინნა ოსმალ-ლეკნი. უგზო უკვლოდ იარეს მოვიდნენ დაესხნენ ქრცხინვალს. წაახდინეს რაც ციხეს გარეთ მოახელეს და ტყვენიც წაიყვანეს. ოსიაურის ციხეც აიღეს და ზემორეცა ითქვა, იქმნა ესე ჯოველი ბოროტშემთხვეულება მიზეზითა ამით, რომელმანცა ურჩივა მეფესა ერეკლეს აშლა ოსმალთა, მეფეს ერეკლეს გარდა თავისის სიმხნისა არავინ ჰყვა შემწე მრავალთა მტრიანობათაგან და ლაშქრობათა შემოსავალნი მისნი დია მცირედნი წთებოდეს სალართა მისთა, ერთა თვისთა ყოველთა მცხოვრებთა საქართველოსათა არა უმძიმებდა ხარკთა, მაგრა ეგრეთცა ვერა რომელმან მძლავრმან, ვერა დაიმორჩილა იგი მონებად თვისად და ამა ღვაწლითა ჰფლობდა ორთავე მათ სამეფოთა შემაერთებელი ქართლისა და კახეთისა თავისუფლად და გარეშოთაცა სამეფოთა თვისთასა ჰფლობდავე და იპყრობდა ძალითა თვისთა და მარადის ბრძოლა ოსმალთა და ლეკთა, რომელიცა დაუცადებლად ჰყოფდენ ხდომათა ადგილთა სხვათა და სხვათა საქართველოსათა და ვინადგან არა აქვნდა საკმაოდ ხაზინა და არცა შეწევნა ვისგანმე.

მაშინ ფრიადისა ღონისძიებითა და შრომითა მოიძია მამულსა თვისსა ქანნი, ესე იგი მიწა ოქროისა, ვერცხლისა და რველისა და სხვათა, რომელმანცა კპოვა ქანი ოქროსა და ვეცხლისა ახტალას და გარემოთა სომხითსა ქართლისასა მამულსა შინა თავადთა მელიქი-შვილებისათა და რომელნიმე სამეფოთა მამულთა შინა. მოიყვანნა საბერძნეთით ბერძენნი მრავალნი, დაასახლა ახტალას სამეფოსა ადგილსა შინა საქართველოსა სრმხითისასა და ესე ბერძენნი ყოველნივე იყვნეს ხელოვნებითა მეტალთა ოქროსა და ვეცხლისა გამამდნობელნი და ვითარცა იწყეს მუშაობა მადნისა, ფრიად მრავალი სარგებლობა მოსცა ხაზინასა მეფისასა ამა მადნებისა ძებნასა შინა და მუშაობისა ესმსა ჩამოვიდა თვით სულეიმან ფაშა ახალციხისა დიდის ჯარით და მოადგა ქარელის ციხესა. ერთი დღე ადგა, მეორეს დღეს მიეშველა ჯარი ქართლისა ამილახვარისა რევაზის მძღვანებლობითა და მივიდა რა ჯარი რუისისა მტკვრის პირით, წარსდგა გორათ მაღალთა ზედა, რომელიც ქარელის პირისპირ მდებარეობს და ახლეს რა ქარელით ოსმალთა ჯარმან ესე და მტვერი დიდი ჯარისა, უთხრეს ფაშასა სულეიმანს, ვ(ითარმე)დ მეფე ერეკლე მოეშველაო ჯართა ქარელს. აიყარა მსწრაფლ და ვითარცა მეოტი ივლტოდა, რომელ ვერღარა გაუსწრა ჯარმან ქართლისამან ქარელისა არეთა, გარნა იყო მარადის ავაზაკობა ოსმალთა და ლეკთაგან და რბევა სხვათა და სხვათა ადგილთა (ინ)ა საქართველოსათა და მეფეცა ერეკლე სდევდა მათ, ამარცხებდის, ხოცდის და სდევნიდის.

აქა მძას შინა ისტორიასა ამას ადგილსა აკლია მრავალნი შემთხვეულებათათვის და განვლილთა საქმეთა. ღირსსახსოვარნი საქმენი მრავალნი მეფის ერეკლესნი დაუკლია მწერალსა ანუ არა სცოდნია.

კვალად მოერთვა ამბავი მეფესა ირაკლის, დაღისტნის ჯარი შეუყრია ფირბუდალ ბელადსაო და ალაჯანს განოვიდაო. მისთვის წაბრძანდა მეფე ერეკლე ჯარით და სამგორის გზა შეუტრა, დახუდა ღამე და დიდად დაამარცხა და მრავალნი ლეკნი მოსწყვიტნეს.

კვალად იმყოფებოდა რა მეფე ქიზიყს, გამოვიდნენ ქარელნი, თარეში გამოუშვეს. გაუხდა მეფე ერეკლე თვისის ამალითა და მდევრისკაცითა და ძლიერად დაამარცხა. ხოლო ესევეთარნი გამარჯვებანი მეფისა ირაკლისნი ურიცხვნი არიან და ამაღ ყოველნივე ვერ მოვიხსენეთ, არამედ იგი აღვრიცხეთ, რომელი ღირსი ხსოვნისა იყო და სხვანო მრავალნი წერილნი გამარჯვებაები დავიდუმეთ. თუმცადა სულეიმან ფაშა მარადის ოსმალთა და ლეკთა უსევედა ქართლსა, მაგრამ საქართველოსა ახალციხის მესაზღვრე ქართველნი თუ თათარნი, ესენიცა ბრძანებითა მეფისათა არბევდეს ახალციხისა ქვეყნებს და სულეიმან ფაშა არა დასცხრებოდა მარადეჟამ მტერობასა და აბეზლებდა ხონთქარ-

თან მეფეს ერეკლეს მარადის და ამ საქმით სარგებლობდა მრავალს ხაზინის მოტანით ხონთქრიდამ, და საქართველოთ ლეკნი და ოსმალნი რასაც იშოვნინდნენ, იქილამაც სარგებლობდა. და ერწმუნა ხონთქარი ამაზუნდა, რომელ მეფე ერეკლემ ძლიერად შეაწუხნა სამზღვარნი ხონთქრისანი და ამისთვის წარავლინა ხონთქარმან დესპანი თვისი ერანის განმეგებელსა მეპატრონესა ქარიმ-ხანსა თანა და შეუთვალა: „თუმცა ჩვენსა და თქვენსა შორის არს შშვიდობა, რადგანაც შერიგებულნი ვართო, მაგრამ შენ ავიშვია ერთი ლომი, რომელ არს საქართველოს ვალი მეფე ერეკლე, რომელი აოხრებს მარადის სამფლობელოსა ჩემსაო და ამის გამო იხარჯვის ჩემგან არა მცირედი ხაზინაო. მე მეგობრობათ თქვენა გთხოვთ, რომ დააყენოთ ამისთანა მძლავრებისაგან საქართველოს ვალიო“. მაშინ მსმენელი ამისი ქარიმ-ხან ეტყოდა ვაზირთა თვისთა და აღრიბეჟანის ხანებსა: „შეხედეთ მეფეს ერეკლეს, ახლა მე ის როგორ არ უნდა მიყვარდესო, რაც ჩემთვის და ერანისათვის სიმხნე და სამსახური უჩვენებია, იმას გარდა მე ამას უფრო ერანისა და ჩემს დიდებად მივიღებო, რომელ ხონთქარი დააჩოქა და ჩემთან აჩიკლებსო. ამისთანა კაცი ერანის კელმწიფისაგანაც და ერანელისაგანაც დიდად პატივსაცემელი არისო“. მაშინვე მოსწერა წიგნი და განუცხადა სიყვარული, მეფეს ერეკლეს ქარიმ-ხანმა, წარმოუგზავნა ხმალი ძვირფასი ჭავიარით 'ნემკული და ცხენი ოქროსა და მინანქრის იარაღით შეკაზმული. შემდგომად ამისა განიზრახა მეფემან ერეკლე რათა წარავლინოს დესპანი თვისი ხონთქარსა თანა და შესჩივლოს სულეიმან ფაშისა გამო, რომელ მას მოჰყავს დიდესტნით მრავალნი ლეკნი, აძლევს ჭამაგირსა და უსევს ქართლისა სოფლებსა და ეგრეთვე ჯარსა თვისსა ახმარებს და რბევითა და ქურდობითა ფრიად აწუხებენ ადგილთა საქართველოსათა. წარავლინა მირზა გურგინა* საკუთარი მდი-

* მირზა გურგინას პაპა, ტფილისელი მოქალაქე ენაყოლოფაშვილი, ყოფილა ჩვეიძრო ტფილისისა. ოსმალობას აყრილა ტფილისიდან და ყარაბაღში გარდასახლებულა და იქილამ სპარსეთში თურმე დავიდოდა, მრავალს იქაურს სახელოვანს ხანებს იცნობდა. ამ მირზა გურგინას ბებიას თამარ-ხანუმ კჳმევიო. ასეთი დედაკაცი ყოფილა, რომ იქაურის ყიზილბაშის ცოლებთან მიჩნეული. თითონ ყვენის ნადირშას არამშიაც ცნობილი დედაკაცი ყოფილა და პატივით მიღებული. როდისაც ჩვენი ბატონები და დედოფალი თამარ ნადირშას დაუბარებია და ხლებია, ნადირშასთან და იმის სახლულებასთან დიღმანჭათ, ისე იგი ლაპარაკის მთარგმნელათ ეს თამარ ხანუმ ჰყოლია. თამარ დედოფალს დიახ კარგათ უმსახურნია და დედოფალი თამარ დიახ თურმე სწყალობდა. ყვენის ცოლებიც თურმე სწყალობდენ იმ დედაკაცსა. პირველად ის დედაკაცი თამარ ხანუმ მეფის ერეკლეს დას ქეთავან ბატონისშვილს, რომელიც ნადირშას ძმისწულს ადილშას ჰყოლია ცოლად, იმას გაუცნობებია ყვენის ცოლებისათვის. ქერიეი ყოფილა. ნადირშას ჭამაგირი გაუჩენია და თავის არამში ჰყოლია. ის დედაკაცი ქრისტიანე სომხის სარწმუნოებისა ყოფილა. ამას რძალი, შვილი და შვილიშვილები ყარაბაღში დარჩომია. შვილი და რძალი დახოცია. მირზა

ვანი. თვისი ენისა სპარსულისა და თათრულისა და არაბულისა მთარგმნელი და მწერალი იყო ესე მრავალსა ენასა ზედა განსწავლული და ფრიად ჰკვიანი კაცი სწავლული და ერდგული მეფისა, რიტორი და სიტყვიერი კაცი. ბატონებიც თურმე სწყალობდნენ. გაისტუმრეს ხონთქართან კონსტანტინუპოლეს. მიიღეს დიახ დიდის პატივით ხონთქრის კარზედა, როგორც იმათი წესია. ყოველი სიტყვა ვეზირ აზაის მეფის ერეკლესი განუცხადა. ვეზირმა მეფის ერეკლეს სიტყვას დიახ პატივ სცა. მირზა გურგინა შეიყვარა, მოიწონა ამისი სიტყვიერება და ლაპარაკი და დიდი პატივი მისცა. უმეტნავესად ამისთვის, რომ ოსმალთ მეფე ირაკლედ დიდს განრემზომად და ძლიერს კაცათაც მიაჩნდათ და სახელოვანად და ყოველს ხონთქრის საბრძანებელში იმისი სახელო იყო (მეფის ერეკლესი) განფენილი. თვითონ ხონთქარსაც დიდად მოეწონა, მრავალი იმედი და წყალობა უბრძანა და დააბარა მეფეს ერეკლესთან. მოსცეს ფარმანი და ბრძანება და კაცი სულეიმან ფაშასთან, რომ აღარც ლეკნი მიუშვას ახალციხის მამულში და რაც ლეკნი იყოს, სულ დაითხოოს და გაყაროს იქიდან და რაც ტყვე ოსმალ ან ლეკო ჰყვანდეს სულ განათავისუფლონ და მეფეს ერეკლეს გაუგზავნონ. მეფეს ერეკლეს მოსწერა დიახ წყალობანი სიტყვები, უბოძა ქურჭი ძვირფასი და ცხენი სრულად ოქროს აღკაზმულობითა. მოვიდა მრავლის ხონთქრის წყალობით აღვსილი მირზა გურგინა, ხონთქრის ბრძანებით და ფარვნით პირველად ახალციხეს. მოუტანა ხონთქრის მუსალიმმა ბრძანება მეფეს ერეკლესთან მშვიდობისა, ტყვეებისა მიცემისა სრულიად და ლეკთ მუნითგან განყრისა მაშინვე, რაც უწინარეს ამისსა ანუ რასაც დროს ტყვეები წაესხათ გლეხთა, გინა რომელთამე თავადთა სახლისაგანნი, სულ ერთობლივ რომ ერთიც აღარ დარჩა, მოაგროვეს და განათავისუფლეს და წარმოუვლინეს მეფეს ერეკლესა. ლეკნი სრულად გაყარეს ახალციხის ადგილთაგან, რომ ერთიც აღარ გაუშვეს. წამოვიდა მირზა გურგინა, აახლა ფაშამან სულეიმან თავისი სანდო კაცია მეფესა მშვიდობისათვის.

გურგინა და იმის ძმები ობლად დარჩომილან წასულან სპარსეთის ქვეყანაში, მრავალი უეღიათ, მრავალს ადგილს ენები კარგად უსწავლიათ და სპარსული საკრავები და სიმღერა; მირზა გურგინა დიახ უცხო სეთარისა ჩვენში რომ დამბურას ეძახიან, იმისი დამკვრელი ყოფილა. მოსულან ჩვენს ქვეყანაში, მეფის ირაკლის ძეს მემკვიდრეს გიორგის ხლებია, კარგად მიუღია და თავისი მირზობა უბოძებია. გაუშინჯავსთ, რომ მართლა გონიერი და ჰკვიანი კაცი არის და პატივი მიუციათ. საკრავებითაც თურმე შექცევდა ბატონებს, მერე მეფეს ერეკლეს თავისი მირზობაც უბოძებია და ბოლოს ეამს ვეზირობის ხარისხშიაც აუყვანია. ორი ძმა ჰყოლია: ერთი მირზა მისეილა, ისიც მეფე ერეკლეს ხლებია და ერთი აზარია, ის ისე მსახური კაცი ყოფილა (თეიმურაზ ბაგრატიონის შენიშვნა).

მოვიდა მირზა გურგინა მოართვა ხონტქრის ნაწყალობევი მეფესა და იყო სიხარული და მხიარულება და ყოველივე აქებდეს მეფესა ერეკლეს. თუმცა სულემან ფაშა დასცხრა მას ქამად და ლეკებს ახალციხის მამულში აღარ უშვებდა, რადგან ხონტქრის ფიცხელი ბრძანება ჰქონდა, მაგრამ ლეკნი ტყეთა, მათა და უშენთა ადგილთა იმალებოდეს. და კიდევ ავაზაკობდეს საქართველოს ადგილთა შინა.

ამისა შემდგომად მოიგონა ღონისძიება ახალი მეფემან ირაკლი და აღსწერნა და განაწუნა ყოველი ხელგამომავალი სამეფოთა თვისთა კაცნი მებრძოლნი თავადთაგან, აზნაურთა და გლეხთა, რომელ ყოველი აღწერილნი ბრძოლისა კაცნი აღნიშნულთა თვეთა შინა იყვნეს თანამდებ მორიგეობისა თვისისა. აღსრულებასა ზაფხულისა ექუსთა თვეთა თვითოეულსა თვესა შინა ექვს-ექვსი ათასი კაცი მორიგე ქვევითი და ცხენიანი, კარგის სამხედროს ყოვლის სახმარებით და თავიანთის ერთის თვის ნულთით დასდგებოდეს განმზადებულნი მტერთა ზედა, სადაცა ებრძანებოდათ მეფისაგან, მარჯვეთა ადგილთა. დაეწერა თვით მეფე ერთსა თვესა მორიგეობად. და გარდა ერთისა მის თვისა ოდესცა საჭირო იყო მიბრძანდის, დახედის ჭარსა და მრავალგზისა დაესწრის ბრძოლასა შინა.

მეორეს თვესა განუწესა პირველი ძე თვისი მემკვიდრე საქართველოსა მეფის ირაკლის ძე გიორგი, მესამისა თვის მორიგესა შინა სარდალი ორბელიანი და სიძე მეფისა ირაკლისა დავით, მეოთხესა ამილახვარი, მეხუთესა... და ესრეთ შემდგომითი ცემდგომად.

ზამთრით ექვსთა თვეთა სამ-სამი ათასი მორიგე იყვის მზად და ამათაც სარდალთა და ჩინებულთა კაცთაგან კარისა მეფისათა ჰყვათ მოთავენი.

ამას შინა იწყოცა მეფემან არტილერიისა, ესე იგი თოფხანისა, ევროპიულსა გვარსა ზედა გაწყობა და დია ჩინებული არტილერია გამართა. აღეზარდა მეფესა ირაკლის წარსაგებელითა თვისითა თავადთა ძენი როსიასა შ(ინ)ა არტილერიისა სწავლითა და მათ შორის გამოვიდა პირველი ხელოვანი თავადი ანდრონიკაშვილი პაატა და უხუცესი განმგეობა არტილერიისა, ანუ ფელციხმეისტრობა, რომელსა თოფხანაშად უხმობდნენ, მისცა მას და განუწყო ყოველივე მოხელენი და მსახურნი ცეცხლსაროლეთანი ევროპიულად. ოდესცა წლითი-წლად მეფესა ჰყვანდეს მორიგენი მხედრობანი, იგინი მარადის მდგომარე იყვნეს გამოსავალთა ადგილთა პირსა ლეკთა და სხვათა მტერთასა. მრავალგზის მიიღეს ძლევა-შემოსილება მტერთა ზედა მეფის ძეთა-გიორგიმ და ლეონმან ხვედრთა თვისთა, მორიგეობასა შინა და ქმნეს სახელოვანნი საქმენი ვ(ითარ)ცა სვენოდა ძეთა მეფისა ირაკლისათა და

3 აქ გამოტოვებულია ადგილი სიტყვის ჩასაწერად.

ეგრეთვე სარდართა, მხედართმთავართა და განმგებელთა მეფისა ირაკლის მხედრობისათა. ესევეთარი განწესებულეობა, რომ მარადის ამარცხებდის ლეკთა, იხილეს რა, შეშინდეს ფრიად და ვერღარა იკადნიერეს რბევა და ოხრება და ავაზაკობა. შემოვედრნენცა მეფესა ერეკლეს დაღესტნის პირველნი ბელადნი და მმართველნი მათნი ჯათვით ომარ-ხანცა, ხუნზახის ბატონი. სთხოვეს ჯამაგირნი და წყალობა მეფესა, აღუთქვეს ერთგულება. შემოირიგნა მეფემან, დაჰპირდა წყალობასა, განუწესნა ჯამაგირი საზომისაებრ. დამწვიდდა ფრიად საქართველო, ქართლი, კახეთი. დაიწყეს მოოხრებულთა დაბნებთა შენებად და სოფელთა და ციხეთა დნ მრავალნი დაბანი და სოფელნი აღეშენნეს ქართლსა, კახეთსა და სომხეთ-საბარათასშვილოთა, ეგრეთვე ორბელიანთ მამულსა, გინაქსხვათა, სადაცა რა წამხდარ იყო მტერთაგან. მადლობდეს მეფე და ერი მისი ღმერთსა და იხარებდეს.

წელსა 1760-სა, ქ(ორონი)კ(ონ)ს უფმ, ერევნის ხანი უსეინ-ალი-ხან უკუდგა და არღარა მისცა ხაკი. წარგზავნა მეფემან ირაკლი თავადი თარხნისშვილი ყორიასაულ-ბაში ზაზა და განუახლა ყოველი შრომა თჳსი და სისხლდათხეულობა ქართლისა და კახეთისა ერევნის დაბნისათვის მტერთაგან და თვით ამ უსეინ ალი-ხანისათვისჴხანობის მიცემა, თუ ვითარ მისცა ხანობა ერევნისა მეფემან ერეკლემ. თუმცა ესე ყოველი ყოფილი და მას ზედა და ერევანსა ზედა მოჭირნახულეობა განუცხადა ერევნის ხანსა, ვ(ითარ)ცა აქვნდა ბრძანებული მეფისა ერეკლესაგან, მაგრამ არარა უსმინა ზაზა ყორიასაულბაშსა, ვინაიდგან მას ჟამსა ერევნისა ხანსა აქვნდა სიმდიდრე და ძალი განმრავლებული. უარჳყო ყმობა მეფის ერეკლესი და შემოუთვალნა სიტყვანი მკვახენი უმორჩილობისა. მოერთვა რა ამბავი ესე მეფესა ერეკლეს, ბრძანა შყის ზმოწვევა ლაშქართა ქართლისა და კახეთისათა მოიყვანნა ლეკნიცა რაოდენნიმე ათასნი და წარემართა მეფე. ამასვე წელსა თვესა აგვისტოსა მიბრძანდა ერევნისა მამულსა შინა და დასდგა შირაბათს დაბასა, რომელი შორავს ერევანსა სამისა მილითა (ანუ ეჯითა). და იწყო ჯარმან რბევად ერევნისა და აღარსად დარჩა შენობა ს(რუღია)დ ერევნისა მამულსა შინა, გარდა ერევნისა და ეჩმიაწინისა.

ამასვე დროსა შინა დამორჩილებულ იყვნენ მეფისა ერეკლესა განჯა, ყარაბაღი დ მოერთვნენ მუნით ჯარნიცა რაოდენნიმე ათასნი. მაშინ ერევნით ლტოლვილნი ელნი წარსრულ იყვნენ ბაიაზეთს ოსმალთა სამპყრობელოსა შინა. გაისტუმრა მეფემ ერეკლემ თავადნი რაოდენნიმე და ჯარი გაუსივა და მოარბივეს სრულიად მამული ბაიაზეთისა და მრავალი ტყვე და საქონელი წამოასხეს. მოეწია ამა ჯარსა ქურთთა ლაშქარი. გაუბრუნდნენ ქართველ-კახნი და იკრეს ხმლებს ხელი. შეუტივეს, გააქცივეს ქურთნი, დაერივნენ შინ და მრავალნი მოსწყვიტნეს და ზოგნი ცოცხალნი შეიპყრეს, წამოიღეს უთვალავი ნაშოვარი და

ტყვე. დაემორჩილნეს ყოველნი ადრიბეჯანის ხანებო მეფესა ერეკლეს და წარმოუვლინეს მოსანდონი კაცი თვისნი და მოართვეს მრავალი ტურთა და ძვირფასნი ფეშქაშნი თავრიზის ხანმა, ხოის ხანმა, ურუმის ხანმა, შალალის ხანმა, მარალის ხანმა და ბაიაზეთის ფაშამან და ყარსის ფაშამან. დაჰპირდნენ მეფეს ერეკლეს მორჩილებასა და სამსახურსა. ეგრეთვე მოერთვა და დაემორჩილა ყმად მეფესა ერეკლეს ერევნის მამულში მდგომი შამდინ-ალა თვისით ქურთთა ელებითურთ. და ესე შამდინ-ალა იყო ძლიერი და შემძლებელი კაცი და მრავალთა ქურთთა მეპატრონე. მიიღო პატივით მეფემ ერეკლემ ელჩი ამა წინხსენებულთა ხანთანი და ეგრეთვე შამდინ-ალა. თითონ დაუიმედა წყალობა ყოველთა. მოვიდა შორავლისა ყარამან სულთანი, სთხოვა მეფესა ერეკლეს შეცოდებისა მიტევება და აღუთქვა ფიცით და თავსმდებებით, რათა საუკუნოდ არღარა იკადნიეროს ერევნის ხანისა მორჩილება, გინა ბრძანებისა მისისა გაგონება, ჴრამედ როგორათაც შორავალი მარადის საქართველოს მეფეთ ყმანი ყოფილან, ეგრეთ ემორჩილებოდეს მეფესა ერეკლეს. და თუ მუხანათობა ან სიმტყუნე რამ შეაჩნდეს. გარდახდეს და დაისაჯოს როგორათაც მეფეს ნებავს, რადგანაც შორავალი საქართველოს მამულია, დაიმკვიდრა მეფემან საუკუნოდ.

ესეოდენ განძლიერდა მეფე ერეკლე ყამსა მას და განდიდდა; ელოდნენ ერანელნი, უთუოდ გახელმწიფდებოდა და ერანის ქვეყნებსაც დაიჭერსო. აქვნდათ ცნობა მეფის ერეკლესი ნადირშასთან ყოფისა. ესმოდათ მარადის სიმხნე-ქველობა მისი და ვერც არავის ხედავდნენ მოპირისპირედ მეფისა ერეკლესსა და ამისთვის დიდად ფიქრობდნენ და ყოველთვის მოლოდება ჰქონდათ, ერანისაკენ წარმოვოა. ესეოდენთა მიზეზთა გამო შეამჰვიდროვეს დიდად ერევანი. დღესა ერთსა წარვიდა ბრძანებითა მამისა თვისისათა მეფის ძე გიორგი, მემკვიდრე სრულიად საქართველოსი, მცირედითა კაცითა ცხენოსნითა დასახედავად და განმსტრობად ციხისა. მაშინ იხილეს რა ერევნელთა, იმედგარდაწყვეტილთა წყალობისაგან და გულისმობრუნებისაგან მეფისა მათ ზედა, იხილეს რა მახლობელ ქალაქისა და ციხისა ერევნისა მცირედნი ვინმე მხედარნი ჯარისაგან მეფის მისრულნი, გამოუხდეს ციხით, ვინადგან მტერნი უფრო ახლოს იყვნენ ციხისა, ვიდრეა მეფის ძე თვისთა ჯართა. ცხენოსანნი კაცნი გამოუხდეს ათასზე უმეტესი. და ესენი იყვნეს ორასზე ნაკლებნი, მაგრამ ეგრეთცა არა შეუშინდა მათ მეფის ძე გიორგი და არცა გამოექცა, ვინადგან ჴაბუქსა ამას შორის ყოვლითურთ არა იყო შიში არაოდეს უმრავლესთაგანცა მებრძოლთა. ახლდეს თან რჩეულნი თავადთა ძენი და გულოვანნი კაცნი მახლობელთაგან მსახურთა მეფისათა და თვისთა. აღუზახნა ამათ შეტევა მტერთა ზედა და ძლიერად ბრძოდა, გარნა-წარავლინა მეფისა მიმართ ორნი მარჯვენბ

ცხენოსანნი, რათა მოიშველოს ჯარი, ხოლო მეფემან სამასითა ოდენ
კაცითა მსწრაფლიად მოაშველა ძმა თვისი, ლომი იგი ბრძოლასა ში-
ნა სახელითცა ლეონ, ძმა მეფის გიორგისა საყვარელი, და თვითცა
სხვითა მხედრობითა ნელიად სლვითა უკანა შეუდგა. ემატებოდა ერეკ-
ნისა ჯარსა ფრიად და რაოდენცა მოუტანეს ძლიერი ატაკა განსდრიკ-
ნა და ლტოლვად მიაქცივნა იგინი მეფის ძემან გიორგი და არა დაუტე-
ვა ადგილი იგი, ვიდრემდის მივიდოდა ძმა მისი ლეონ, მასვე ადგილსა
მიუცილებლად სდგა ვეფხებრ მკისკისებელი და მფრეწელი მტერთა.
ნოვიდა რა ლეონ, საყვარელი ძმა კატრფიალოსა მიმართ ძმისა მომშვე-
ლებელი, ესრეთსა სიფიცხლესა და ძნელსა ბრძოლასა შინა მოემა-
ტათ სიმხნე წინამოსრულთა ბრძოლათა, მიუტანეს შეერთებულთა ამათ
იერიში (ესე იგი ატაკა), განსდევნეს და მიყარეს მახლობელად ციხისა,
არამედ ჯერეთ მისვლადმდე მეფისა ერევენელნი ყოველნივე მებრძოლნი
გამოვიდეს და იყვნეს მტერნი ათზომად უმეტეს მეფის ძეთა მებრძოლ-
თაგან და იგინი იყვნეს სიმაგრეთა და მით ჰფარვიდეს თავთა თვისთა
და რაოდენ გზისცა გამოვიდეს და შემოუტივეს ამათ მეფის ძეთა ჯარ-
მან ეგრეთცა სძლია მათ და მიჰყარნა ვიდრე კედლამდე და ნაშენო-
ბაებადმდე ციხისა და კლდეთა. იბრძოლეს საათსა სამსა და ვერ შე-
უძლეს ერევენელთა ძლევა მეფის ძეთა. მობრძანდა მეფე ირაკლიც
ჯარითა თავისითა და პირისპირ ციხისა დააყენა კლდეთა თავსა გამოლ-
მით ზანგისა მხედრობა თვისი. დასჯდა გორასა ერთსა მას კლდისათა,
ჰსჭვრეტდა მუნით და მრისხანებდა ერევენელთა ესეგვარისა კადნიე-
რებისათვის. ეამსა მას იცნა ვინმე ციხილამ კაცმან ერთმან მეფე ირაკ-
ლი ღურბინითა და მოუმართეს ზარბაზანი, ესროლეს და სადაცა ჰსჯდა
მეფე, მოზვდა წინა მისსა კლდესა წინამდებარესა, რომელსაცა ზედა
სჯდა მეფე ერეკლე და განერა მოწყალებითა და საფარველითა
ლ(მრ)თისათა ესევეითარსა განსაცდელსა განსაკვირვოდ, ვინადგან სა-
დაცა ტყვია იგი ზარბაზნისა მოხვდა, საშუალ მისსა და მეფისა არცა-
ლათუ ერთი ადლი იყო სიშორე, მაგრამ ეგრეთცა არა შედრკა მეფე,
არცალათუ დაიძრა ადგილისა მისგან. მყის უბრძანა მხედრობათა და
ქვევითთა თვისთა მისვლად, გაუხდენ მებრძოლსა მას ჯარსა, მყის შე-
მუსრეს აოტნეს და რისხვა ლ(მრ)თისა დასცეს მათ ზედა. მრავალნი
მოსწყვიტნეს და შეიპყრეს ცოცხალნი და სხვანი შეცვიდეს ციხესა
და შეიხშნეს და ვერღარა იკადნიერნეს მიერ დლიდგან გამოსვლად სა-
ბრძოლველად, თუმცა ერევენელთა მას დღესა ვერა ძალ ეღვათ ეგრე
ხანგრძლივ ბრძოლა, მაგრამ ერევენის ხანსა ჰყვანდა ციხესა შინა ჯამა-
გირით დაჭერილნი ლეკნი და იგინი აძლევდეს ძალსა ერევენელთა, გარ-
ნა ამო იქმნნეს ყოველნი წინააღმდეგობანი მათნი და შემუსრნა იგი მე-
ფემან ერეკლე. უბრძანა მეფემან ირაკლი, რათა ყოველმან ჯარისკაც-

მან გაიკეთონ სახლი თავთავისათვის საზამთროდ, რომელ ყოვლითა მხედრობითა თვისითა მეფე ირაკლი დასდგების სამთრიე ერევანს.

ხოლო სცნეს რა ესე ერევნის ხანმან და ერძან მისმან, შეძრწუნდეს ფრიად. ევედრა უსეინ ალი ხან მეფეს ერეკლეს, შემოუყენნა მეზობელნი თვისნი ხანები და ფაშები, ითხოვა მიტეგება, დაუმკვიდრა თავი თვისი ყმად მეფესა ერეკლეს, დაიდვა ხარკი — თეთრი ფულა ექვსი ათასი თუმანი წელიწადსა შინა, რომელიცა იქმს სამოცი ათასსა რუბლსა მრთელსა ვერცხლისასა, ხუთასი თუმანი სხვა, მისართმევად დედოფლისა და ხუთასი თუმანი კარისკაცთათვის. და გარე ამისსა წლითი წლად მორთმევა ფეშქაშისა განწესებისამებრ ერანის ქვეყანისა ესე ყოველი თავს იდვა ერევნის ხანმან უსეინ ალიმ, თუმცადა ძალედვა მეფესა ერეკლეს აღებაცა ერევნისა ციხისა, მაგრამ ამის მიზეზისათვის არლარა ინება, პირველად, ებრალებოდაცა ცოლ-შვილით დატყვევება ერევნის ხანისა, მეორედ, თუ ციხეს აიღებდენ, აიკლებოდა ერევანი, დატყვევებოდა ხალხი, მოეშლებოდათ ცხოვრება და ვიდრე შეორედ დასახლებადმდე მათდა და აღშენებადმდე მეფეს მისაცემელი და ხარკი მოაკლდებოდა და თავისი ხარკიც უნდა ებოძებინა, რომ პირველს მდგომარეობაზე მოეყვანა ქალაქი. შეირიგა მეფემან უსეინ ალი ხან, მიუტევა ცთომბა და წინააღმდეგობა თვისი. იახლა მეფესა უსეინ ალი ხან, შთააცვა ხალათი მძიმე, უბოძა რაყამი ერევნის ხანებისა, ვითარცა არს განწესება სპარსული, შემოახვიეს თავსა შალი თირმა, შთაურქვეს თავსა შინა, ვითარცა ჯილა, რაყამი მეფისა. დაბრძანდა მეფე, მოეყვანეს აუღენციით ერევნის ხანი სალამში, თაყვანის სცა მეფესა ერეკლეს და ძეთა მისთა. უბრძანა მეფემან, დასვეს ღირსეულს ალაგს. განაწესა მეფემან ერევნის მოურაად სიძე თვისი მუხრანის ბატონი იოანე — კონსტანტინე მუხრან-ბატონის შვილი, რათა წლითი წლად აღიღებდეს ხარკსა ერევნისასა და რაცა იყოს სათხოველი მეფესა თანა ხანისაგან ანუ ერევნელთა ხალხისა, ყოველსავე მოახსენებდეს მეფესა. წამობრძანდა. მუნით მეფე, ხანი დაუტევა მუნვე ერევანს, მისცა ბრძანება და რაყამი უშიშროებისა ერევნის ხალხს, რომელნიც გაქცეულნი იყვნენ და სამზღვარსა გარეთ გასულნი, შემოვიდნენ უშიშრად მამულთა თვისთა და დაემკვიდრნეს თვის-თვისსა ადგილსა. ღიმედა ერევანის ნანს წყალობანი დაუდვა იმედი, მისცა მცნებანი და განწესებანი, თუ ვითარ იქცეოდეს. წამობრძანდა მუნით. მობრძანდა ეჩმიაწინს. მოეგება არქივატერი, ვითარცა აქენდათ ჩვეულება ქრისტიანე მეფის მოგებებისა, ყოვლის თავისის სამღვდელოს დასითა, დიდებითა დიდითა, ხატითა და ჭვართა. შეუძღვა არქივატერი საყდარსა შინა ეჩმიაწინისასა. მოახსენა შესხმა, თვით გარდინხადეს წესისამებრ მათისა სამადლობელნი ლოცვანი. ემთხვია მეფე წ(მილ)ათა ნაწილთა და წ(მილ)ასა ლახვარსა ქრისტესსა. მუნით აბრძანდა პალატსა შინა.

არქივატერმან ისტუმრა. მრავალნი ფეწქაშნი ნივთნი და თეთრი მოართ-
ვნა. ძელისა ჭეშმარიტისა ნაწილნი და წმიდისა გრიგოლისა სომხითის
ეპისკოპოსისა, რომელმაცა მოაქცია სომხითი პ(ირველ)ად ქრისტეს
სარწმუნოებასა ზ(ედ)ა, წ(მედ)ისა დიდისა მოწამისა რიფსიმას თავისა
ნაწილისაგან და წ(მიდი)სა და ღმერთშემოსილისა მამისა იაკობისა.
გასინჯა მეფემან პალატნი, სასწავლებელნი, პალატნი და შესაკრებელნი
მათნი და მუნით მრავლითა მხიარულებითა წარმობრძანდა საქართვე-
ლოსაკენ.

აპყარნა სომეხნი ზოგნი ერევნით და გარდამოასახლა საქართველო-
სა ადგილთა, რომელნიცა ვიდრე აქა ჟამადმდე დაშთეს საქართველოსან
შინა.

მეგრ ჟამითგან ვერღარა იკადრა ერევნის ხანმან მცირედიცა რა-
მე წინააღმდეგობა მეფისა და იყო მორჩილებასა მარადის, ვითარცა
ერდგული ყმანი სხვანი სამეფოსამისისანი და წლითი-წლად პოსტემ-
და ხარკსა უკლებრად და ოდეს აღშენდა ერევნისა მამულნი, მამინ ნო-
უმატა კიდევ ხარკი მეფემან ერევანსა ყოველსა შინა სიცოცხლესა მე-
ფისა ირაკლისასა.

და შემდგომად მეფისა ირაკლისა, მეფობასა შინა მეფისა გიორგი
მეათეამეტისა, მეფე ერეკლეს ძისათა, ვიდრე მმართველობამდე
როსიისა საქართველოსა ზედა წლითი-წლად უკლებლად აღიღებდეს
განწესებულსა ამას ხარკსა მეფე ერეკლე და მეფე გიორგი ერევნით
ყოველსა ჟამსა შინა სიცოცხლისა მათისასა და ხანთაცა ერევნისათა
დაადგინებდეს თვით მეფენი, რომელიც ენებათ.

ჯერეთ ერევანს ყოფასავე შინა მეფისა ერეკლესა მოერთვა მე-
ფისა ამბავი საქართველოდამ, რომელ ალექსანდრე ბაქარის შვილი,
ვახტანგ მეფის შვილის შვილი, იმერეთს მოვიდაო და იქილამ ცდილობ-
სო, რომ რომელნიმე ქართლის თავადები მიიზიდოსო და ქვეყანა უნ-
და ავიროსო.

თუმცა ესე ესრეთ იყო, მაგრამ მეფე ერეკლე დარწმუნებული
ბრძანდებოდა, თავისი ქვეყანა და ხალხი მეფეს ერეკლეს და იმის
სახლს არ უღალატებდა და ამისთვის მეფეს შიში და საფიქრებელი
გულსა შინა არა აქენდა რა- ის თათრის შვილი იყო და მეფე ირაკლი
მართლმორწმუნე და მართლმორწმუნის მეფის, ცხებულის თეიმურა-
ზისა და საკვირველად და ღირსსახსოვრად საქართველოზედა და სა-
ქართველოს ხალხზედ თავდადებით მოჭირნახულის მეფის შვილი და
საქართველოს ხალხი ამისთანას მოჭირნახულეს და თავდადებულს,
ძლიერს, შემძლებელს და მოწყალეს მეფეს, როგორც რომ ეს მეფე
ერეკლე ბრძანდებოდა, სად იშოვნინდნენ და ან სხვას ვისმეზედა რი-
გორ გასცვლიდნენ.

განაჩარვა ღმერთმან საცთური ბაქარის შვილისაცა და იმათიც, ვინც მეფის ერეკლეს წინააღმდეგობას სურვილობდნენ და მეფე ერეკლე თავის ტახტზე და თავის სისხლით ჭირნახულს ქვეყანაზე ყოვლითურთ თავისუფლად და დიდებით სცხოვრებდა.

წელსა ქ(ორონიკონ)ს⁴ იწყო კვალად სულეიმან ფაშამან ახალციხისამან შურისა და ძვირისა ყოფისა ხელყოფა. იწყო იღუმალ საქმობად ყარაბაღის შუშის ხანს ფანა ხანის შვილის იბრეიმ-ხანსა თანა და დლისტანში ომარ-ხან ავარიისა (ესე იგი ჭუნძახის) ბატონსა თანა და თან წარხდა ბრძანებასა ხონთქრისასა. და იგივეყა ერთობა და შერიგება უარპყო. ასტეხნა კვალად ლეკნი მარბეველად ქართლისა, რომელიცა მართლობდა თავსა თვისსა მეფეს ერეკლესთან, რომელ რეცა არა იყოს ბრალი მისი ლეკთაგან ქართლის რბევისა. ამ ჟამში, ოდეს ლეკნი ახალციხის მხრით ავაზაკობდნენ, მოუკვდა ერეკლეს სახელოვანი და მრავალს ბრძოლაზედ დიდად მხნეთ გამოჩენილი შვილი თვისი ლევან. ესმა რა ესე ფაშასა ახალციხისასა, სთქვა: ხნიერებისა ჟამსა მეფესა ერეკლეს მხარი მოეშალაო, რომ ამისთანა ვაჟკაცი შვილი მოუკვდაო, რომელიც საქართველოს ოთხკუთხე ფარდა იყოვო, და ახლა ქართლს ფარდა აეხადა პირსაო. მაშინ უმეტეს განიგულვა სულეიმან ფაშა ქართლის ოხრება. მეფე ირაკლი ფრიად მგლოვიარებდა სასურველსა მის ძესა თვისსა, ღირსსა გლოვისასა, დასტიროდეს ყოველნივე დიღნი და მცირენი უზომოსა მწუხარებითა ესევეთარისა მხნისა და კეთილისა მეფის შვილისა თვისისა დაკარგვისათვის. ამას შინა ვინადგან რუსეთისა კარსა აქვნდა ხშირად ლაპარაკი მეფეს ერეკლეს თანა და სცნა რა იმპერატრიცა ეკატერინამ წინაქმნილნი და შემდგომნი ესე ახალციხის სულეიმან ფაშას მიზეზით ლეკთაგან ესეოდნნი სიაკვაცენი ქართლისა მამულსა შინა, წარმოუვლინა მეფეს ერეკლეს ორი ბატალიონი სალდათთა თვისთაგან და მინისტრად პოლკოვნიკი⁵. ამაზედ უმეტესად გააკვაცდა ახალციხის ფაშა და სხვათა აღრიბეჯანის ხანებთაც მიეცათ შიშნეულება დიდი მეფის ერეკლესაგან რუსეთის ჯარის მოყვანისათვის, ვინადგან ეგონათ მეფე ერეკლე ძალათ დაგვიპყრობს რუსების ძალითა და წაგვახდენსო და ჩვენს რჯულსაც მოგვიშლიანო, რადგან რუსები და მეფე ერეკლე ერთი რჯულისა არიანო. და დაიწყეს ჩვეულებისამებრ მათისა დინთასლიბი (ესე იგი თავისის სჯულისა, გინა მემსჯულებთა სარჩელა). შექმნეს ხანებმა საიდუმლოდ ერთმანეთთან ლაპარაკი და ერთობა და ეგრეთვე ოსმალის მხარეს ფაშებმა.

ამას ჟამად ეპყრა განჯა და ყოველი მამული განჯისა საყმოდ მეფესა ერეკლეს და შუშის ხანიცა იბრეიმ-ხან ემსახურებოდა და მორჩი-

4. აქ გამოტოვებულია ადგილი ერთი სიტყვის ჩასაწერად.

5. აქ გამოტოვებულია ადგილი ერთი სიტყვის ჩასაწერად.

ლებდა მეფესა და ერთი კაცი შუშის ხანისაც განჯის განმგებელსა, რომელი დაედგინა მეფესა ერეკლეს მდივანბეგი თავადი ენდრონიკაშვილი ქაიხოსრო შემწედ მისსა, ვინადგან მაჰმადიანნი იყენეს განჯის ხალხნი, მეფე ერეკლემ ამ განზრახვით ინება, რომ შუშის ხანის კაცი თანამშემწედ დაუდგინა ქაიხოსრო დიამბეგს, რადგან მეფე ერეკლე შუშის იბრეიმ-ხანს სწყალობდა და ენდობოდა.

დიდხანს ასე ეპყრა განჯა მეფეს ერეკლეს. განჯის ხანი შავერდი-ხანის შვილი ჭავთ-ხან განძებული იყო განჯილამ, რადგანაც ვერაგი კაცი იყო და თავის უფროსის ძმის მამათ-ხანის შემდგომად განჯა მას უბოძა მეფე ერეკლემ მაჰმად-ხან თავის სტიციოცხლეშივე მეფე ერეკლეს ერდგულად ემსახურებოდა, მაგრამ რადგან განჯის ხანმა ჭავთ-ხანმა დრკუობა დაიწყო, მეფე ერეკლემ გააგლო განჯილამა. მერე შეიპყრეს და იბრეიმ-ხანს ებარა ტუსალათ მეფის ერეკლესაგან. ამაში დიდი ხანი გამოვიდა, გაუშვეს ჭავთ-ხან ტუსალობისაგანა და განჯა მეფეს ერეკლეს ეპყრა. შუშის ხანი იბრეიმ-ხან უსწავლელი კაცი იყო და ბრიყვი თარაქმა. თავისი კარისკაცებიც ბევრს ატყუებდნენ, წერილის უმეცარი და განუნათლებელი კაცი იყო, მინდორსა და მთებში დაბაღს, უმეცარს ხალხში გაზრდილი. ამისი კარისკაცები სულეიმან ახალციხის ფაშამ მოისყიდა. ჭავთ-ხანმაც, რადგან ვერაგი კაცი იყო, წიგნით სულეიმან ფაშასთან საქმობა შექმნა და პირობა დაუდგა ჩუმათ და საიდუმლოთ: თუ შენ ამ საქმეში შემეწევიო და განჯას მე მიშოვნო, მე ხონთქრის ყმა შევიქნები შენის შუამდგომელობითაო. იბრეიმ-ხან, სულეიმან ფაშამ და იმისგან მოსყიდულმა იბრეიმ-ხანის კარისკაცებმა გარდააქცივეს, განჯის, ხანმა ვერაგობით განჯელები მოიბირა. განჯელებმა ქაიხოსრო მდივანბეგს ვერაგობით ლაპარაკი დაუწყეს და უთხრეს: „მეფე ერეკლეს მოგვიხსენე ჩვენი მემკვიდრე ხანის შვილი ჭავთ ხან გვიბოძოს ხანათაო“. ქაიხოსრომ მდივანბეგმა მეფე ერეკლეს მოსწერა ეს ამბავი. ბატონმა ქაიხოსრო დიამბეგი დაიბარა განჯილამ: „რამდენიმე ქეთხუდა კაცი წამოიყვანე ჩემთან, ვილაპარაკოთ და თუ მართლა მაგათი ნება არის, ჭავთ-ხანს მე მაგათ მივსცემ ბატონათაო და პირობას დავადებინებო“. წამოჰყენენ ქაიხოსროს განჯელები და იახლნენ ბატონს, მეფემ ერეკლემ ჭავთ-ხანიც დაიბარა, პირობა გამოართო, დააფიცა ერთგულებაზე და განჯა ისევ იმას უბოძა. ჭავთ-ხანმაც სამსახურის სახე უჩვენა. ჩავიდა განჯას, სამსახური და მორჩილება დაუწყო მეფეს ერეკლეს, იბრეიმ-ხანსაც გაუერთდა. ამისა შემდგომად მოუწოდა სულეიმან ფაშამ ხუნძახის ბატონს ომარ-ხანს. ომარ-ხანმა შეჰყარა სრულად დაღესტნის ჭარები, გარდმოვლო კავკასია, ჩამოვიდა ჭარში, შემოიყარნა ჭარელებიც. ალაზანს გამოვიდა ოცის ათასის ლეკით, მოვიდა ქიზიყის მახლობელ ურლოზედ ალაზნის მდინარეს გამოღმა,

მოსხენდა ესე ამბავი მეფეს ერეკლესა, წამოიყვანა რუსთა მხედრობა, თანა ჰყვანდა თავისი ჯარი. დასდგა სიღნაღს, ამისთვის რომ ომარ-ხან სიღნაღზე მოსვლას აპირობდა და მუნ მოელოდა მეფე ერეკლე-ომარ-ხანმა რომ ესე სცნა, უგრძნობელად დამე გაიპარა ჯარით, დედოფლის წყაროზე გაიარა, იორზე გარდედა ბატონმა ეს ამბავი სცნა, გამოუდგა ჯარით, რუსნი მძიმედ დადიოდეს და ველარ მიეწივნენ ლეკთა. გავიდა ომარ-ხან მტკვარსა, მივიდა ახტალის მადანში, ახტალის ციხე აიღო, მადნები აიკლო, ბერძენები ახტალას მდგომნი ანუ ქართველნი და სომეხნი დაატყვევეა, ზოგჯეროგნი კი გაცვივნულ იყვნენ მთებში და მორჩნენ. იქილამ სისწრაფით წარვიდა ახლციხესა. მივიდა სულეიმან ფაშა, მოეგება, დიდის პატივით მიიღო და რამდენსამე ხანს იქ განისვენა ომარ-ხანმა. ამისა შემტკვარად გამოუმძღვარა ჯარსა ლეკისასა ომარ-ხანს. თავისი კაცნი სულეიმან ახალციხის ფაშამ და მოგზავენა სააბაშიოზედა. ვახანის ციხეს შემოდგნენ, აიღეს, ააოხრეს და დაატყვევეს ციხესა შინა მყოფნი და თავადის აბაშიძის ცოლშიღნი დაატყვევეს. შიშველა მეფე ირაკლი თავისის და რუსის მხედრობით, მივიდნენ სურამს, მაგრამ შებმა ველარ მოუხდათ. პირველი მიზეზი ამისი ეს იყო, რომ ამ რუსების ჯარისთავს პოლკოვნიკს ბურნაშოვსა გულოვნება არ ჰქონდა და შესაბამელი ადგილი ცუდი ჰქონდათ, მისავალნი უსარგებლო. ომარ-ხან თავისის ჯარით ახალციხესვე ავიდა, იმ ზამთარს აქ, ახალციხეს იზამთრა და მეორეს წელს შემოდგომაზე ზამთრისპირს გამოისტუმრა ომარ-ხან ახალციხის ფაშამა. ქართლზე ველარ გამოხედა, ეშინოდა მეფის ირაკლის შეხვედრისა, ახალციხილამ წავიდა, მთა-მთა იარა, ერეკლის მთებრს გზით ჩავიდა ყარაბაღშია, იბრემი-ხან შუშის ხანი წინ მოეგება, მიიყვანა პატივით და ყარაბაღში დააყენა ჯარითა თავისითა.

ეს ამბავი რა სცნა მეფემ ერეკლემ, წავიდა რუსთა და თავისისა ჯარებითა, განჯას ჩაბრძანდა, ვინადგან ყაზახისა და შამშადილის ელთავან მრავალნი გაქცეულ იყვნეს და განჯასა და ყარაბაღში ჩასულიყვნენ ცოლშიღლით, იმათი აყრა და უკანვე გამობრუნება ენება მეფესა და ეგრეთვე ომარ-ხანის შეყრა და ბრძოლა სურდა, მაგრამ ის კი მეფეს ერეკლეს რადგან ეშიშვოდა, სულ ერიდებოდა და ისე ცდილობდა სიარულსა, რომ მეფის ერეკლეს ჯარი არსად შემეყაროსო. ომარ-ხანმა ვინც ტყვეები წაასხა აბაშიძის სახლისაგანი, ახალციხეს რომ ავიდა, ზოგნი იქილამ განათავისუფლა სულეიმან ფაშის თხოვნით და ზოგთ მეფის ერეკლეს შეწევნით თავი დაიხსნეს. ეგრეთვე გლეხნიც მრავალნი დაიხსნა ფულით მეფემ, მაგრამ ორი ქალი გაუთხოვრები მაია და ელენე ომარ-ხანმა წაასხა თანა. ევგენ აბაშიძის ქალები იყვნენ.

ერთი ომარ-ხანმა შეირთო უფროსი ცოლათ და მეორე შუშის ხანს იბრეიმს მისცა. იმანაც ცოლათ შეირთო*.

მეფეს ერეკლესთან განჯას მოვიდნენ ყარაბაღის სომხების მელიქები ფრიად მდიდარნი და განძლიერებულნი ყმითა და ციხე-სიმაგრეებითა. იახლნენ მეფეს ერეკლეს და სთხოვეს შეწყენა, რათა უბოძოს მათ ჯარი, აპყარონ ყოველი საყმო თვისი და გარდმოსაბლდენ საქართველოში. ამისთვის წარგზავნა მეფემან ძე თვისი იულონ ჯარითა და წარატანა თანა სარდალნი თვისნი, რადგან იბრეიმ-ხან დამნაშავე იყო მეფეს ერეკლეზედ, ვინადგან ომარ-ხანთან მეგობრობა ჰქონდა ლაწიუშვა თავის მამულში, ომარ-ხან კი აღრევე წასულიყო დაღისტანში, და იბრაიმ-ხან შიშითვედარ მოვიდა მეფესთან, მაგრამ რადგან თავისთავის და ქვეყნის წახდენის ეშინოდა, თავისი სარდალი ჯარით მოართო. მოვიდა იბრეიმ-ხანის სარდალი ყარაბაღის ჯარით და მეფის ძე იულონის ჯარს შემოეყარა. იბრეიმ-ხან თითონ ჯუშისა ციხეში ძრწოლით იმყოფებოდა. მოვიდა კაცი იბრეიმ-ხანისა და მოართო მეფეს ერეკლეს მრავალი ფეშქაში და ლარი პატიოსანი და ძვირფასი. მეფე ერეკლემაც იბრეიმ-ხანს ნალათი უბოძა და დანაშაულსკ პატიობის იმედი უბრძანა. მაგრამ ეამსა ამას განუცხადა მინისტრმა ბურნაშოვმა მეფესა ერეკლეს, რომ დაებარებინათ, ეკატერინე ხელმწიფის ბრძანება მოსვლოდათ; საქართველოში რაც რუსეთის ჯარი არის საქოიყვანე და გამობრუნდით. რა წამს ბურნაშოვს ბრძანება მოუვიდა ეაბრუნეებისა, იმავ დღეს აიყარა და ტფილისისაკენ გამოემგზავრა რუსეთს წასასვლელად.

იბრეიმ-ხანს ჩუმათ კაცი გაეგზავნა ომარ-ხანისათვის: მეფე ერეკლე წახდენას მიპირობს და მიშველე რამეო, განჯას ჩამობრძანდა ჯარებითაო და ხალხი ზოგი ამიყარა, ზოგსაც მიყრისო და მახდენსო. ომარ-ხან, ამ ამბის მცნობელი, საჩქაროთ მრავლის დაღისტნის ჯარით ქარში გადმოვიდა და ქიზიყზე აპირობდა მოსვლას.

მეფე ირაკლის ომარ-ხან ხუნზახის ბატონის ამბავი რომ მოხსენდა, ქიზიყზედ აპირობს მოსვლასაო, აიყარა მეფე ერეკლე განჯიდან, გაბრძანდა მტკვარსა და მიბრძანდა სრულიად თავისი ჯარით ქიზიყსა. რუსეთა, განჯიდან წამოსულთა, გამოიარეს ტფილისზე და წავიდნენ რუსეთს.

ომარ-ხანმა რომ შეიტყო მეფის ერეკლეს ქიზიყს მობრძანება, ქიზიყზე ველარ გაბედა მოსვლა. აიყარა თავისის სრულის ჯარით რაო-

* ეს ომარ-ხანის ნაცოლარი, ომარ-ხანის სიკვდილის უკან საქართველოში მოვიდა და ისევე ქრისტიანად მოიქცა. ომარ-ხანისა პირველი ცოლი იყო აბაშიძის ქალი ზარისხიზა და ერთი კიდევ სხვა ცოლი ჰყვანდა ომარ-ხანსა (თეიმურაზ ბაგრატიონის შენიშვნა — ლ. მ.).

დენსამე თვეს პარში მისვლის უკან და წავიდა და წამახიის ქალაქს შემოადგა.

სწერს ამისი აღმწერელი: „ვეგონებო, რაც ამ ისტორიაში მეფის ერეკლესაგან ძღვევა-შემოსილებანი სწერიან სახელდობრ კვალად სხვა-ცა ძღვევა-შემოსილებანი მიუღიეს ოცდაათნი, რომელიცა აქა არა სწერიან“. ჰვლობდა მეფე ირაკლი ქართლისა და კახეთისა სამეფოთა და ყოველსა ზემოსა საქართველოსა თვისითა სამზღვრებითა. იმერეთიცა საქართველოსა მფარველობასა ქვეშე იყო ამისსა მეფობასა შინა და ყოველი ქვემო საქართველო, დასვა ჯერჩინებითა თვისითა იმერეთისა მეფედ მეფემან ერეკლე იმერეთის მეფის სოლომონ მეორის (sic) ძმისწული არჩილ ბატონიშვილის ძე — სოლომონ მეორე — მეფედ ყოვლისა სამეგრეთოსა. და ესე მეფე სოლომონ მეორე იყო შვილისშვილი მეფისა ირაკლისა ასულისაგან მისისა, მეფის ასულის ელენესგან ნაშობი. ჰვლობდა მეფე ირაკლი ყოველსა შინა მეფობასა თვისსა განჯისა, ყარაბაღისა და ერევნისა სახანოთა. შაქისა და წამახიის ხანებიც ემსახურებოდნენ მეფეშაშითა, ეგრეთვე ყუბისა და დარბანდისა, მაგრამ განჯისა, ყარაბაღისა და ერევნის ქვეყანანი ყმად მეფისა ერეკლესსა დამორჩილებულ იყვნეს. ართმევდა ხარკსა განჯისა და ერევნისა ქვეყანასა, თვით დაუდგინებდა ხანებსა რომელიც ენება ამ ქვეყნების ჯარებსაც ხმარობდნენ მეფე თეიმურაზცა და მეფე ერეკლეც და ყარაბაღს ხარკი კი არ ედვა და დეშაშს დიახ ჩინებულს ყოველ წლივს შოართმევდნენ.

ეგრეთვე მეფეს გიორგის მსახურებდნენ თავის მეფობაში ვიდრე აღსასრულადმდე მისსა და ეს ხანები, ზემორე ხსენებულნი, ვითარცა მამასა მისსა. თუ ოდესმე განსდგებოდნენ ესე ხანები, ანუ ყიზილბაშთა ჯარი მოვიდოდა და მცირეს ჟამს მოუშლიდნენ იქ ხელსა მეფეთა, მაგრამ მეფენი მივიდოდნენ მხედრობითა თვისითა ანუ ჯარს წარაეღინებდნენ და ისევ თვითვე დაიპყრობდნენ თავიანთ მორჩილებაში, თუმცა ისინი თათრები იყვნენ და მათ სარწმუნოებისა, მაგრამ იმ ქვეყნებს ბევრით და იმ ქვეყნების ხალხს საქართველოს მეფეებისაგან უფრო კარგი მოვლა და პატრონობა ჰქონდათ და არც საქართველოს მეფენი ბევრის გამორთმევით აწუხებდნენ.

ამისთვის ამათ საქართველოს მეფენი უყვარდათ და ამათს მონებას რჩეულობდნენ და ამათგან წყალობაც მრავალი გაჰქონდათ.

მეფემან ერეკლე განახლა და გააკეთა აღშენებით ციხე გორისა მრავალწილად უკეთესად ვიდრე პირველისა შენებულებისა მისისა, რომელიცა დღეს აქამომდე საცნაურ არს. ეგრეთვე თელავის ციხე კარგის სიმაგრით გააკეთა, ბოჭორმის ციხე, ჭუეთის გალავანი, სვეტიცხოველი-

მა, საბუისა, გრემისა, ფედისა, პატარძეულისა და ნორიოსი. ქოლაგირის ციხე დარეჯან დედოფალმა აღაშენა. და ამას გარდა სხვათა და სხვათა ადგილთა ქართლისა და კახეთისათა აღეშენნეს გალავანნი, ციხენი და სიმაგრენი ას სამეოცნი, რომელნიცა აქა არა თვითეულად აღიწერნეს, მაგრამ ყოველთა უმჯობეს ოა უმტკიცეს აღაშენა სრულიად ქვიტყირითა გალავანი და ციხე ხიზიყის ქალაქის სიღნაღისა, რომელნიცა მაღალთა შათ გორათა ზედა სილუნაღისათა მოზღლუდა, რომელიცა ესოდენ დიდ არს, რომ სრულიად ხიზიყისა და გარემოთა მისთა მცხოვრებნი ვიდრე ოციათასამდე კომლისა შესაძლებელ არს მას შინა დატევნად. გალავანი იგი ფრიად მაღალ არს და ზრქელ და დიდიდითა ბურჯებითა ნაშენი. და ესევეთარი სიმაგრე სრულიად ივერიისა ქვეყანათა არა სადა იპოვების — (სწერს აღმწერელი ამისი).

შრომანი და ღვაწლნი მეფისა ირაკლისანი არა ადვილ შესაძლებელ იყო აღწერად, არამედ რაოდენი ძალ-მედვა, სმენითა და მექსიერებითა სარწმუნოთა კაცთაგან ცნობით აღვსწერენ.

დიდება ღმერთსა სრულმყოფელსა ყოველთასა, ამინ.

თავადი ხერხეულიძე ლაშქარნივისისა ომან მდივნის აღწერილისაგან, რომელსაცა უღვაწიეს გულსმოდგინებით, თუმცა მრავალი ამბავი აკლია ამ ისტორიას ღირს-სახსოვარნი.

ქ. სრულ-ვეყავ აქამომდე ისტორია ესე მე სრულიად საქართველოს მეფის გიორგის ძემან თეიმურაზ.

რაცა აკლია ბოლოს ამა ამბავთა მეფის ერეკლესათა ვიდრე აღსასრულადმდე მისსა, იძიეთ ჩემ მიერ აღწერილსა შინა, ჩემის უხუცესის ძმის ს(რულია)დ საქართველოს მეფის ძის დავითის და მემკვიდრის ისტორიასა ცხოვრებისა მისისასა, რომელიცა ითარგმნა ფრანციუტულსა ენასა ზედა მუსიე ბროსეტის მიერ, რომელიცა არს ფრანცუზი ბუნებით, მეცნიერი ქართულისა ენისა, ჩლენი როსიისა აკადემია ნაუკისა და წევრი პარიჟის მეაზიელისა საზოგადოებისა. კაცი ფრიად კეთილი, მოყვარე ქართველთა, სიბრძნის მოყვარე, განათლებული გონებითა, მოყვარე და მაქებელი ქართულისა ენისა. მისგან ნათარგმნი ზემოხსენებული ესე ისტორია აღბეჭდილ არსცა ფრანციუტულად და ქართულად სამეუფოსა ქალაქსა შინა პარიჟს, ხოლო ესე კელითა ჩემითა აღვსწერე სანკტპეტერბურგს.

დიდება ღმერთსა, სრულმყოფელსა ყოველთასა, ამინ.

სარჩევი, შედგენილი ნიკოლოზ გალინოვის მიერ:

(ბ. ი. A—1244)

სარჩევი საქართველოს მეფეთა მეფეთ ვახტანგისა, თეიმურაზისა და ძისა თეიმურაზისა და ძისა მისისა, მეორისა ირაკლისა, ქმნულნი ჰამბავნი თვისთა მტერთა ზედა.

ა. დაჯდა ყვენად ძე შაჰ სულთან უსეინისა შაჰ-თამაზ, რომელსა რიცხვსა შინა ეჯდა მეფეთ ქართლსა ვახტანგ, ძე ლეონისა, კახეთს — კონსტანტინე.

ბ. სულ(თ)ნის სარასკარჱ კარსით შეეწია მეფესა ვახტანგს და განავო ქალაქით მაჰმად-ყული-ხან.

გ. ვანთა მეფესა მაჰმად-ყული-ხანს უღალატეს თურქთა და მოკლეს სამზიარულში და მრავალნი გაჰყიდეს.

დ. განრისხებულთა ქართველთა ზედა ლეკთა მოარბიეს ქართლი-მას ეამსა მეფე ირაკლი იყო წლისა თხუთმეტისა. მათ ლეკთა ზედა გამარჯვა და მოკლა კაცი.

ე. ნადირ შაჰმან სარასკარი დაამარცხა და მოსწერა ტიფლიზს მყოფთა თურქთა და შეშინდნენ და გაიქცნენ.

ვ. ნადირ-შაჰმან გივი ამილახვარი, არაგვის ერისთავი ბარამ და თარხანი ლუარსაბ ქოლაცაშვილი, სალთუხუცესი გივი და ქისიყის მოურავი ქაიხოსროთ დაჭერილი წაიყვანეს სპარსეთსა.

ზ. მეფე ირაკლი წავიდა ნადირ შაჰთან ყანდაარს და, მეფე თეიმურაზ თავადებითურთ განათავისუფლდა.

თ. ყანდაარსი წამოსვლა მეფის ირაკლისა. მრავლის სამსახურისა და ერთგულებისათვის გამოისტუმრა შაჰმა.

ი. ძველი ყენის შვილი, ნადირ-შაჰისაგან გამოქცეული და იმყოფებოდა დაღისტანს. ირაკლიმ დაჭერილი გაისტუმრა ნადირ-შაჰთანა და დიდი წყალობაც მიიღო.

ი. ხონთქარს გაეგზავნა ხაზინა დაღისტანს ჯარის გამოყვანისათვის. მეფე ირაკლიმ გზა შეკრა და გააგდებინა.

ია. გივი ამილახვარმან თურქთა ძალით სურამის ციხე დაამაგრა. ირაკლიმ ძალით გამოიყვანა, შეკრული გაგზავნა.

იბ. მეფის თეიმურაზის წასვლა სპარსეთს აღილ შაჰსთანა და საქართველო მიაბარა ძესა თვის(ს)ა ირაკლის.

იგ. დაღისტნით გამოსული ყოჯახს ჩამოევლო ავჭალაზედ, ტყვე და საქონელი მიჰქონდა. მეფე ერეკლემ დაამარცხა და წაართვა.

იდ. მეფე თეიმურაზის ერანიდან წამოსვლა ტიფლიზსა, მერე მამა-
ძეთ მისვლა ერევნის საშველებლად და ბრძოლა.

იე. ყარაბაღის ფანა-ხანის მისვლა განჯაზედ და თეიმურაზ მეფის
ირაკლითურთ წასვლა და მისაშველად განჯისა.

ივ. მეფე თეიმურაზისა და ირაკლის წასვლა ჭარისა და შაქი-შირ-
ვანის დასაპყრობლად და აჯი-ჩალაბის დამარცხება.

იზ. მეფენი თეიმურაზის ძის ირაკლის წასვლა ერევნის მისაშვე-
ლებლად და აზატ ხანთან შებმა და დამარცხება დიდი.

იძ. განჯისა შუშისა და ყარაბაღის ხანების ფიცი და მათგან მუსა-
ნათობა. აჯი-ჩალაბის შვილის ალა-ქიზის მოსვლა ჯარებით და მისი და-
მარცხება დიდი საქართველოს მეფეთაგან.

იქ. დაღისტნიდამ წამოსული ჯარები, ხოროდ ხოროდ სიარული:
ხუთასობით ანუ მეტ ნაკლებით და მეფე ყოველთვის მრავალსა ხოც-
და, როგორც მკალი და მუმლი.

იკ. ავარის ხანი და ხუნჯახის ბატონის მოსვლა და მეფეთა მიგებე-
ბა, დიდი ომი და მრავალი ხოცვა და გამარჯვება.

იკბ. ავარის ხანი, ამასთან ჭარელნი და შაქი შირვანელნი დინთას-
ლიბათ მოსულნი და მეფეთაგან დამარცხებულნი,

იკგ. დაღესტნელთ დაიწყეს ბოროტმოქმედება და მეფე ირაკლი-
სდევდა როგორც ქორი და ხოცდა მრავალსა.

იკდ. საქართველოს ელები მთიდამ გაიქცნენ და მეფე ირაკლი ჯა-
რით მივიდა, არაზის პირიდამ გამოაბრუნა.

იკე. მამა-ძენი მეფენი ბძანდებოდნენ ზემო ქართლს, სდევნიდნენ-
ჯართა ლეკთა ხოცდნენ და მრავალსაც იპყრობდნენ.

იკვ. მუხრანბატონი კოსტანტინე ლეკთა მოკლეს და მეფე ირაკლი
გამოუდგა მათ ჯარსა დახვდა ნაფარეულს და გასწყვიტა.

იკზ. დაღისტნით გამოვიდნენ ბელადნი ჩონჩოლ მუსა და კობტა-
რვა ათასის კაცითა და მეფე ირაკლიმ დაამარცხა.

იკძ. მეფე თეიმურაზის წასვლა როსიას ჩღა წელსა ქქს უნც იპყე-
რატრიცა ეკატერინესთანა.

იკთ. ლეკთა ჯავახეთი მოარბიეს, მეფე ირაკლი ჯარით გამოუდგა-
ყარაიაზს, დაამარცხნა, ტყვენი და საქონელი დააყრევინა.

იკლ. წამოვიდნენ ურიდრად საქართველოს ასაოხრებლად. მეფე
ირაკლი დახვდა უდაბნობთან, მრავალი დახოცა და გაბრუნდნენ.

იკლბ. ლეკნი გამოვიდნენ დაღესტნით დაქადებულნი. მეფე ირაკლი
მიუხდა ახმეტასა, მრავალი დახოცა დარჩენი წავიდნენ.

იკლგ. მივიდნენ ლეკნი სამაჩაბლოს, მიუხდა მეფე ირაკლი და
ამოწყვიტა და დანაშთნი ივლტოდნენ გზასა.

იკლდ. მეფე ირაკლი მრავალწყაროზედ დახვდა ლეკის ჯარსა, გამარ-
ჯვება ჰქმნა დიდი და იყო სიხარული.

ლდ. ლეკნი, არ არიდეს თავნი თვისნი სიკვდილსა, მოარბიეს გორი. შეფემ გზა შეუკრა, სამგორს დახვდა ღამე, მრავალი დახოცა ტყვე საქონელი დააყრევინა და გაისტუმრა გორს.

ლე. ერევნის ქურთები განუდგნენ, აღარ მოსცეს ხარკი. მიეწაა ჯარით არაზს, გამოაპრუნა და ოცი ზომა გამოართვა ხარკი.

ლვ. შეკრბნენ დაღისტნის ჯარნი, გარდავიდნენ იმერეთს, რაჭა მოარბიეს. მეფე ირაკლი ჯარით მივიდა ივრის პირი შეუკრა, დახვდა მათ, ასე ამოწყვიტა, რომ არღარა გადარჩა ცოცხალი. ტყვე საქონელი უქანვე მიანიჭა.

ლზ. ერევნის ქურთნი კიდევ განუდგნენ, დადგნენ არეზს გაღმა სიმაგრესა. მეფე ჯარით გაუდგა, დაარბია აღაესნო თვის ჯარი და უქანვე მობრუნდა.

ლშ. ვინადგან ბარბაროსობა იყო ლეკთაგან საქართველოსა ზედა მიზეზითა ახალციხის ფაშისა, მივიდა დიდის ჯარითა და როსის მხედრობითა ახალციხესა, მრავალი ლეკი მოკვდა და მრავალ რიგათ ბრძოლა შეემთხვათ.

ლთ. მეფესა ირაკლისთან იყო წარმოგზავნილი მინისტრად ლვოვი ივან ლავრენტიჩი იმპერატრი(ცი)ცი(ი)საგან. იმ ეამად ჯარით წავიდა, იხე(რ)თვისის ციხე აიღო, მომიყვანა ბეგი, გამოიტანეს მრავალი მაცხოვრებელი, თვალი და მარგალიტი და გამობრუნდა. ამის მკავერებელი ახალციხის ფაშამ გაგზავნა ხაზინა, ლეკის ჯარი გამოიყვანა და აუსივა ქართლსა. მათზედ ირაკლი მრავალჯერ გაიმარჯვა.

მ. შეასმინეს ქარიმ-ხანს და დაბეზლეს მეფე ირაკლი, ვითომ იმპერატრიცას სთხოვს შემწე, რომ დაიპყრას სრულიად ირბეჟანი ჯარებით. მოდიოდა გაჯავრებული საქართველოსა ზედა, რა მივიდა თავრინს, მეფემან წარადგინა ელჩათ ენდრონიკიშვილი ქაიხოსროვ. დიანბეგი. მივიდნენ და ქარიმ-ხანის გული დაამშვიდეს და უქანვე დაბრუნდა.

